



შეფასების საანგარიშო მოხსენება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) მილსადენის პროექტთან
დაკავშირებული საჩივრის შესახებ

2004 წლის ივლისი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და
მრავალმხრივი დაბანდების სააგენტოს
შეთანხმების მრჩევლის/ ომბუცმენის
ოფისი

შინაარსი:

შემოკლებათა სია	3
ადმინისტრაციული მოკლე დასკვნა	4
1. შესავალი	5
2. ბიჯ პროექტის აღწერა	7
3. საჩივრის განხილვის პროცესი	11
4. საჩივარში აღძრული საკითხების განხილვა	11
მილსადენის უსაფრთხოების ტექნიკური შეფასების საკითხი.....	11
ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებული საკითხი	17
5. შეთანხმების მრჩეველის რწმუნებულის/ომბუცმენის რეკომენდაციები	26
დანართი 1 საჩივარი	29
დანართი 2 მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელ ინჟინერთა შეფასების მოსხენება.....	35
დანართი ა) ადგილმდებარეობის განზომილებები	51
დანართი 3 მილსადენის გეგმა	52
დანართი 4 მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელ ინჟინერთა მითითების განმარტება	56
დანართი 5 მონვეულ მონაწილეთა სია	59
დანართი 6 საჩივრის განხილვის პროცესის დეტალები	60
დანართი 7 საჩივარში წამოჭრილ საკითხთა ტაბულა	63

შემოკლებათა სია

APLR	მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია
ASME	ტექნიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება
BP	ბრიტიშ პეტროლეუმი
BTC	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ექსპორტის მთავარი მილსადენი
BTC Co	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
CAO	შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისი
CIP	საზოგადოებაში დაბანდების პროგრამა
CLO	საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები
CRM	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ESIA	გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასება
ESAP	გარემოს დაცვისა და სოციალური აქტიურობის გეგმა
GIOC	საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანია
GLAC	მინის შექმნისა და კომპენსაციის დამხმარე სახელმძღვანელო
GPS	გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები
GIS	გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემები
HGA	მასპინძელი ქვეყნის შეთანხმება
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
MIGA	მრავალმხრივი დაბანდების გარანტიის სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაციები
PCDP	საზოგადოებასთან კონსულტაციისა და განხილვის გეგმა
RAP	გადასახლების მოქმედების გეგმა
SCP	სამხრეთ კავკასიის მილსადენი
SLIP SPJV	კრედიტორის ინფორმაციის დამატებითი პაკეტი სპიე ქაფაგ და პეტროფაგის ერთობლივი კომპანია
SRAP	სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმა

ადმინისტრაციული მოკლე დასკვნა

2004 წლის მარტს საჩივარი იქნა შეტანილი შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისში საქართველოს ქალაქ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლების¹ მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. საჩივარში აღძრულია განმცხადებელთა საცხოვრებელ სახლებთან გამავალი მილსადენის მარშრუტისა და მილსადენის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის უკმარისობის საკითხი.

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა დაიქირავა მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელი ორი ინჟინერი რათა გამოიკვლიონ საჩივარში აღძრული უსაფრთხოების საკითხები. ეს შეფასება დაფუძნებულია მათ მიერ საქართველოში მოგზაურობისას ადგილზე მდგომარეობის შესწავლაზე და მოსახლეობასთან შეხვედრის დროს საუბარზე, დოკუმენტაციის განხილვის (საჯარო და კონფიდენციალური) და საჩივარში აღძრული საკითხების ბოლო კომპანიის წარმომადგენლებთან განხილვაზე.

მილსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაასკვნეს, რომ:

- მილსადენის დაპროექტება და შემოთავაზებული ოპერაციის მეთოდი შეესაბამება მასპინძელ ქვეყანასთან ხელშეკრულებაში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს და
- ასეთი სტანდარტები ექვივალენტურია (და ზოგ შემთხვევაში უფრო მეტიც კი) არსებულ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა მილსადენიდან განმცხადებლებთან საცხოვრებელ სახლებამდე არსებული მანძილის ჩათვლით.

მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელ ინჟინრებს შეუძლიათ მიაწოდონ რუსთავის მაცხოვრებლებს ტექნიკური გარანტია უსაფრთხოების თითქმის ყველა ძირითადი საკითხების შესახებ. მაგრამ კითხვა თუ რატომ წამოიჭრა უსაფრთხოების საკითხი დასაწყისში რჩება უპასუხოდ. უსაფრთხოების საკითხთა წამოჭრის წყაროები და მათი გავლენა ბოლო კომპანიის კურსსა და პრაქტიკაზე ინფორმაციის ნაკლებობისა თუ კონსულტაციის უკმარისობის გამო არის განხილული ამ შეფასების მოხსენებაში.

რაც შეეხება ინფორმაციის ნაკლებობას, შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა აღმოაჩინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო, მილსადენის ახლო მცხოვრებ მოსახლეობასთან კავშირს ადგილი მაინც და მაინც არ ჰქონია რუსთავის მაცხოვრებელთა ჩათვლით. ჩვენ ვასკვნით, რომ დასაწყისში ინფორმაციის უქონლობამ ხელი შეუწყო ქორების გავრცელებას, უნდობლობას და აგრეთვე ბოლო კომპანიისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რწმენის, რომ ბოლო მშენებლობას დადებითი გავლენა ექნება სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, წინააღმდეგ მოსახლეობის განწყობას. გარდა ამისა, სპეციფიკური ინფორმაციის ნაკლებობამ, განსაკუთრებით კი უსაფრთხოების სტანდარტების, მილსადენის მარშრუტისა და მილსადენის უსაფრთხოების ზონის შესახებ გაართულა ურთიერთობა სპონსორსა და განმცხადებლებს შორის.

შეთანხმების მრჩევლის/ ომბუცმენის ოფისის რეკომენდაცია არის რომ ბოლო კომპანიამ:

- (i) გააგრძელოს მილსადენის უსაფრთხოების შესახებ რუსთავის მაცხოვრებლებისთვის გულდასმით შერჩეული ინფორმაციის მინოდება;

¹ საჩივარს ხელი მოაწერა 128 მაცხოვრებელმა

- (ii) თვალყური ადევნოს კონტრაქტორების საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების მოქმედებებს;
- (iii) განახორციელოს დამოუკიდებელი განხილვა იმ შემასწორებელი ღონისძიებებისა, რომელიც არის დადგენილი საჩივარში აღძრული საკითხების გარშემო;
- (iv) გააუმჯობესოს ეფექტიურობა განმცხადებლებთან ურთიერთობისა;
- (v) დააარსოს გასაჩივრების პროცესი და
- (vi) აქტიურად ჩაებას ადგილობრივ მოსახლეობაში დაბანდების პროგრამაში -პროგრამა, რომელიც შექმნილი იყო მილსადენის გარშემო მცხოვრებ მოსახლეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე აქტიურად ჩაებას რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში.

1. შესავალი

შეფასების ეს მოხსენება არის პასუხი ბატონ მერაბ ვაჩეიშვილის და ელენორა დილმელაშვილის საჩივარზე, რომელიც მათ ჩვენთან შემოიტანეს საქართველოს ქ. რუსთავის მე-18 და მე-19 კორპუსის მაცხოვრებელთა სახელით. ეს საჩივარი მიღებული და გაცნობიერებული იქნა შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის მიერ 2004 წლის 14 მარტს. შესაფასებელი ვიზიტის შემდეგ შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა მიიღო ეს საჩივარი 2004 წლის 14 აპრილს. საჩივარში აღძრულია საკითხი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მთავარი საექსპორტო მარშრუტის შესახებ ინფორმაციის უქონლობისა და იმის შესახებ, რომ ეს მილსადენი არის დაშორებული 120 მეტრით საცხოვრებელი სახლებიდან და აგრეთვე წამოჭრილია საკითხი მილსადენის უსაფრთხოების შესახებ.

საჩივარში აღძრულია შემდეგი საკითხები:

- (i) მილსადენი არის ძალიან ახლოს საცხოვრებელი ადგილიდან, უქმნის რა მაცხოვრებლებს საფრთხეს მილსადენთან სიახლოვის გამო;
- (ii) არსებობს ისტორია მილსადენის გაჟონვისა და მოსახლეობისათვის ზიანის მიყენებისა;
- (iii) მოსახლეობას სურს გაეცნოს მსგავსი მილსადენის მშენებლობის შესახებ არსებულ უსაფრთხოების სტანდარტებს;
- (iv) ბოჯ მილსადენისა და აგრეთვე დაგეგმილ სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის მშენებლობის სიახლოვე დასახლებულ ადგილებთან გაზრდის საფრთხეს მილსადენთან ახლოს მცხოვრებთათვის;
- (v) მდინარე მტკვრის ნაპირები მე-18 და მე-19 მიკრო-რაიონებსა და სანაპიროს შორის არ არის სტაბილური, აქ წყლის მაღალი დონეა, ნიადაგი სუსტია და არსებული ეროზია ამ ადგილს ხდის საშიშს ნავთობისა და გაზის მილსადენის მშენებლობისათვის;
- (vi) საცხოვრებელი შენობების ხარისხი მე-18 და მე-19 მიკრორაიონებში არ არის ძალიან მაღალი და ამდენად მშენებლობითა და მილსადენის მოქმედებით გამოწვეულმა ვიბრაციამ შესაძლებელია გამოიწვიოს დისტაბილიზაცია და დააზიანოს შენობები.
- (vii) ბოჯ/სამხრეთ კავკასიის პროექტმა დაასახელა 500 მეტრიანი "უსაფრთხოების ზონა" მილსადენის ორივე მხარეს. მე-18 და მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი სახლები მოჰყვნენ ამ ზონაში და ამ "უსაფრთხოების ზონის" დასახელებამ გამოიწვია ამ ზონაში მოყოლილ მოსახლეთა შეშფოთება;
- (viii) ბაქო-სუფსის მილსადენისათვის,² რომელიც აშენებული იყო კარგა ხნის წინ და ბოჯ და სამხრეთ კავკასიის მილსადენებთან კავშირი ექნება, ნავთობის გაჟონვის შემთხვევები ახალი არ არის. მოსახლეობას სჯერა, რომ შესაძლებლობა არის იმისა რომ ახალმა მილსადენმა ჟონვა დაიწყოს და მათ ან მათ საცხოვრებელ სახლებს ზიანი მიაყენოს.

ამასთან დამატებით, განმცხადებლებთან საუბრის დროს შემდგომი საკითხები წამოიჭრა, რომელიც მოხსენებულა ამ საანგარიშო მოხსენებაში:

² ნავთობის მილსადენი რომელიც გადის ბაქოსა (აზერბაიჯანი) და სუფსას (საქართველო) შორის შავ ზღვაზე და აშენებული იყო საბჭოთა დროს.

- (i) მოსახლეობამ გამოხატა შეშფოთება იმის შესახებ, რომ მშენებლობის ნარმოების დროს ბოჯ-მ გადაწყვიტა მოენახა იზოლირებული სარქველი მე-18 და მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი ადგილების ახლოს და რომ ამის გამო მათ პოტენციური საფრთხე ემუქრებოდათ სარქველიდან გამოშვებული ელემენტებისაგან ან კიდევ ფიზიკურად დაშავების შესაძლებლობა შექმნილიყო სარქველის დადგმის დროს.
- (ii) მშენებლობის დროს მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებმა იგრძნეს ცუდი სუნი, რომელიც დაუკავშირეს ადრე არსებულ საქონლის სამარხს, სადაც დამარხული იყო საქონელი რომელიც დაიღუპა ან მოკლული იქნა ე.წ. ანტრაქსის გავრცელების პერიოდში.
- (iii) მოსახლეობამ აგრეთვე გამოხატა შეშფოთება საჯარო დოკუმენტებში მოხსენიებული ინფორმაციის შესახებ, რომ მშენებლობის ერთ-ერთი ფაზის დროს გამოყენებული იქნება GPS (გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები) და GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები), რომლებიც გამოასხივებენ რადიაციას და ამით მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნება.
- (iv) დასაწყისში მოსახლეობას ეგონა რომ მილსადენი გაივლიდა გარდაბნის ახლოს. მშენებლობის დაწყებამდე მათ არ იცოდნენ რომ მარშრუტი შეიცვალა და მილსადენი რუსთავის ჩრდილოეთით, მათ საცხოვრებელ სახლებთან ასე ახლოს იქნებოდა.

შეფასების საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია საჩივარში აღძრული საკითხები, ნარმოდგენილია შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის მიერ მიღებული მონაცემები და მოხსენება სრულდება რეკომენდაციებით თუ როგორ განხორციელდეს ნამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა. შეფასება დაფუძნებული იყო შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის სამოქმედო სახელმძღვანელოზე. შეფასების საანგარიშო მოხსენება არის დასკვნითი ნაწილი საჩივრის განხილვის პროცესისა. სამოქმედო სახელმძღვანელოს თანახმად, შეფასების საანგარიშო მოხსენება მომზადებულია განმცხადებლებისათვის და სხვა მონაწილე მხარეებისათვის (ამ შემთხვევაში ბოჯ კომპანია (BTC Co,) ბრითიშ პეტროლეუმი (BP) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)). თუკი განმცხადებლები გადაწყვიტავენ რომ ეს შეფასება საჯარო გახდეს, მაშინ შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი ამ შეფასებას თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს.

საჩივარი არის დანართი 1.

2. ბოჯ პროექტის აღწერა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მთავარი საექსპორტო მილსადენის პროექტი მოიცავს განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას და ოპერაციას ნავთობის სისტემისა რათა გადაზიდოს ნავთობი არსებული ნავთობის სადგურ სანგაჩალიდან ბაქოს (აზერბაიჯანი) მახლობლად საქართველოს გავლით ახალ სადგურამდე რომელიც აშენებული იქნება ჯეიჰანში, თურქეთში, ხმელთაშუა ზღვაზე. 1,760 კილომეტრიანი მილსადენი მთელ სიგრძეზე მთლიანად მინისქვეშ ჩამარხული იქნება და გაივლის აზერბაიჯანს (442 კილომეტრი), საქართველოს (248 კილომეტრი) და თურქეთს (1,070 კილომეტრი).

მილსადენი გადაზიდავს გადაუმუშავებელ ნავთობს კასპიის ზღვის აზერი, ჩირაგი და გუნაშლი ნავთობის სადგურიდან (ცნობილი როგორც ACG სადგური). მილსადენის დაგეგმილი მოცულობა დააკმაყოფილებს არსებულ ნავთობის მარაგის გადაზიდვას და აგრეთვე დამატებით ნარმოებას ACG (აზერი, ჩირაგი და გუნაშლი) რომლის ნარმოების მთლიანი მოცულობა იქნება

1 მილიონი ბარელი დღეში. გეგმის მიხედვით მილსადენი მუშაობას დაიწყებს 2005 წლის მეორე ნახევარში.

პროექტის სპონსორია ბოჯ კომპანია, რომელიც შედგება 11 პარტნიორისგან და დაარსებული იყო 2002 წლის აგვისტოში. ბრითიმ პეტროლეუმი (BP), რომელიც არის პროექტის ყველაზე დიდი მეპაიე (30.1%), აწარმოებს მილსადენის მოქმედებას. სხვა პარტნიორები (მონაწილეობის სიდიდის მიხედვით დიდიდან პატარამდე) არიან SOCAR (აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია) (25%), UNOCAL (უნოქალი) (8.9%), STATOIL (სტატოილი) (8.7%), TPAO (თურქეთის ნავთობის კომპანია) (6.5%), Eni (ენი) (5%), TotalFinaElf (ტოტალფინალელი) (5%), ITOCHU (იტოჩუ) (3.4%), INPEX (ინპექსი) (2.5%), ConocoPhillips (ქონოქოფილიპსი) (2.5%) და Amerada Hess (არმადა ჰესი) (2.3%). როგორც მილსადენის ოპერატორი, ბრითიმ პეტროლეუმი პროექტისა და მშენებლობის ფაზების მეთაურია.

მილსადენის ნაწილი, რომელიც საქართველოში გაივლის, დაიწყება საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე გარდაბნის რაიონში და გადაკვეთავს ქვეყნის შვიდ რაიონს და ქალაქ რუსთავს (ნახეთ სურათი1) და დასრულდება ახალციხის რაიონ სოფელ ნაოხრებში თურქეთის საზღვართან. 2000 წლის ოქტომბერში პრეზიდენტის მიერ გაცემული განკარგულების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანია საქართველოს წარმომადგენელი იქნება. საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია ითამაშებს მთვრობის წარმომადგენლის როლს, რომლის საშუალებითაც ბოჯ კომპანიას საშუალება ექნება მოითხოვოს და მიიღოს გარკვეული უფლებები, ლიცენზიები, სერთიფიკატები, ნებართვები და დამტკიცებები პროექტის მოქმედებისათვის. სპიე ქაფავ და პეტროფაგის ერთობლივი კომპანიის (SPJV) მიეცა უფლება საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოოს საამშენებლო სამუშაოები.

პროექტის მთლიანი ღირებულება არის 3.6 მილიარდი ამერიკული დოლარი. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) წილი ამ პროექტში არის 250 მილიონი ამერიკული დოლარი, 125 მილიონი რომლისაც არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკუთარ ანგარიშზე (ეგრეთ წოდებული ა სესხი (A loan) დამატებით 125 მილიონი ამერიკული დოლარი სინდიკატური სესხით (ეგრეთ წოდებული ბ სესხის პროგრამა (B Loan Program).

სურათი 1. ბოჯ მილსადენის და ქალაქ რუსთავის მდებარეობის ამსახველი რუკა



3.1.1.1. შესენებაში ბოჯ კომპანიის მოხსნა, ნდაც ნაწილის ჩათვლით, ამისა, მთლიანი პასუხისმგებლობა მიღებული რეკომენდაციების განხორციელებისათვის ახვეს ბრითიმ პეტროლეუმი, როგორც მოსალოდინის ოპერატორი, ერაყი

ჯეიჰანი

3. საჩივრის განხილვის პროცესი

2004 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები სამჯერ ეწვივნენ საქართველოს (იხილეთ დანართი 6 ვიზიტის დეტალებისათვის). ამ სამი ვიზიტის მიზანი იყო შეეფასებინათ საჩივარი გაცნობიერებულიყო თუ არა ომბუცმენის ოფისის მიერ და თუკი საჩივარი გაცნობიერდებოდა, მასში წამოჭრილი ყოველი დეტალი განხილულიყო.

4. საჩივარში აღძრულ საკითხთა განხილვა

საჩივარში წამოჭრილი საკითხები დაიყო ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ კატეგორიებად. უპირველესად, საჩივარი ღძრავს სპეციფიურ შემოფოტებას მილსადენის უსაფრთხოების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შესახებ. მეორეც, საჩივარი აგრეთვე ღძრავს საკითხს ინფორმაციის უქონლობის შესახებ მილსადენის მშენებლობის დაწყებამდე და სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შესაძლებლობის უქონლობას. ეს საკითხები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ახსნილია შემდგომ განხილვაში ცალკე-ცალკე. პირველ რიგში არის განხილული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები (თავი 4.1), რომლის შესახებ დამატებითი მასალის ნახვა შეგიძლიათ 2 დანართში და მას მოჰყვება დისკუსია საზოგადოებისათვის ინფორმაციის საჯარო მიწოდების შესახებ (თავი 4.2).

4.1 მილსადენის უსაფრთხოების ტექნიკური შეფასების საკითხი

საჩივარში წამოჭრილი უსაფრთხოების საკითხი ძირითადად ეხება ბთჯ მილსადენის მშენებლობის იმ ნაწილს, რომელიც მიმდინარეობს საცხოვრებელ ადგილებსა და მდინარე მტკვარს (Kura) შორის. შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისმა დაიქირავა მილსადენის მშენებლობის უსაფრთხოების ორი დამოუკიდებელი ინჟინერი, რათა გამოეკვლიათ ტექნიკური საფუძველი ჰქონდა თუ არა საჩივარში წამოჭრილ უსაფრთხოების საკითხს და მოეზადადებინათ დამოუკიდებელი ექსპერტების რეკომენდაციები. მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელ ინჟინერთა მითითების განმარტება მოცემულია 4 დანართში. ეს სამუშაო მოიცავს პროექტის დოკუმენტაციის შემოწმებას, საჩივარში ხსენებული მშენებლობის ადგილის ინსპექციას, განმცხადებლებთან და აგრეთვე ბთჯ კომპანიის თანამშრომლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი შეიძლება შეფასდეს მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დაბანდებასთან დამოკიდებულებით, ბთჯ-იმ გააცნობიერა რომ "რისკის შეფასებამ ბთჯ მილსადენისათვის მხედველობაში მიიღო დამატებითი რისკი ახლო მდებარე პროექტის მშენებლობისა" (გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასების ოფისის კომენტარები, პარაგრაფი 6.9.7). ამ კონტექსტში, შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისმა ბთჯ მილსადენის მშენებლობის უსაფრთხოების განხილვის დროს უნდა მხედველობაში მიიღოს სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობასთან (SCP) დაკავშირებული დამატებითი რისკი მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობის არც ინვესტორია და არც კრედიტორი.

მილსადენის უსაფრთხოების შემსწავლელი ჯგუფის დავალება იყო შეესწავლათ წამოჭრილი უსაფრთხოების საკითხი რისკის შეფასების ჩათვლით როგორც მილსადენის თავდაპირველ გეგმაში ასევე დღევანდელ სინამდვილეში აღიარებულ სამშენებლო კოდექსსა და სტანდარტებთან დაკავშირებით. ჯგუფს უნდა ეწარმოებინა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების, სპონსორების გეგმისა და საინჟინრო დოკუმენტაციების გამოკვლევა მშენებლობის ადგილის ვიზიტისა და საქართველოში ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ინტერვიუს ჩატარების ჩათვლით. საჩივარში აღძრული მილსადენის მშენებლობის უსაფრთხოების სპეციფიური დეტალები და მასთან დაკავშირებული დასკვნები აქ არის აღწერილი შემოკლებით, ხოლო მისი სრული სახით ნახვა შეგიძლიათ მე-2

დანართში. ეს დასკვნები ეთანხმება პირველად ჩატარებულ შეფასების დასკვნებს, რომლებიც განმცხადებელს მიეცათ თბილისში, 2004 წლის 11 ივნისს.

4.1.2 საკითხი I - მილსადენი საცხოვრებელ სახლებთან ახლო არის

მილსადენი არის საცხოვრებელ სახლებთან ძალიან ახლოს, რაც ამ სახლების მაცხოვრებლების შემფოთებას იწვევს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

შეფასების შედეგი

მანძილი ბთჯ-ს მილსადენიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე სინამდვილეში არის 260 მეტრი და მანძილი სამხრეთ კავკასიის მილსადენიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე კი 285 მეტრი. ეს მანძილი შედარებით უფრო მეტია, ვიდრე მასპინძელი ქვეყნის შეთანხმებაში მოცემული საერთაშორისო გეგმის კოდი და მანძილი მრავალჯერი რისკის ანალიზის მოთხოვნის თანახმად, რომელიც გამოიყენება რამოდენიმე საერთაშორისო იურისდიქციის ტერიტორიაზე რათა მილსადენისაგან განმაცალკეველი მანძილი დადგინდეს რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის თანახმად.

4.1.3 საკითხი II - მილსადენის გაფონდვის ისტორია

არსებობს მასალა მილსადენის გაფონდვისა და მოსახლეობისათვის ზიანის მიყენებისა, რომელიც ბთჯ მილსადენის ახლოს მცხოვრები მოქალაქეების შემფოთებას იწვევს.

შეფასების შედეგი

ფოლადი, რომელიც არის გამოყენებული ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობისას არის ძალიან სქელი. ამდენად, მხოლოდ საკმაოდ დიდი ზომის აფეთქებას შეეძლება დააზიანოს რომელიმე მილი; დაჟანგვის საკითხი მოგვარებულია შემდეგნაირად: (i) მილის განუყოფელი ნაწილია სქელი, სამი ფენის მქონე დამფარავი სისტემა (რომლის სამოქმედო ვადა არის 60 წელზე მეტი); (ii) მილს აქვს კათოდური დამცველი სისტემა იმ ჟანგისაგან დასაცავად, რომელიც შეიძლება უმნიშვნელო იყოს დამფარავი სისტემის დეფექტის გამო და (iii) რეგულარული ინსპექცია ინსტრუმენტით, რომელსაც ჰქვია "უნარიანი კოპიტულა" ("intelligent pig") და რომელიც მილებში გადის და ზომავს მილის კედლის სისქეს. ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილები არის კონსტრუქტირებული, იმუშავენ და მოვლილი იქნება დღეს დღეობით არსებული უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ეს სტანდარტები კი მნიშვნელოვნად შეამცირებს დაზიანებას ყველა ჩვეულებრივი მოვლენებისაგან, გარე ზემოქმედებისაგან და დაჟანგვისაგან.

4.1.4 საკითხი III - ახსნა-განმარტება იმისა, თუ უსაფრთხოების რა ზომები შეესაბამება მილსადენს

მაცხოვრებლებს აქვთ სურვილი იმისა, რომ მათ აუხსნან მილსადენის მშენებლობისათვის საჭირო უსაფრთხოების ზომები და სტანდარტები გამოყენებული ბთჯ-ს მშენებლობისას არის თუ არა სინამდვილეში საერთაშორისოდ აღიარებული უმაღლესი სტანდარტები.

შეფასების შედეგი

ქვემოთ აღნიშნული სტანდარტები რომელიც მასპინძელი ქვეყნის შეთანხმებაშია მოყვანილი, არის ყველაზე ხშირად გამოყენებული სტანდარტები:

- ბთჯ მილსადენი - ტექნიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება – B31.4
- სამხრეთ კავკასიის მილსადენი - ტექნიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება – B31.8

ეს სტანდარტები შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ არის დე ფაქტო საერთაშორისო სტანდარტები მილსადენისათვის. შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის მიერ დაქირავებული მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელი ინჟინრების მიერ მომზადებულმა უსაფრთხოების შეფასებამ დაასკვნა, რომ ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენები არა მარტო აკმაყოფილებს, არამედ სცილდება ზემოთ მოყვანილი სტანდარტების ფარგლებს.

4.1.5 საკითხი IV – ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობა სამხრეთ კავკასიის მილსადენის პარალელურად რისკს გაზრდის.

ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობა სამხრეთ კავკასიის მილსადენის პარალელურად გაზრდის ამ მილსადენებთან ახლო მცხოვრებ მოქალაქეთა რისკის შესაძლებლობას.

შეფასების შედეგი

ორი მილსადენის დამატებითი ზეგავლენა აღძრავს განცალკევების მანძილის მოთხოვნის შესაძლებლობას: დაახლოებით 50 მეტრი უახლოეს მილსადენიდან. სინამდვილეში კი, მანძილი ბთჯ-ს უახლოესი მილსადენიდან უახლოეს საცხოვრებელი სახლის კუთხემდე არის 260 მეტრი.

4.1.6 საკითხი V - მდინარე მტკვრის არასტაბილური ნიადაგი

მდინარე მტკვრის ნიადაგი არასტაბილურია მტკვრის სანაპიროსა და მე-18 და მე-19 მიკრორაიონებს შორის. წყალი მაღალ დონეზეა და არსებობს ისტორია სანაპიროს ეროზიისა და აგრეთვე ნიადაგი სუსტია. ნათელია, რომ ეს ადგილი უვარგისია ნავთობისა და გაზის მილსადენის მშენებლობისათვის.

შეფასების შედეგი

უსაფრთხოების დამოუკიდებელი ინჟინრები თვლიან, რომ შესაბამისი გამოძიება ჩატარდა და მილსადენისათვის ეროზიის რისკი დაბალია. ეს გამოძიება მოიცავდა მდინარისა და მისი სანაპიროების ჰიდრო-გეოლოგიურ შეფასებას, დაადგინეს წყალდიდობის დაბლობის ადგილმდებარეობა, ნავთობის ჭაბურღილის მდებარეობა მდინარის გადაკვეთის ახლოს და აგრეთვე მილსადენი მცირე მანძილით გადაიტანეს მდინარისაგან.

შესაძლებელია რომ მომავალში მდინარემ ეროზია განიცადოს. ასეთ შემთხვევაში არსებული მანძილი მილსადენსა და მდინარეს შორის არის საკმარისის იმისათვის, რომ ეროზია ამოცნობილი იქნას და სათანადო ზომები იქნას შექმნილი პრობლემის კოტროლის ქვეშ მოსაქცევად.

4.1.7 საკითხი VI - მილსადენის მოქნელების დროს ვიბრაცია დააზიანებს შენობებს

მე-18 და მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი შენობების მშენებლობის ხარისხი არ არის მაღალი და ვიბრაციას მილსადენის ოპერაციის (და მშენებლობის დროს) ექნება პოტენციური შესაძლებლობა შენობების დისტაბილიზაციის და დაზიანებისა.

შეფასების შედეგი

არც ბოჯ-ს მილსადენს და არც სამხრეთ კავკასიის მილსადენს აქვთ ვიბრაციის პოტენციური შესაძლებლობა. მშენებლობის დროს გამოყენებული გზის გამკვალავი მანქანა წარმოშობს ვიბრაციას, მაგრამ ვიბრაცია ნიადაგის მიერ იქნება შენელებული და საბოლოოდ გაუჩინარდება ვიბრაციის ადგილიდან დაახლოებით 25-დან 50 მეტრის მანძილზე. ასე რომ, მშენებლობასთან დაკავშირებული ვიბრაცია არ დააზიანებს შენობას მიუხედავად მისი მდგომარეობისა.

4.1.8 საკითხი VII – 500 მეტრიანი უსაფრთხოების ზონა ნიშნავს რომ ამ ზონის შიგნით მოქცეულ სახლებს საშიშროება ემუქრებათ

ბოჯ-მ და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიებმა დაადგინეს 500-მეტრიანი "უსაფრთხოების ზონა" მილსადენის გასწვრივ ორივე მხარეს. მე-18 და მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი სახლები მდებარეობენ ამ ზონაში (250-დან 300 მეტრამდე დაშორებით). "უსაფრთხოების ზონის" გამოცხადებამ გამოიწვია ამ ზონაში მოყოლებულ მოსახლეობის შემფოთება.

შეფასების შედეგი

უსაფრთხოების ზონა რეკომენდირებული იყო სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის მშენებლობისათვის როგორც დამატებითი რისკის შეფასების შედეგი და ეს უსაფრთხოების ზონა ბოჯ-ს მილსადენისადმი წაყენებული მოთხოვნის ნაწილი გახდა. 500-მეტრიანი ზონა დღეს დღეობით არის საუკეთესო პრაქტიკა გაზის მილსადენის გარშემო მიწის გამოყენებისა და საზოგადო განვითარებისა.

ეს ზონა შექმნილი იყო იმ მიზნით, რომ მთავრობას ეცნობებინა მილსადენის მშენებლებისათვის მილსადენის მახლობლად ნებისმიერი მომავალი მშენებლობების შესახებ და მილსადენის მშენებლებს საშუალება ექნებოდათ შეეცვალათ რისკის ფაქტორი. უსაფრთხოების ზონით კონტროლდება მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი ადგილები და აგრეთვე სკოლები, საავადმყოფოები და საბავშვო ბალები. ეს "უსაფრთხოების ზონა" მოითხოვს ნებისმიერი ახალი მშენებლობებისგან იგივე უსაფრთხოების სტანდარტებს, როგორცაა არსებული საცხოვრებელი ადგილებისათვის. ეს თავიდან ააცილებს მილსადენის მშენებლებს მილსადენის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაადგილებას ან მილსადენის მოცულობის შემცირებას. ეს აგრეთვე გარანტიას იძლევა იმისა, რომ ადგილობრივი მგეგმავები არ გასცემენ ნებართვებს ამ ზონაში ახალი მშენებლობებისათვის, რათა არსებულმა მილსადენმა მოსახლეობა რისკის ქვეშ არ დააყენოს. მიუხედავად ამისა, "უსაფრთხოების ზონა" არ წარმოადგენს აუცილებლობას ბოჯ -ს მილსადენის გარშემო მიწის გამოყენებისა და შემდგომი განვითარებისათვის პროექტის მშენებლობის უმაღლესი სტანდარტების გამო (ტექნიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება B31.4 (ASME-B31.4) და ამ სტანდარტების გამო არ არის მოთხოვნილებები, რომლებიც ეხება ნავთობის მილსადენის მშენებლობას საცხოვრებელი ადგილების მახლობლად.

4.1.9 საკითხი VIII - ბაქო-სუფსის მილსადენს აქვს ჟონვის ისტორია და ეს ადასტურებს მოსახლეობის შემფოთების სამართლიანობას

ბაქო-სუფსის მილსადენისათვის, რომელიც ამენებული იყო კარგა ხნის წინ და ბოჯ და სამხრეთ კავკასიის მილსადენებთან კავშირი ექნება, ნავთობის გაჟონვის შემთხვევები ახალი არ არის. მოსახლეობას სჯერა, რომ შესაძლებლობა არის იმისა რომ ახალმა მილსადენმა ჟონვა დაინყოს და დააზიანოს მათი სახლები.

შეფასების შედეგი

(დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) და ბოჯ ერთმანეთს უკავშირდებიან P1-სა და KP-20-ს შორის, რომელიც არის 10 კილომეტრით დაშორებული ქალაქ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრო-რაიონებიდან. შემდეგ კი ბაქო-სუფსის მილსადენი მოთავსებულია ბოჯ-ს სანინალმდეგოდ მდინარე მტკვრის მეორე მხარეს). ბაქო-სუფსის მილსადენი (აგრეთვე ცნობილი როგორც დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) აშენებული იყო საბჭოთა პერიოდში. მილსადენის ხარისხი და მისი მოვლა არსებულ სტანდარტებზე ბევრად დაბალი დონის იყო და მიღებმა დაჟანგვა დაიწყო, ამას მოჰყვა ნავთობის გაჟონვა (დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენის კომპანიამ მისი კონტროლის ქვეშ მოქცევის შემდეგ შეცვალა არსებული მილსადენის მნიშვნელოვანი ნაწილი). ბაქო-სუფსის გამოცდილება არ არის ნამდვილი საბუთი იმისა, რომ ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენს გაჟონვის საშიშროება ემუქრება. მეორე მხრიდან, ხარისხიანად აშენებული და კარგად მოვლილი მილსადენის საოპერაციო წარსული ასაბუთებს, რომ (ნავთობისა და გაზის მილსადენები) შესაბამისი გარე დაფარვისა და დაჟანგვის კონტროლის სისტემები დაიცავს მილსადენს დაჟანგვის შედეგად ლითონის დაკარგვისა და შემდგომი გაჟონვისაგან.

ორივეს, ბოჯ-ისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებს მაღალი ხარისხის გარე დაფარვისა და დაჟანგვის კონტროლის სისტემა აქვთ. ამასთან დამატებით, არის პირობა ბოჯ-ს კომპანიიდან, რომ ბოჯ თვითონ იქნება პასუხისმგებელი განახორციელოს ლითონის დაკარგვის ინსპექცია ე.წ "უნარიანი" კოპიტულების გამოყენებით აქტიური დაჟანგვის ნებისმიერი ადგილის დასადგენად. "უნარიანი" კოპიტულები გარანტიას იძლევა იმისა, რომ მისი გამოყენებით საკმაოდ სწრაფად იქნება აღმოჩენილი დაჟანგვის ადგილები და ლითონისათვის მიყენებული გარე დაზიანება და ეს კი თავის მხრივ საშუალებას იძლევა რომ მილსადენის შეკეთება მოხდეს ბევრად უფრო ადრე, მილსადენის გაჟონვის ან მილსადენის მწყობრიდან გამოსვლის დაწყებამდე.

4.1.10 სიტყვიერი საკითხი I - იზოლაციის სარქველების სიახლოვე საცხოვრებელ ადგილებთან

მოსახლეობამ გამოხატა შეშფოთება იმის შესახებ, რომ მშენებლობის წარმოების დროს ბოჯ-მ გადანყვიტა მოენახა იზოლირებული სარქველი მე-18 და მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი ადგილების ახლოს და რომ ამის გამო მათ პოტენციური საშიშროება ემუქრებოდათ სარქველიდან გამოშვებული ელემენტებისაგან ან კიდევ შესაძლებელი დაშავება სარქველის დადგმის დროს.

შეფასების შედეგი

საინჟინრო გეგმის გამოძიებამ დაადგინა, რომ იზოლაციის სარქველები არ არის მოთავსებული იმ მე-18 და მე-19 მიკრორაიონებთან ახლოს მდებარე მილსადენში. უახლოესი სარქველი ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენისა არის მილსადენში, რომელიც მე-18 და მე-19 მიკრორაიონებიდან აღმოსავლეთით 2-დან 3 კილომეტრამდეა დაშორებული.

მოსახლეობამ შეიძლება გაიგოს ხმაური სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენიდან, რომელიც გამონვეული იქნება მილსადენის დი-ჰერმეტიზაციის დროს, თუმცა ეს ძალიან იშვიათად ხდება. ხმაური, გამონვეული ბოჯ-ს მილსადენის იზოლაციის სარქველით ან ნწევის გამოშვებით, გასაგებიც კი არ იქნება.

4.1.11 სიტყვიერი საკითხი II - მშენებლობის დროს ნაპოვნი იქნა დაბინძურებული ადგილი

მშენებლობის დროს მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებმა იგრძნეს ცუდი სუნი, რომელიც დაუკავშირეს ადრე არსებულ საქონლის სამარხს, სადაც

დამარხული იყო საქონელი რომელიც დაიღუპა ან მოკლული იქნა ე.წ. ანტრაქსის გავრცელების პერიოდში.

შეფასების შედეგი

ბთჯ -ის კომპანიამ მოგვახსენა, რომ რუსთავისა და მდინარე მტკვირის მახლობლად არის ორი ანტრაქსის პოტენციური სამარხი, მაგრამ ეს სამარხი მდებარეობს მილსადენის მარშრუტისგან მოშორებით და არის ჰორიზონტალური მიმართულებითი ბურღის (HDD) ახლოს. ეს ადგილი შემოღობილია გამაფრთხილებელი ნიშნებით და ნარჩენებით.

ტექნიკური მრჩევლები ეცადნენ უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვებას, მაგრამ უშედეგოდ. შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს და დამოუკიდებელ ინჟინრებს ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაუკეთებიათ არანირი დასკვნა, რადგანაც ეს საკითხი საინჟინრო შეფასების ფარგლებს გარეთაა და აგრეთვე გადაწყვეტისათვის საჭირო ინფორმაციის უკმარისობის გამო.

4.1.12 სიტყვიერი საკითხი III - შეშფოთება გლობალური ადგილმდებარეობისა (GPS) და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების მიერ რადიაციის გამოსხივების შესახებ

მოსახლეობამ აგრეთვე გამოხატა შეშფოთება საჯარო დოკუმენტებში მოხსენებული ინფორმაციის შესახებ, რომ მშენებლობის ერთ-ერთი ფაზის დროს გამოყენებული იქნება GPS (გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები) და GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები), რომლებიც გამოასხივებენ რადიაციას და ამით მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნება.

შეფასების შედეგი

გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები (GPS) არის მსოფლიოში აღიარებული და ძალიან ხშირად გამოყენებული ნავიგაციისა და ტოპოგრაფიული აგეგმვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კოსმოსური თანამგზავრზე და მოთავსებულია კოსმოსში დედამიწის ზემოთ. ეს თანამგზავრები გადმოსცემენ სიგნალებს დედამიწაზე თავიანთი ადგილმდებარეობის შესახებ და გადაცემისათვის იყენებენ მცირე ძალის რადიოსიგნალებს. გლობალური ადგილმდებარეობის სისტემის მიმღები კი დედამიწაზე ლეზულობს ინფორმაციას სამი ან მეტი თანამგზავრისაგან და გამოთვლის მიმღების ზუსტ ადგილმდებარეობას. რამდენადაც გლობალური ადგილმდებარეობის სისტემა მხოლოდ მიმღებია, ამდენად იგი რადიაციას არ ასხივებს. სიგნალები, რომლებიც მიღებულია თანამგზავრისაგან ტიპიურად უფრო ნაკლები ძალისაა ვიდრე მობილური ტელეფონები, რომლებიც ფართოდ არის ხმარებაში საქართველოში.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) არის კომპიუტერის სივრცის დამგეგმავი სისტემა, რომელიც აჩვენებს მილსადენს, ნიადაგსა და შენობებს და აგრეთვე მათთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ ინფორმაციას. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები არ ასხივებენ რადიაციას.

4.1.13 სიტყვიერი საკითხი IV - მილსადენის მარშრუტი შეცვლა მოსახლეობისათვის არ იყო ცნობილი

დასაწყისში მოსახლეობას ეგონა რომ მილსადენის მარშრუტი გაივლიდა გარდაბნის ახლოს. მშენებლობის დაწყებამდე მათ არ იცოდნენ, რომ მარშრუტი შეიცვალა და რუსთავის ჩრდილოეთით, მათ საცხოვრებელ სახლებთან ასე ახლოს იქნებოდა. მოსახლეობამ აგრეთვე გამოთქვა სურვილი მილსადენის სხვა ადგილას გადატანისა.

შეფასების შედეგი

მილსადენის მშენებლობის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა განიხილეს ყველა ის დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასა და სოციალური გავლენის შეფასებასთან (ESIA) და მარშრუტის შერჩევის შესახებ დისკუსიები ჰქონდათ ბთჯ-ს კომპანიის თანამშრომლებთან. აღმოჩნდა, რომ მარშრუტი 1 გადიოდა მენყერიან ადგილას და მზარდი საფრთხის გამო ეს მარშრუტი უარყოფილი იქნა დაგეგმვის ადრეულ ფაზაში. მარშრუტი 2, რომელიც გადაკვეთავდა მდინარე მტკვარს რუსთავის სამხრეთით გარდაბნის რაიონში, გაივლიდა სამხედრო ტერიტორიაზე და ამის გამო საქართველოს მთავრობამ ნებართვის გაცემაზე უარი განაცხადა. მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულების დასაკმაყოფილებლად მარშრუტი 3 დეტალურად იქნა გამოძიებული სანამ მას საქართველოს მთავრობას შესთავაზებდნენ დასამტკიცებლად. საქართველოს მთავრობის მიერ ამ მარშრუტის დამტკიცების შემდეგ ინფორმაცია ამ მარშრუტის შესახებ იყო გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაში და ნახსენები საჯარო შეხვედრის დროს რომელიც ჩატარდა რუსთავში 2002 წლის ივლისში.

4.2 ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებული საკითხი

მილსადენის მშენებლობის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა რუსთავის მოსახლეობას მიანოდეს ტექნიკური გარანტია საჩივარში ხსენებულ თითქმის ყველა საკითხებზე. მაგრამ არის ერთი კითხვა რომელიც უპასუხოდ რჩება: თუ რატომ წამოიჭრა უსაფრთხოების საკითხი თავდაპირველად. საჩივრის კონტექსტში უსაფრთხოების საკითხის წამოჭრის წყარო და მისი გავლენა ბთჯ კომპანიის კურსზე და პარაქტიკაზე ინფორმაციის გაზიარებასთან და კონსულტაციასთან დაკავშირებით არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მაცხოვრებელთა საჩივრის თანახმად, 2004 წლის იანვრამდე ე.ი. მშენებლობის დაწყებამდე არანაირი ინფორმაცია მილსადენის მარშრუტის შესახებ არ ყოფილა გაზიარებული მოსახლეობასთან და ბთჯ-ს კომპანიას მათ მიერ გაგზავნილ წერილებზე პასუხი არ გაუცია.

აქ მთავარი საკითხია ბთჯ-ს კომპანიის მიერ მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, განსაკუთრებით კი იმ სპეციფიური ინფორმაციისა, რომელიც მოსახლეობამ მოითხოვა და რომელიც ეხებოდა მილსადენის მშენებლობის უსაფრთხოების დეტალებს. ამასთან დაკავშირებული ფაქტია ის, თუ როგორ აღიქვა ბთჯ-ს კომპანიამ მოსახლეობის წარმოდგენა მილსადენის რისკისა, მიუხედავად ბთჯ-ს კომპანიის მიერ რისკის ტექნიკური შეფასების ჩატარებისა.

4.2.1 საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მოთხოვნები და ბთჯ-ს ორგანიზაციული პასუხი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის შეფასების პოლიტიკის (OP 4.01, 1999 წლის იანვარი)⁴ მოთხოვნები, რომ პროექტის მშენებლობით გავლენილ მოსახლეობასთან კონსულტაციები ჩატარდეს გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების (ESIA) დროს და განიხილოს პროექტის პოტენციური გავლენა გარემოსა და სოციალურ ცხოვრებაზე. ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობით გავლენილი დასახლებები ამოცნობილი იყო გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების დროს (ESIA)

⁴ ბთჯ-ს კომპანიის დოკუმენტები იხსენიებს "მსოფლიო ბანკის" პოლისებს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მაგივრად

როგორც დასახლებები, რომლებიც მდებარეობენ მილსადენიდან 2 კილომეტრის მანძილზე. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის შეფასების პოლისის (OP) 4.01 მოთხოვნილებაა, რომ იმ კომპლექსური პროექტებისათვის, როდესაც გარემოზე გავლენის რისკი მაღალია, მოსახლეობასთან კონსულტაცია ყველაზე ცოტა ორჯერ მაინც უნდა ჩატარდეს. უფრო მეტიც, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სახელმძღვანელო "უკეთესი ბიზნესის წარმოება მოსახლეობასთან ეფექტური კონსულტაციების ჩატარებითა და ინფორმაციის გაზიარებით: კარგი ადათის სახელმძღვანელო" იძლევა მოქმედების გეგმას, რომელიც განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ პროექტის სპონსორმა (ამ შემთხვევაში ბთჯ) უნდა გახადოს საჯარო კონსულტაცია პროექტის მონაწილე ყველა მხარისათვის ადვილად მისაწვდომი.

ბთჯ მილსადენის მშენებლობის პროექტი არ მოიცავს ფიზიკური გადასახლების გეგმას, მაგრამ ბთჯ-ს კომპანიამ ჩამოაყალიბა გადასახლების მოქმედების გეგმა (RAP) რათა განხილული ყოფილიყო პროექტთან დაკავშირებული მინის შექმნის საკითხებთან. პროექტთან დაკავშირებული გადასახლების კონსულტაციების აუცილებლობა არის განხილული საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ძალაუფლებული გადასახლების პოლისში (OD 4.30) და ხაზგასმულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის "სახელმძღვანელო ძალაუფლებული გადასახლების მომზადებისათვის". განსაკუთრებით კი პროექტის სპონსორს ეთხოვება, რომ ინიციატივა გამოიჩინოს და ჩაატაროს კონსულტაციები ძალაუფლებული გადასახლების გეგმისა და განხორციელების განმავლობაში და განიხილოს სხვა საკითხთა შორის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები, დავის გადაწყვეტილება და შეიმუშავოს შემასწორებელი მოქმედებებისათვის თვალყურის დევნის მექანიზმი.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა მოთხოვნილებებისა და ამ საჩივრის პასუხად, ბთჯ-ის კომპანიამ⁵ განაცხადა, რომ საბოლოო ანგარიშით მილსადენის ოპერატორები იქნებიან პასუხისმგებლები მილსადენით გავლენილ მოსახლეობასთან ურთიერთობისათვის და რომ მთავარი პასუხისმგებლობა ყოველდღიური ურთიერთობისა და ანგარიშის მშენებლობის კონტრაქტორს სპიე ქაფაგ პეტროფაგის ერთობლივ კომპანიას (SPJV). ბთჯ-ს კომპანიამ აგრეთვე წაუყენა მოთხოვნილება სპიე ქაფაგ პეტროფაგს რომ ჩამოაყალიბოს საკუთარი დეტალური გეგმა საზოგადოებასთან ურთიერთობისა (CRP). ბთჯ-ს კომპანიამ აღნიშნა, რომ თუკი მოსახლეობასთან ურთიერთობის სერიოზული პრობლემები წამოიჭრება და მათი გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება არსებული პრობლემების გადაჭრის მექანიზმით, მაშინ გადაწყვეტილების მოძებნა შესაძლებელი იქნება საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიის დახმარებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების (ESIA) თანახმად, მშენებლობის კონტრაქტორს აწევს მთავარი პასუხისმგებლობა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და აგრეთვე არის შეხვედრების სანყისი ადგილი მშენებლობის ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობისათვის. ბთჯ-ს კომპანიის პროექტის მენეჯერი იყო პასუხისმგებელი იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანი მიღწეულიყო. ეს უნდა მომხდარიყო საზოგადოებასთან ურთიერთობის ოთხი თავდადებული ოფიცრისაგან შემდგარი ჯგუფის საშუალებით. მშენებლების ჯგუფს თითოეულ უბანზე (spread)⁶ დაახლოებით 15 კოლომეტრის სიგრძის მშენებლობის მონაკვეთზე უნდა ემუშავათ ერთი ნებისმიერი დროის მონაკვეთში. ამდგვარად, საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი ოფიცერი იყო დანიშნული ყოველი უბნისათვის მშენებლობის გასწვრივ მდებარე მოსახლეობასთან კავშირის დასამყარებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის დანიშვნის შესახებ განსხვავება იყო საზოგადოებასთან კონსულტაციისა და განხილვის გეგმაში: საზოგადოებასთან

⁵ იხილეთ გარემოს დაცვისა და სოციალური აქტიურობის გეგმა (ESIA) დანართი F მოსახლეობასთან კონსულტაცია და განხილვის გეგმა (PCDP).

⁶ უბანი (spread) არის გარკვეული სიგრძის არეა მშენებლობის ოპერაციების სანარმოებლად.

ურთიერთობის ერთი ოფიცირი იყო დანიშნული ყოველი საამშენებლო ჯგუფის უბნისათვის 50 კილომეტრის სიგრძეზე. ასეთი განსხვავება მიგვანიშნებს ნაწილის სიგრძის მნიშვნელოვან განსხვავებაზე და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების სამუშაო გადატვირთვაზე, რომელთა რიცხვიც პროპორციულად არ იყო გაზრდილი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის დავალება იყო: (1) საზოგადოებასთან შეხვედრის ორგანიზაცია მშენებლობის ჯგუფის ადგილზე ჩამოსვლამდე; (2) მშენებლობის განმავლობაში მოსახლეობასთან ყო ყოველდღიური (ან საჭიროებისდა მიხედვით) შეხვედრების ჩატარება და (3) საზოგადოებასთან მოლაპარაკების წარმოებისა და სპეციფიურ პრობლემათა გადაწყვეტის ყურადღების კონცენტრაციის უზრუნველყოფა დავის გადასაწყვეტი პროცედურების გამოყენებით.

საზოგადოებასთან კონსულტაციისა და განხილვის გეგმის თანახმად, ბთჯ-ს კომპანიამ უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის მუშაობა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის (CRM) საშუალებით და მასვე აწევს პასუხისმგებლობა მშენებლობის განმავლობაში მოსახლეობასთან ურთიერთობისათვის. გარდა ამისა, გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების თანახმად, ბთჯ-ს კომპანიის მშენებლობის მენეჯერის აწევს პასუხისმგებლობა მშენებლობის განმავლობაში უსაფრთხოების საკითხებისა და შეთანხმებული მიზნების მიღწევისა. ბთჯ-ს კომპანიამ აღნიშნა (გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების პასუხებში კომენტარებზე), რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფები შეხვედრობდნენ მილსადენის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას მშენებლობის დაწყებამდე და ამ შეხვედრების დროს განიხილავდნენ უსაფრთხოების საკითხებს რეალური და წარმოდგენითი რისკის ჩათვლით. ამ მხრივ, სპონსორმა ხაზი გაუსვა (გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების პასუხებში კომენტარებზე) იმას, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობას პროექტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და მოსახლეობის საზრუნავს უმაღლესი პრიორიტეტი მიეცემა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა შექმნილი იყო რათა აწყობილიყო და გაგრძელებულიყო შემოქმედებითი ურთიერთობა მოსახლეობასა და პროექტს შორის და აგრეთვე გადაწყვეტილიყო პრობლემები მიმართული ბთჯ-ს კომპანიისა და მისი კონტრაქტორის სპე ქაფაგ პეტროფაგისადმი. საჩივარში ნამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი იქნა შექმნილი რათა უზრუნველყოფილიყო მოსახლეთა საჩივრის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და მოსახლეობისათვის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მექანიზმი უნდა გამოყენებულიყო ყველა იმ საჩივრის გადასაწყვეტად, რომელიც მიღებული იქნებოდა მილსადენის მშენებლობის მიერ ზეგავლენილი ნებისმიერი მოსახლეობისაგან. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები არიან პასუხისმგებელი რეგისტრაცია გააკეთონ წერილობითი საჩივრისა და კოორდინაცია გაუკეთონ საჩივარზე გაცემულ პასუხებს.

4.2.2 ბთჯ-ს კომპანიის მიერ გეგმის განხორციელების მცდელობა და შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის დასკვნები

ბთჯ-ს კომპანიის ვალდებულებები გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების თანახმად

ბთჯ-სა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიებმა აღნიშნეს, რომ გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების საჯარო განხილვის გეგმა მომზადდა 2002 წლის მაისის თვის ბოლოსა და ივლისის თვის დასასრულს შორის. მილსადენის შესახებ საჯარო ინფორმაცია მიწოდებული იყო მოსახლეობისათვის პამფლეტებისა და ბროშურების სახით უსაფრთხოების, მინასთან დაკავშირებული საკითხებისა და შესაძლებელი სამუშაოს შესახებ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების არატექნიკური დასკვნა და აგრეთვე საგამოფენო პანელები, სატელევიზიო პროგრამები და რეკლამა გაზეთებში. პანელები, რომლებიც იტყობინებოდნენ თარიღს, ადგილსა და საჭირო ტრანსპორტაციის გეგმას "საგზაო შოუსათვის" (Road Show) და საჯარო

შეხვედრებისათვის მოთავსებული იყო სულ მცირე ორ მეტად თვალსაჩინო ადგილას თითოეული დასახლებისათვის და ადგილობრივი გუბერნატორების ოფისებში. ბთჯ-ს კომპანიამ გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასების გეგმა საჯარო განხილვისა და კომენტარებისათვის ხელმისაწვდომი გახდა რუსთავის რაიონული ადმინისტრაციის ცენტრში (მინის მართვისა და მფლობელობის განყოფილება) და ქალაქ რუსთავის მთავრობის ოფისში. ყველა დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყო ქართულ და რუსულ ენებზე.

საზოგადოებასთან კონსულტაციისა და განხილვის გეგმის თანახმად, ბთჯ კომპანიის მრჩეველები სამჯერ ესტუმრნენ მილსადენის მშენებლობის გავლენის ქვეშ მოქცეულ ყველა დასახლებას რუსთავის ჩათვლით. გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების სრული ტექსტი ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობისათვის და გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების არატექნიკური ადმინისტრაციული დასკვნის ასლები მიეცა მოსახლეობას თან წასაღებად. პამფლეტები, სადაც აღწერილი იყო მილსადენის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის საზრუნავი და ინტერესები დარიგებული იყო მოსახლეობისათვის. აგრეთვე დარიგებული იყო საპასუხო ფორმები; და სპეციალური ყუთი იყო მოტანილი შევსებული ფორმების შესაგროვებლად ან კიდევ მათი გაგზავნა შეიძლებოდა ბთჯ-ს კომპანიისათვის თბილისში. და ბოლოს, საჯარო განხილვის სატელეფონო ხაზი იქნა დაარსებული.

ბთჯ-ისა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიის თანახმად, საჯარო შეხვედრაზე, რომელიც რეკლამირებული იყო 11 გაზეთში და ტელევიზიის 6 სხვადასხვა სადგურის მიერ, მოვიდა დაახლოებით 600 ადამიანი. შეხვედრის დროს დიდი ზომის რუქები იყო გამოფენილი და ინფორმაცია გარემოსა და სოციალური გავლენის პოტენციური რისკის შესახებ დარიგებული. შეხვედრისას კითხვა-პასუხებს ჰქონდა ადგილი საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, მილსადენსა და დასახლებულ ადგილებს შორის მანძილის შესახებ, მარშრუტის შერჩევისა და საამშენებლო დერეფნის სიგანისა და მიმდინარე მშენებლობის შესახებ და აგრეთვე იმ მინის მფლობელთა კომპენსაციის საკითხზე, რომლებიც მოჰყვნენ 44-მეტრიან საამშენებლო დერეფნის ზონაში. როდესაც შეხვედრა დამთავრდა, ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხი არ იყო გაცემული და ბთჯ-ს კომპანიამ გაზეთ "რუსთავში" გამოაქვეყნა პასუხები მინის, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის, მილსადენის უსაფრთხოებისა და ოპერაციის შესახებ დასმულ კითხვებზე. საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიის თანახმად, რუსთავის ქალაქში ჩატარებული შეხვედრა, რომელიც აჩვენებდა (სხვა ინფორმაციასთან ერთად) მილსადენის მარშრუტს, მრავალჯერ იყო გადაცემული ტელევიზიით 2003 წელს; საზოგადოებისათვის ინფორმაციის პანელები კი მომზადდა 2003 წლის მოემბერსა და დეკემბერში.

ვალდებულებები გადასახლების მოქმედების გეგმის თანახმად

გადასახლების მოქმედების გეგმის შემუშავებისა და სისრულეში მოყვანისას კონსულტაციები დაიწყო და განხორციელებული იქნა ბთჯ-ს კომპანიის მიწასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი ჯგუფის, დამოუკიდებელი კონსულტანტებისა და მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ. საჯარო განხილვისათვის შეიქმნა დოკუმენტი მინის შექმნისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო (GLAC), რომლის ყურადღების ცენტრში იყო საზოგადოების საზრუნავი. 2002 წლის ოქტომბრის ბოლოდან და 2003 წლის 8 იანვარს მინის შექმნისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოსთან ერთად მთლიანი ტექსტი გადასახლების მოქმედების გეგმისა გახდა ხელმისაწვდომი საჯარო განხილვისათვის. მინის შექმნისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი გახდა რუსთავის რაიონის მინის განყოფილებაში; მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაციამ ჩაატარა მთელი რიგი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან 2002 წლის ივლისსა და დეკემბერს შორის და მათ შორის ორი შეხვედრა ჩატარდა რუსთავში 2002 წლის 7 სექტემბერს. გადასახლების მოქმედების მთლიანი გეგმა ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისათვის რიონული მინის განყოფილებაში 2003 წლის 8

იანვრიდან; რეკლამები ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა 7 ეროვნულ და 5 ადგილობრივ (ყოველკვირეულ) გაზეთში, რომლებიც იუნკებოდნენ, რომ გადასახლების მოქმედების გეგმა ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისათვის. მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაციამ დაბეჭდა და დაარიგა 10,000 ბთჯ-ს პამფლეტი მილსადენის ახლოს მდებარე საცხოვრებელ რაიონებში, თბილისში ჩაატარა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადრეულ სტადიაში ესტუმრა რუსთავის მინის მფლობელებს.

შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის დასკვნა: ბთჯ კომპანიის მიერ გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებისა და გადასახლების მოქმედების გეგმის განხორციელება

შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისში წარმოდგენილი იქნა ერთმანეთის საწინააღმდეგო ინფორმაცია კონსულტაციის დროისა და შინაარსის შესახებ. განმცხადებლები ამბობდნენ, რომ მათ ან არ იცოდნენ რომ ბთჯ კომპანიამ მოაწყო შეხვედრა რუსთავში ან არ შეეძლოთ შეხვედრაზე მისვლა. განმცხადებლები ასევე ამბობენ რომ მათ არაფერი იცოდნენ მილსადენის მარშრუტისა და მილსადენის უსაფრთხოების შესახებ არც ბთჯ კომპანიიდან და არც სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან. ორივემ, ბთჯ კომპანიამ და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიამ გამოთქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლები მშენებლობის დაწყებამდე ინფორმაციის გარეშე იყვნენ დატოვებულნი. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიმ და ბთჯ ახსენა ორი წერილი რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის ზოგიერთი მაცხოვრებლისაგან ერთი დათარიღებული 2002 წლის 8 ნოემბრით (მიმართული საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიისადმი) და მეორე კი 2003 წლის 29 იანვრით (მიმართული ბთჯ-სადმი), რომელიც მათ თანახმად, აღნიშნავს განმცხადებლებთა მიერ იმის ცოდნას, რომ მილსადენი ახლოს (120 მეტრი მანძილის დაშორებით) გაივლიდა საცხოვრებელი ადგილიდან. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანია აგრეთვე ამბობს, რომ ამ პერიოდში მის თანამშრომლებს ხშირი შეხვედრები ჰქონდათ ამ მაცხოვრებლებთან. განმცხადებლებმა ამას უპასუხეს, რომ მათ ამ ორი წერილის შესახებ არაფერი იცოდნენ და რომ ეს ორი წერილი შესაძლებელია ყოფილიყო შეკითხვები უსაფრთხოებისა და კომპენსაციის შესახებ იქ მცხოვრები რამოდენიმე მაცხოვრებლისაგან და რომ ეს ინფორმაცია არ იყო იმ დროს გაზიარებული მაცხოვრებელთა უმეტესობასთან.

განმცხადებლებმა საჩივარში ახსენეს ორი წერილი, რომელიც მათ გაუგზავნეს ბთჯ-ს, მაგრამ მათზე პასუხი არ მიუღიათ. შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისმა ზემოთ აღწერილ წერილზე დათარიღებული 2003 წლის 29 იანვრით და მეორე წერილზე დათარიღებული 2003 წლის 30 აპრილით მიმართული ბთჯ-ს კომპანიისადმი პასუხი ვერ იპოვნა. წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ მე-18 და მე-19 მიკრორაიონის ზოგიერთი მაცხოვრებლები, იყო წერილი მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მაცხოვრებელთა სხვა ჯგუფისაგან, რომელთა ურთიერთობა განმცხადებლებთან ვერ დადგინდა. წერილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მინისათვის შეთავაზებული კომპენსაციის თანხის შესახებ.

ბთჯ-მ და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიამ აღნიშნეს, რომ ბთჯ-მ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიას გაუგზავნა წერილი დათარიღებული 2003 წლის 11 მარტით მილსადენის უსაფრთხოების სტანდარტების შესახებ და ამ წერილის ასლები მიეცათ რუსთავის მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებს. განმცხადებლებმა თქვეს, რომ მათ ნახეს და წაიკითხეს ეს წერილი, მაგრამ განაცხადეს, რომ ამ წერილში ეფექტიურად არ იყო ახსნილი ბთჯ-ს მშენებლობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მიუხედავად ამისა, ამ წერილში დეტალურად იყო აღწერილი საერთაშორისოდ აღიარებული მილსადენის მშენებლობის გეგმის კოდი ASME B31.8, რომელიც "უფლებას იძლევა საცხოვრებელი სახლი აშენდეს მილსადენიდან ერთ ამ მეორე მხარეს 15 მეტრის დაშორებით".

განმცხადებელთა ალქმა ბთჯ-ს კომპანიის საერთაშორისო სტანდარტების განხილვის გამო წინააღმდეგობის განწეისა დადასტურებული იყო მწვანე ალტერნატივისა და ასევე სხვა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. უსაფრთხოების სტანდარტების სრულად ახსნის გარეშე ბთჯ-ს კომპანიის მიერ დაწინებამ იმისა, რომ მილსადენი საფრთხეს არ შეუქმნიდა მოსახლეობას, გაზარდა განმცხადებელთა ეჭვი.

შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის აზრით, ადრეულ ეტაპზე რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებთან აქტიური ურთიერთობის უქონლობამ, შეჯამებულმა ადგილობრივ ეკომომიკურ და სოციალურ დებრესიებთან, გამოიწვია განხეთქილება განმცხადებლებსა და ბთჯ-ს კომპანიის შორის. შემასწორებელმა მოქმედებებმა, რომლებიც სამიოდე კვირის შემდეგ მოჰყვა შეთანხმების მრჩეველთან/ომბუცმენის ოფისში შემოტანილ საჩივარს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების მიერ განახლებული კონტაქტების ჩათვლით, გამოიწვია დადებითი რეაქცია მაცხოვრებელთაგან, რომლებიც ამ მოქმედებებს უწოდებენ "ცოტას და დაგვიანებულს".

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების შესახებ

2003 წლის აპრილისათვის ბთჯ-ს კომპანიას ჰყავდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ხუთი ოფიცერი: სამი მათგანი მილსადენი მშენებლობისათვის და ორი საქართველოში არსებული ორი სატუმბავი სადგურისათვის. 2004 წლის თებერვალსა და მარტში ბთჯ-მ დაიწყო დაიქირავება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამი ოფიცრისა, რომლებიც სამუშაო ადგილზე იქნებან 2004 წლის აპრილის ბოლოსათვის და დაახლოებით ამ დროისათვის ერთმა საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრმა დატოვა პროექტი. 2004 წლის მაისში, ბთჯ-ს კომპანიამ დაიწვა საზოგადოებაში დაბანდების ოფიცერი (CIO) საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრად სპეციფიურად მაცხოვრებელთა მიერ წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად.

სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმის დამოუკიდებელი პირველი შემონმების (SRAP)⁷ თანახმად რომელიც დასრულდა 2003 წლის აგვისტოში, შემონმების დროს საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი კვლავ ეკისრა ბთჯ-ს კომპანიის მიწის ჯგუფებს. იგულისხმებოდა, რომ როგორც კი მიწის შესყიდვის პროცესი დამთავრდებოდა, ბთჯ-ს კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობას სათავეში ჩაუდგებოდა კონტრაქტორი (SPJV) და ბთჯ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები. ეს ოფიცრები ალბათ ბთჯ კომპანიის მიწის ჯგუფიდან გადმოვიდოდნენ. სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმის განმხილველმა კომისიამ აღნიშნა, რომ წარსული გამოცდილება სხვა ორი ქვეყნიდან, სადაც მილსადენი კვეთავს ამ ქვეყნის ტერიტორიას, გვიჩვენებს რომ როლების მკაფიო განცალკევება კონტრაქტორისა და ბთჯ-ს კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს შორის კრიტიკულია. თუკი გაურკვეველია ის თუ ვის აკისრია პასუხისმგებლობა, მაშინ ძალიან ადვილია საკითხები დარჩეს გადაუწყვეტელი, რამდენადაც არავინ არ იღებს თავის თავზე ვალდებულებას გამოასწოროს შეცდომები.

2003 წლის ოქტომბერში ბთჯ-ს კომპანიამ გადანყვიტა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები გაზრდიან მათ აქტიურობას. ბთჯ-ს კომპანია აგრეთვე დაიქირავებს სოციალური სფეროს მეორე ზედამხედველს, რომელსაც მჭიდრო სამუშაო კავშირი ექნება საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებთან. ამასთან დამატებით, ბთჯ-ს კომპანია გამოჰყოფს სახსრებს მენეჯმენტის ჯგუფში ამ პროცესის მხარდასაჭერად და აგრეთვე უზრუნველჰყოფს

⁷ სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმა (SRAP) არის მოხსენება, რომელიც მოეთხოვება სპონსორს წელიწადში ორჯერ წარადგინოს როგორც ორივე, გადასახლების მოქმედების გეგმისა (RAP) და გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების (ESIA) მოთხოვნის ნაწილი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ელემენტების კოორდინაციას. 2004 წლის ივნისის დასაწყისში საჯარო ინფორმაციის ბროშურები იქნა გამოცემული და პირველი ბროშურა მიძღვნილი იყო მილსადენის მოქმედების უსაფრთხოებისადმი. უნდა გაფართოვდეს საკომუნიკაციო და საკონსულტაციო პროცესები და მათში აქტიურად უნდა ჩაებან მთავარი ადგილობრივი და ეროვნული პირები და ჩატარდეს შეხვედრა თითოეულ დასახლებასთან სულ მცირე თვეში ერთხელ.

სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმის მეორე მოხსენების თანახმად (2004 წლის თებერვალი), ბთჯ-ს კომპანია დათანხმდა უფრო აქტიურად გამოიყენოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები რათა მოამზადონ სოფლები და დასახლებები მშენებლობის დაწყებისათვის მოკლე ინსტრუქციების ჩათვლით და აგრეთვე დაინმარონ ადგილობრივი გავლენიანი მეპაიეები და გამოიყენონ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები როგორც "ჯგუფური მეთოდი" ნებისმიერი კრიზისის გადასაწყვეტად (როგორცაა ბლოკირება) პროექტის მიდამოებში. ბთჯ-ს კომპანიას სჯერა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრთა რიცხვისა და მენეჯმენტის რესურსების გაზრდით საშუალებას მისცემს ოფიცრებს დაამყარონ ურთიერთობა ადგილობრივ საზოგადოებასთან და აგრეთვე უზრუნველყონ ნებისმიერი დახმარება მშენებლობის ჯგუფებისათვის.

ბთჯ-ს კომპანიამ გააცნობიერა ფაქტი, რომ რუსთავის მაცხოვრებლები ჯერ კიდევ ნუხან მილსადენის უსაფრთხოებაზე "მიუხედავად ბთჯ კომპანიისა და სპიე ქაფაგ პეტროფაგის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების მრავალი ვიზიტისა და ადგილობრივ მთავრობასთან შეხვედრებისას განხილული ყველა იმ საკითხებისა, რომლებიც არის დაკავშირებული უსაფრთხოებასთან და მშენებლობასთან"⁸. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რჩევით, ბთჯ-მ დაბეჭდა ბროშურები უსაფრთხოების საკითხების შესახებ და ამ ბროშურებში დანართის სახით არის წარმოდგენილი რუსთავისთვის სპეციფიური ინფორმაცია და აგრეთვე "ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხების" ნაკრები საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისათვის, რათა გამოიყენებული იქნას რუსთავის განმცხადებლებთან მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. ბთჯ-ს კომპანიას სჯერა, რომ ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდი რისკის შეფასებისა და მილსადენის ინჟინრული სირთულეების განხილვისა არის მოკლე ინსტრუქციული შეხვედრები მოსახლეობის პატარა ჯგუფებთან, და არა ერთი დიდი შეხვედრა. ამას მხარი უნდა დაუჭიროს ადგილობრივი მთავრობისათვის, მერისა და გუბერნატორისათვის ინფორმაციის მიწოდებამ და მათმა მონაწილეობამ ურთიერთობის განვითარებაში საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიასთან ერთად. ბთჯ-მ აგრეთვე განაცხადა, რომ მან გასცა პასუხები იმ მრავალ წერილებს, რომლებიც მათთან გაგზავნილი იქნა რუსთავის მაცხოვრებლების მიერ და ასლები გადაუგზავნა სხვადასხვა სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კონტრაქტორმა (სპიე ქაფაგ პეტროფაგ - SPJV) აღნიშნა, რომ (საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიასთან ერთად) 2003 წლის 16 იანვარს ჩატარა დიდი საზოგადოებრივი შეხვედრა რუსთავში, სადაც მათ საკუთარი თავი წარუდგინეს მაცხოვრებლებს როგორც მილსადენის მშენებლობის კონტრაქტორი და აგრეთვე მოსახლეობას მიანოდეს ინფორმაცია ბთჯ-ს კომპანიის შესახებ. სპიე ქაფაგ პეტროფაგის თანახმად, რუსთავის ტელევიზიით გადაიკა პროგრამა მშენებლობის დაწყების შესახებ. მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით 2003 წლის განმავლობაში სპიე ქაფაგ პეტროფაგმა აგრეთვე გააგზავნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამი ოფიცერი (დღეს ამ კომპანიას ჰყავს 8), მაგრამ იმის დასაბუთება, თუ ვინ დაესწრო შეხვედრას, მას არ შეუძლია. შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრათა მოწყობის შესახებ საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი არ არის; სპიე ქაფაგ პეტროფაგი ამბობდა, რომ ასეთ შეხვედრებს ძალიან ცოტა მოსახლეობა დაესწრებოდა,

⁸ ბთჯ-ს პასუხი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ წამოჭრილ მთავარ საკითხებზე, 2004 წლის მარტი.

იმიტომ რომ მათ ძირითადად აინტერესებთ კომპენსაციის თანხა და მიწის მფლობელობა. მიუხედავად იმისა ეს შეხვედრები ჩატარდა თუ არა რუსთავში, სპიე ქაფაგ პეტროფაგისათვის რუსთავში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა კარგად იყო ცნობილი: მაგალითად, ბთჯ-ს კომპანიამ მიიღო რუსთავის მაცხოვრებლებისაგან 4,000 განცხადება სამუშაოზე მოწყობის შესახებ.

სპიე ქაფაგ პეტროფაგის კომპანიამ დაადასტურა, რომ მშენებლობის ჯგუფი მშენებლობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე იყო მდინარე მტკვრის გადაკვეთის ადგილას სადაც მშენებლობა ჩატარდებოდა და მოსახლეობას მიაწოდა მოკლე ინსტრუქციები უსაფრთხოების საკითხებზე, სამუშაოს შესახებ და საჩივრის განხილვის მექანიზმზე. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის თანახმად, ბთჯ-ის კომპანიის საზოგადოებრივი ურთიერთობის ოფიცერმა 2004 წლის 22 იანვარს ჩაატარა წინა-საამშენებლო ინსტრუქციები საზოგადოებასთან. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიამ აღნიშნა, რომ მას ეჭვი ეპარება იმაში, რომ სპიე ქაფაგ პეტროფაგმა რუსთავში ჩაატარა წინა-საამშენებლო შეხვედრა-შეტყობინება. 2004 წლის 21 იანვარს რუსთავის მე-19 მიკრორაიონის მუნიციპალურ შენობაში ჩატარდა შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 40-დან 50-მდე მაცხოვრებელი. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ რუსთავის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მერის მოადგილე, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენელი და საზოგადოებასთან ურთიერთობის ორი ოფიცერი. ამ შეხვედრაზე განიხილეს უსაფრთხოების საკითხები და აგრეთვე მე-19 მიკრორაიონის ახლოს მილსადენის მშენებლობით გამოწვეული კომპენსაციის საკითხები.

საჩივრის განხილვის მექანიზმის მოქმედების შესახებ

საჩივრის განხილვის მექანიზმი შექმნილი იყო რათა უზრუნველყოფილიყო ადგილობრივი მოსახლეობის საჩივარზე რეაგირება დროულად მომხდარიყო და შემასწორებელ მოქმედებებს ადგილი ჰქონოდათ. ეს უნდა შეხებოდა ყოველ საჩივარს, რომელიც აღძრული იყო მილსადენთან დაკავშირებით ნებისმიერი მოსახლის/მოსახლეობის მიერ. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერების მოვალეობაა წერილობითი საჩივრის რეგისტრაცია და მათზე რეაგირების კოორდინაცია. საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნას რამოდენიმე გზით, მათ შორის საჩივრის ყუთების გამოყენებით, რომლებიც მოთავსებულია ზოგიერთ სოფელში. 2004 წლის მარტში ბთჯ კომპანიამ აცნობა შეთხზების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისს, რომ როდესაც საჩივარი მიღებული იქნა ბთჯ-ს ან სპიე ქაფაგ პეტროფაგის კომპანიის მიერ, გადანყვეტის პროცესი დამოკიდებული იყო ამ საჩივრის სირთულესა და შინაარსზე. საერთოდ, საჩივრის განხილვის პირველი ნაბიჯია ვიზიტი სპიე ქაფაგ პეტროფაგის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრისგან რათა საჩივრის საფუძვლიანობა შეფასდეს. თუკი სპიე ქაფაგ პეტროფაგის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი დაადგენს, რომ საჩივარს საფუძველი არ აქვს, მაშინ ბთჯ-ს კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი საჩივრის განხილვის ჩვეულებრივი პროცესის თანახმად, რომელიც შედგება სპიე ქაფაგ პეტროფაგის საჩივრის რეგისტრაციის განხილვისაგან, აგრეთვე შეაფასებს ამავე საჩივარს. გადანყვეტილების პოვნის მცდელობა მოიცავს სოციალური ჯგუფის კოორდინაციას ადგილის მეთაურის, მენეჯერის, მშენებლობის მენეჯერისა და ხანდახან დამოუკიდებელი ტექნიკური მრჩევლის ჩათვლით. ბთჯ-ს კომპანიამ აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერთა რიცხვის გაზრდით საშუალება იქნება რეგულარულად შეამოწმოს სპიე ქაფაგ პეტროფაგის საჩივრის განხილვის სისტემა რათა ნახოს განმცხადებლის საჩივარს პასუხი თუ გაცეა და იგი კმაყოფილი თუ არა იმით, რომ საჩივარზე პასუხი მიიღო.

2004 წლის 5 მარტით დათარიღებულ წერილში ბთჯ-სადმი, საერთაშორისო საფინანსო კომპანიამ მრავალჯერ გაუხსვა ხაზი იმას, რომ ბთჯ-ის, სპიე ქაფაგ პეტროფაგის და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის მიერ შექმნილი საჩივრის განხილვის მექანიზმი არ მუშაობდა რამდენადაც მიწის მფლობელებმა და სოფლის მაცხოვრებლებმა არ იცოდნენ თუ სად შეეტანათ საჩივარი. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ აგრეთვე

შეამჩნია, რომ მოსახლეთა საჩივარს პასუხი დროულად არ ეცემოდა ძირითადად იმის გამო, რომ გარკვეული არ იყო ბთჯ-ს, სპიე ქაფაგ პეტროფაგისა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ოფიცრების როლი. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ აგრეთვე დაჟინებით მოსთხოვა ბთჯ საქართველოს, რომ შეექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის უკეთესი სისტემა საჩივრებზე ეფექტურად და დროულად პასუხის გასაცემად.

ბთჯ-ს კომპანიის რწმენა იყო, რომ ბთჯ-სა და სპიე ქაფაგ პეტროფაგის მიერ შექმნილი არსებული საჩივრის განხილვის პროცესი საკმაოდ ეფექტიური იყო. ორმა შინაგან წინა-საფინანსო რევიზიამ, რომელიც კრედიტორთა ჯგუფის გარემოს დაცვის კონსულტანტების, მოთ მაკდონალდის მიერ იყო ჩატარებული არ აღმოუჩენია ნაკლოვანებები საჩივრის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. ეს სისტემა ადგილზეა პროექტის დაწყებიდან; საჩივრები შედის ბთჯ-ს კომპანიაში ყოველთვიურად და აგრეთვე საჩივრებს თვალს ადევნებენ ყოველთვიური მოხსენებებისა და შეხვედრების საშუალებით. მოთ მაკდონალდის თანახმად, სპიე ქაფაგ პეტროფაგი პასუხობს საჩივართა 90 პროცენტზე მეტს შვიდი დღის განმავლობაში და საჩივარში ნამოჭრილი პრობლემები გადაწყვეტილია 30 დღეზე ნაკლებ ვადაში. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია შენუხებული იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის ამკარა სირთულით, რომელიც ნაჩვენებია იყო უამრავი რთული სიტუაციებით საზოგადოების ლიდერებსა და მინის მფლობელთა მაგალითზე.

2003 წლის დეკემბერში ბთჯ-ს კომპანიამ შექმნა მინასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის სისტემა, რომლის გამგებელიც არის მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია. იმ პიროვნებებმა, რომლებმაც საჩივარი შეიტანეს საჩივრის ყუთის გამოყენებით, მინის უფლებების დაცვის ასოციაციას აცნობეს, რომ მათ არ იციან, მათი საჩივარი მიღებული იქნა თუ არა. მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია ეხლა უგზავნის წერილს ყოველ განმცხადებელს, რათა აცნობოს საჩივრის მიღების შესახებ.

პირველი სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმის თანახმად, სპიე ქაფაგ პეტროფაგის მიერ მიღებული საჩივრები არ იყო მოხსენებული შინაგან სამეთვალყურეო მოხსენებაში. ყველა საჩივარი (მინასთან დაკავშირებულია თუ არა) საჭიროა რეგისტრირებული იყოს ხელმძღვანელობისა და მოხსენებისათვის. ექსპერტების კომისიას არ უნახია კონტრაქტორის საჩივართა რეესტრი. სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმის კომისიამ დაჟინებით სთხოვა ბთჯ კომპანიას შეემონებინა კონტრაქტორი ასაბუთებს თუ არა ყველა საჩივრის მიღებას და დროულად ლეზულობს თუ არა გადამწყვეტ მოქმედებებს. კომისიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ კომისიის მიერ შემოწმების დროს მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაციას მოკლე მოხსენება გაუკეთეს საჩივრის განხილვისა და დასაბუთების პროცესის შესახებ. მინის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაციამ დანიშნა კოორდინატორი თითოეულ რაიონში (მთლიანად ხუთი) რათა შეეგროვებინა საჩივრები და დახმარებოდა მათ გადამწყვეტაში. კომისიამ ურჩია ბთჯ-ს კომპანიას, რომ (1) ჩამოეყალიბებინა სამუშაო ჯგუფები რათა საჩივრის განხილვის პროცესი ნათელი გახდეს ყველა დაინტერესებული პირებისათვის და (2) განხორციელდეს საჩივრის გადამწყვეტილების შემოწმება განმცხადებლებთან დაკავშირებით როგორც გადასახლების მოქმედების გეგმის შინაგანი შემოწმების ნაწილი. ორივე რჩევა განხორციელებულია და ეს დამოწმებული იყო 2004 წლის სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმის კომისიის შემოწმებით.

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის დასკვნები საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისა და საჩივრის განხილვის მექანიზმის მუშაობის შესახებ

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი აღნიშნავს, რომ ბთჯ-ს კომპანიამ განახორციელა ბევრი შემასწორებელი მოქმედებები მას შემდეგ რაც საჩივარი შემოტანილი იქნა შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისში და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ

წამოყენებულ საკითხთა ნაწილს შეადგენდა. ამ შესწორებების მიზეზი იყო საჩივრის განხილვის მექანიზმის სისტემატიური პრობლემები და შემონგების დაბალი ხარისხი, რომელიც ხაზგასმული იყო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წერილში ბრიტიშ პეტროლეუმისადმი მინის შექენასთან დაკავშირებულ პროცესის საკითხის განხილვისას. შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისს სჯერა, რომ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობის შემფოთება მილსადენის უსაფრთხოების გამო იყო გამოწვეული საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებზე ძალიან დიდი იმედის დამყარებით, მაშინ როდესაც ოფიცრები არ იყვნენ აღჭურვილნი საკმარისი ტექნიკური და საინჟინრო ინსტრუქციებით. მინის შექენის შენელებულმა მსვლელობამ გამოიწვია ის, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები საკმაოდ გვიან გამოჩნდნენ პროცესში. შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის აზრია, რომ იყო საშუალება ბთჯ-ს კომპანიის მინის შექენის პროცესის დაჩქარებისა საქართველოში, რამდენადაც მათ იცოდნენ მოსახლეობასთან დაგვიანებული ურთიერთობის შესახებ - დანყებული მინის შექენის პროცესით და დამთავრებული მოსახლეობის მიერ ტექნიკური ინსტრუქციების მიღებით მათ შემფოთებაზე პასუხად.

შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი აგრეთვე აღნიშნავს, რომ თუკი სოციალური და გადასახლების მოქმედების გეგმის კომისიის რეკომენდაცია - მოიძებნოს საჩივრის განხილვის და გადწყვეტის უკეთესი მექანიზმი - მთლიანად ყოფილიყო განხორციელებული, მაშინ კომუნიკაცია რუსთავის მოსახლეობასთან ბევრად უკეთესი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით, შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს სჯერა, ადრეულ ეტაპზე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ურთიერთმოქმედება ბთჯ-ს კომპანიასთან უფრო მკაცრი რომ ყოფილიყო ნაკლოვანებები გამოსწორდებოდა.

შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის დასკვნის შეჯამება: ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხი

საბილოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ მაცხოვრებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ მილსადენის პროექტს რამდენადაც ის წარმოდგენილი იყო საზოგადოებრივი შეხვედრებისა და ინფორმაციის განხილვის პროცესის დროს, არ არსებობს დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ მოსახლეობისათვის ცნობილი იყო მანძილი მილსადენსა და მათ საცხოვრებელ სახლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბთჯ კომპანიამ დააკმაყოფილა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ძირითადი მოთხოვნები, მშენებლობის დანყებამდე მოსახლეობასთან, განსაკუთრებით კი მე-18 და

მე-19 მიკრორაიონის, შეხვედრის დამამტკიცებელი საბუთების ნაკლებობა არის საკმარისი მიზეზი იმისა, რომ შეთანხმების მრჩეველმა/ომბუცმენმა დაიჯეროს, რომ დასაწყისში ინფორმაციის უქონლობამ ხელი შეუწყო ქორების გავრცელებას, უნდობლობას და აგრეთვე ბთჯ კომპანიისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რწმენის, რომ ბთჯ მშენებლობას დადებითი გავლენა ექნება სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, წინააღმდეგ მოსახლეობის განწყობას.

5. შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის რეკომენდაციები

5.1 შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი დაუინებით სთხოვს ბთჯ-ს კომპანიას (და ბრიტიშ პეტროლეუმს როგორც მილსადენის ოპერატორს) გააგრძელოს განვითარება და განხორციელება მილსადენის უსაფრთხოების შესახებ გულდასმით შერჩეული ინფორმაციის მიწოდებისა რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მაცხოვრებლებისათვის შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის მოხსენების გამოცემასთან ერთად. აგრეთვე ბთჯ-ს კომპანიამ უნდა ხელმისაწვდომი გახადოს პროექტის შესახებ ინფორმაცია რომელიც იქნება ადვილი წასაკითხი და გასაგები, რათა თავიდან აცილებული

იქნას გაუგებრობა და დაბნეულობა მილსადენის უსაფრთხოების შესახებ, როგორც ადგილი ჰქონდა 500-მეტრიანი "უსაფრთხოების ზონასთან" დაკავშირებით.

5.2 მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა მრჩევლებმა ვერ დაადგინეს სიტყვიერი საჩივარში ნამოჭრილი საკითხი, რომელიც ეხებოდა იმას, რომ ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობამ აღმოაჩინა დაბინძურებული ადგილი განმცხადებლებთან სახლების ახლოს. შეთანხმების მრჩველი/ომბუცმენი მოითხოვს, რომ ბთჯ-მ გააგრძელოს ამ საკითხის გამოძიება და განიხილოს იგი პირდაპირ განმცხადებლებთან. თუკი გამოჩნდება საბუთი იმისა რომ დაბინძურებული ადგილი მართლა არსებობს, მაშინ ბთჯ-ს კომპანიამ უნდა გამოიყენოს სპეციალური პროცედურები შექმნილი ბთჯ-ს კომპანიის მიერ და გამოიყენოს ისინი სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობის დროს დაახლოებით 18 თვეში.

5.3 ბთჯ-ს კომპანიამ უნდა გააგრძელოს უზრუნველყოფა გაუმჯობესებული თვალყურის დევნებისა მშენებლობის კონტრაქტორის სპიე ქაფაგ პეტროფაგის საზოგადოებასთან ურთიერთობის გააქტიურებაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის საშუალებით, განსაკუთრებით კი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების მიერ შეხვედრების მოწყობისა მშენებლობის დაწყებამდე და აგრეთვე დახმარება გაუწიოს მოსახლეობასთან დავის გადაწყვეტაში.

5.4 შეთანხმების მრჩველის/ომბუცმენის ოფისი დაუინებით სთხოვს ბთჯ-ს კომპანიას, არსებული არხებით, როგორცაა სოციალური გადასახლების გეგმის კომისია, ჩაატაროს დამოუკიდებელი შემოწმება ამ საჩივარში ნამოჭრილი საკითხების დროულად გადაწყვეტისა და შემასწორებელი ღონისძიებების განხორციელებისა. გათვალისწინებულია აგრეთვე რომ შემოწმება უნდა შეიცავდეს ზომებს გაზრდილი პასუხისმგებლობის მხარდასაჭერად როგორცაა: (i) უფრო მკაფიო განსაზღვრა ბთჯ-სა და სპიე ქაფაგ პეტროფაგის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების როლისა; (ii) გამოყოფა რესურსებისა ბთჯ-ს მენეჯმენტის ჯგუფიდან, რათა მკაფიო გახდეს და გაუმჯობესდეს კოორდინაცია სპიე ქაფაგ პეტროფაგს, ბთჯ-ს მინის ჯგუფსა და ბთჯ-ს სოციალურ და გარემოს დაცვის განყოფილებას შორის; (iii) დაიქირავეთ სოციალური სფეროს მეორე ზედამხედველი, რათა ახლო სამუშაო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებთან; (iv) ეფექტურად გამოიყენონ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მშენებლობის დაწყებამდე და (v) უნდა გაფართოვდეს საკომუნიკაციო და საკონსულტაციო პროცესები და აქტიურად ჩაებან მთავარი ადგილობრივი და ეროვნული პირები და ჩატარდეს შეხვედრა თითოეულ დასახლებასთან სულ მცირე თვეში ერთხელ.

5.5 შეთანხმების მრჩველს/ომბუცმენს ესმის, რომ საჩივარში განმცხადებლების მიერ ნამოჭრილი მთავარი საკითხი არის ის, რომ შესაბამისი და აქტიური საზოგადოებასთან ურთიერთობის გარეშე მათთვის აბსოლუტურად არ იყო ხელმისაწვდომი საჩივრის განხილვის მექანიზმი. ბთჯ-ს კომპანიამ უნდა გამოასწოროს საჩივრის განხილვის მექანიზმი. არსებულ სისტემას ახასიათებდა ბიუროკრატიულობა და შეიძლება საჩივარი შეტანილი ყოფილიყო რეესტრში, მაგრამ არ უზრუნველყოფდა გულწრფელ ურთიერთობას მოსახლეობასთან. ასეთმა შესწორებამ უნდა უზრუნველყოს აუცილებელი და ინფორმირებული მოქმედება. ამან თავის მხრივ კი უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობის ალქმა ბთჯ-ს საჩივრის განხილვის მექანიზმისა.

5.6 ამათან დამატებით, ბთჯ-ს კომპანიამ უნდა შექმნას საჩივრის განხილვის დამოუკიდებელი კომისია საქართველოში. ეს კომისია უნდა იქნას გამოყენებული მაშინ, როდესაც განახლებული საჩივრის განხილვის მექანიზმმა ვერ მიაღწია დამაკმაყოფილებელ რეზულტატს. დავის გადამწყვეტმა მექანიზმმა უნდა გამოიყენოს ნეიტრალური მესამე მხარე, როგორცაა მაგალითად მედიატორი. ზოგადად, ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია რომ თითოეული მხარე ნებაყოფილობით ემორჩილება კომისიის მიერ გამოტანილ

გადანყვეტილებას. კომისიაში შეიძლება დანიშნული იყოს სამი არბიტრი/მედიატორი. ორი წევრი არის არჩეული ერთი თითოეული მხრიდან და ეს ორი წევრი კი მესამე წევრს ერთხმად ირჩევს..

5.7 რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებს იმ მოსახლეობისაგან განსხვავებით, რომლებიც მილსადენიდან ორი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობენ, არ ჰქონიათ სამუშაო შესაძლებლობები ბთჯ-სთან და აგრეთვე არ ჰქონიათ საზოგადოებაში დაბანდების პროგრამა (CIP). ამასთან დამატებით, მაცხოვრებლებმა გამოხატეს წუხილი მათი საცხოვრებელი სახლების ღირებულების შემცირების გამო. **შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი დაჟინებით სთხოვს ბთჯ-ს კომპანიას, რომ საზოგადოებაში დაბანდების პროგრამის მეორე ფაზისათვის გამოყოფილი 3 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიყენოს იმ მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობების და განვითარების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რომლებიც მილსადენთან ახლოს ცხოვრობენ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებელთა ჩათვლით.** ბთჯ-ს კომპანიამ თქვა, რომ ამ საზოგადოებაში დაბანდების პროგრამის მეორე ფაზის თანხას გამოიყენებს განათლების გასაუმჯობესებლად მოზარდთა განათლების ჩათვლით და პრიორიტეტს რუსთავის სკოლებს მიანიჭებს. შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი მტკიცედ სთხოვს ბთჯ-ს კომპანიას, რომ შემოქმედებითი გზები გამოიყენოს საზოგადოებაში დაბანდებისათვის და მოსახლეობა ჩააბას სახსრების გამოყენების განხილვის პროცესში, განსაკუთრებით კი რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლები, მიკრო-კრედიტის მიცემის ჩათვლით.

5.8 აშკარაა, რომ ურთიერთობას ბთჯ-ს კომპანიასა და მოსახლეობას შორის ბზარი გაუჩნდა. როგორც რწმენის გაზრდის საზომი, შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი მზადაა მოაწყოს შეხვედრა ბთჯ-ს კომპანიასა და მოსახლეობას შორის რათა განიხილოს საჩივარში აღძრული პრობლემები და აგრეთვე შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი მზადაა დაეხმაროს ორივე მხარეს ურთიერთობის აღდგენაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას მომავლისათვის დამოუკიდებელი, სანდო დავის გადანყვეტის მექანიზმის ჩამოყალიბება.

დანართი 1

საჩივარი

შეთანხმების მრეწველს/ომბუცმენს
1221 პენსილვანიის ავენიუ
MSN F 11K-1116
ვაშინგტონი, კ დ 20433
აშშ
ფაქსი: 202-522-7400
ელ.ფოსტა: cao.compliance@ifc.org

ჩვენ, საქართველოს ქალაქ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლები ვლდრავთ საჩივარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მთავარი საექსპორტო მილსადენის პროექტის შესახებ. ეს საჩივარი დაწერილია ჩვენი სახელით და ჩვენი ხელმოწერები და მისამართები საჩივარს თან ახლავს.

ჩვენთან დაკავშირება შესაძლებელია ჩვენგან უფლებამოსილი პიროვნებების (იხილეთ დანართი 1) საშუალებით შემდეგ მისამართზე, ტელეფონით ან ელ-ფოსტის საშუალებით:

სახელი: მერაბ ვაჩიშვილი
მისამართი: მე-18 მიკრორაიონი, 12ა კორპუსი, ბინა 14, რუსთავი, საქართველო
ტელეფონი: +995 24 17 34 58
ფაქსი: +995 32 93 24 03
ელ-ფოსტა: rustavihome@yahoo.com

სახელი: ელენორა დილმელაშვილი
მისამართი: მე-18 მიკრორაიონი, 12ა კორპუსი, ბინა 47, რუსთავი, საქართველო
ტელეფონი: +995 93 91 77 05
ფაქსი: +995 32 93 24 03
ელ-ფოსტა: rustavihome@yahoo.com

ჩვენი საჩივრის საფუძველი:

1. პროექტის აღწერა

პროექტის სახელი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მთავარი მილსადენი
პროექტის ადგილმდებარეობა: აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი
საჩივრის ადგილი: საქართველო, რუსთავი, მე-18 მიკრორაიონი, კორპუსი 12ა, 12ბ, 12 და მე-19 მიკრორაიონი, კორპუსი 7, 9 და 23

ბოჯ-ს მილსადენის პროექტი შეიცავს განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას და ოპერაციას ნავთობის მილსადენის სისტემისა 1 მილიონი ბარელი დღეში მოცულობით დაწყებული არსებული სანგაჩალის სადგურიდან აზერბაიჯანში ბაქოს მახლობლად, საქართველოს გავლით და დამთავრებული თურქეთში, ხმელთაშუა ზღვაზე, ჯეიჰანის ახალ სადგურში.

პროექტის სპონსორი: ბიჯ კომპანია ერთობლივად სპეციალური დანიშნულების საფინანსო კომპანიის საშუალებით, ბიჯ საფინანსო კომპანია, რომელიც სესხულობს საერთაშორისო საფინანსო კომპანიიდან 125 მილიონამდე ამერიკულ დოლარს როგორც სესხი ა და 125 მილიონამდე ამერიკულ დოლარს როგორც სესხი ბ. გადანყვეტილება დადასტურებული იყო 2003 წლის ნოემბერში.

ბიჯ-ს მილსადენი შექმნილია და მისი სპონსორები არიან არმადა ჰესი (2.5%), ბრიტიშ პეტროლეუმი (30.10%) ქონოქოფილიპსი (2.50%), ენი (2.50%), იტოჩუ (3.40%), სოქარი (25.0%), სტატოილი (8.71%), ტოტალი (6.53%) და უნოკალი (8.90%).

2. ზოგადი ინფორმაცია

2002 წლის 30 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მისცა გარემოებითი ნებართვა ბიჯ-ს მილსადენის საქართველოს ნაწილს. ეს გადანყვეტილება მიღებული იყო გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც წამოდგენილი იყო სამინისტროში სხვა დამატებით მასალებთან ერთად ზუსტი რუქის ჩათვლით. არც გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების და არც ერთ სხვა დოკუმენტში, რომელიც წარდგენილი იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გადასახლების მოქმედების გეგმის რუქების ჩათვლით, ნახსენები იყო ფაქტი, რომ მილსადენი 1 კილომეტრზე უფრო ახლოს გაივლიდა რუსთავის მიკრორაიონებთან. მაგალითად, 2002 წლის ზაფხულში (იხილეთ დანართი 2) ბიჯ კომპანიის მიერ დარიგებულ რუქაზე აღნიშნულია, რომ მილსადენის 29-30 კილომეტრიანი ნაწილი მოთავსებულია 10-20 კილომეტრით ბოლო შენობებიდან.

ჩვენთვის მხოლოდ 2004 წლის იანვარში გახდა ცნობილი, რომ მილსადენი გაივლიდა მხოლოდ 180-250 მეტრის დაშორებით მრავალსართულიანი სახლებიდან. მილსადენი გადის მდინარე მტკვირის ნაპირებზე დაახლოებით 250 მეტრით დაცილებული მდინარის კალაპოტიდან მაღალი დონის ეროზიის ტერიტორიაზე.

3. პროექტს უკვე ჰქონდა ჩვენზე გავლენა ჰქონდა ან ადვილი შესაძლებელია ჰქონდეს შემდეგი სახით:

- საქართველოს კანონმდებლობა და არც მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულება არ აღნიშნავს იმას, თუ რა მანძილით უნდა იქნას მილსადენი დაშორებული საცხოვრებელი სახლებიდან. ჩვენ გვემინია, რომ მილსადენი ჩვენს საცხოვრებელ სახლებთან ძალიან ახლოს არის, ვითვალისწინებთ რა ახლო ტერიტორიების არსებულ ეროზიის ზონას და აგრეთვე პოლიტიკურ არასტაბილურობას ქვეყნის შიგნით.
- მსოფლიოს გარშემო არსებობს შემთხვევები, როდესაც მილსადენი საცხოვრებელ სახლებთან ახლო იყო, მილსადენი ან გასკდა, ან გაჟონა და ამას მსხვერპლიც კი მოჰყვა. მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი. 1999 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მილსადენის უსაფრთხოების ნორმების წარმოდგენა მოჰყვა ორი ახალგაზრდა ბიჭის ტრაგედიულ დაღუპვას, როდესაც ისინი მილსადენის ახლოს ფეხბურთს თამაშობდნენ.
- პროექტის სპონსორი ყველგან აცხადებს, რომ მილსადენს არანაირი საშიშროება არ ემუქრება და ამენებული იქნება უმალლესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მაგრამ როდესაც ჩვენ ამის დამამტკიცებელი საბუთი მოვთხოვეთ, მათ უარი გვითხრეს.
- სიტუაცია უფრო კრიტიკული ხდება იმის გამო, რომ ნავთობის მილსადენის პარალელურად გაივლის გაზის მილსადენი.

- ჩვენი სახლები მდებარეობს მდინარე მტკვრიდან დაახლოებით 500 მეტრის დაშორებით. ეს ადგილი ძალიან მგრძობიარეა წყალქვეშა სულფატებით მდიდარი წყლის, (დაახლოებით 2 მეტრის სიღრმისა), ადგილობრივი დაჭაობებული ადგილების, მთავარი და გამანაწილებელი არხების სიმჭიდროვისა და ზედაპირული და მინისქვეშა წყლების ბუნებრივად წელი დრენაჟის გამო.
- თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ სახლების მშენებლობის ხარისხი ძალიან დაბალია, ეჭვი არ არის, რომ მილსადენი შენობებს დამატებით საფრთხეს შეუქმნის (მილსადენის ვიბრაცია ოპერაციის დროს). ბრითიშ პეტროლეუმი თვითონ ამბობს, რომ 500 მეტრი მილსადენიდან დაშორებით არის უსაფრთხოების ზონა, სადაც სკოლების, საავადმყოფოების და სხვათა მშენებლობა აკრძალულია.

4. ამ საკითხების გადასაწყვეტად ჩვენ/მე გადავდგით შემდგომი ნაბიჯები:

ა) 2004 წლის იანვარში ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მილსადენის მშენებლობა ჩვენს სახლებთან ძალიან ახლოს დაიწყო. ჩვენ დავინახეთ ტრაქტორები და მძიმე სატვირთო მანქანები გზას კაფავდნენ. მილსადენის მუშებთან საუბრის შედეგად ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეს იყო ბოჯ მილსადენის მშენებლობა. რამდენადაც ჩვენ საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან ასე ახლოს ბოჯ-ს მილსადენის მშენებლობის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვექონდა, გაოგნებულნი ვიყავით სამშენებლო მანანებისა და ტრაქტორების დანახვით. ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მე-4, მე-7, მე-9 და 23-ე კორპუსები სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მრავალსართულიანი შენობებია და მდებარეობს ბოჯ-ს მილსადენიდან 250 მეტრის დაშორებით. შენობები თავად საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში არიან ათეული წლების წინ მშენებლობის დაბალი ხარისხის გამო და საჭიროებენ შეკეთებას. ზემოხსენებულ მიკრორაიონებში მაცხოვრებელთა რიცხვი დაახლოებით 700-ია.

ბ) 2002 წლის ნოემბერში ხმა გავრცელდა იმის შესახებ, რომ მილსადენს შეიძლება ჩვენს სახლებთან ახლოს გაეწვია. ამ ქორების გარდა, ჩვენთან არავინ მოსულა და სიტუაცია აუხსნია. ჩვენ ამ ქორებს ყურადღება არ მივაქციეთ. ბაქო-სუფსის მილსადენი გადის მდინარე მტკვრის მეორე მხარეს და ჩვენ გვეგონა, რომ ბოჯ-ს მილსადენი მის პარალელურად გაივლიდა. რუსთავის მე-19 მიკრორაიონის ზოგიერთმა მაცხოვრებელმა ბოჯ-ს გაუგზავნა ორი წერილი, ერთი №197 დათარიღებული 2003 წლის 19 იანვრით და მეორე №293, დათარიღებული 2003 წლის 30 აპრილით რათა დაედგინათ თუ სად გაივლიდა მილსადენი. ამ წელიზე პასუხი ჯერ არ გაცემულა.

გ) ადგილობრივ მთავრობასთან რემოდენიმეჯერ ჩატარდა შეხვედრა და ჩვენ ვთხოვეთ მათ რომ ადგილზე მოსულიყვნენ და პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარებოდნენ. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ მათ მოეცათ გარანტია იმისა, რომ მილსადენი ჩვენს სახლებს საფრთხეს არ შეუქმნიდა ან კიდევ მილსადენის მარშრუტი შეეცვალათ.

დ) 2004 წლის 21 იანვარს პირველი შეხვედრა ჩატარდა რუსთავის მერთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასა და ბრითისშ პეტროლეუმის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრაზე რუსთავის მერმა თქვა, რომ მას თვითონ არ ჰქონდა წარმოდგენა თუკი მილსადენი ასე ახლოს გაივლიდა საცხოვრებელ ადგილებთან და გვიხსნიდა, რომ ეს მიწა გარდაბანის რაიონს ეკუთვნისო. მან აგრეთვე გვითხრა, რომ დაგვეხმარებოდა სასამართლო ბრძოლებში თუკი ჩვენ მოთხოვნას შევცვლიდით და კომპანიას მოვთხოვდით კომპენსაციას, გზის შეკეთებას და უფასო ელექტროობას და გაზს.

ე) 5 თებერვალს ჩვენ წავედით საქართველოს პარლამენტში, სადაც წერილი გადავეცით ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომელიც პარლამეტის თავმჯდომარეა. ჩვენ აგრეთვე ვეცადეთ

პრეზიდენტს ან მის თანაშემწეს შევხვედროდით მაგრამ ორი საათის ლოდინის შემდეგ პარლამენტის წინ გამოგვეცხადა რუსთავის მერი და ადგილობრივი მილიციის უფროსი და დაშლა გვთხოვეს. აქ ალბათ დაახლოებით 50-60 ადამიანი ველოდებოდით პრეზიდენტთან ან მის თანაშემწესთან შეხვედრას. მოკლე კამათის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ მათ დავმორჩილებოდით და დავიშალეთ. ჩვენ მივწერეთ წერილი საქართველოს პრეზიდენტს, სხვადასხვა მინისტრებს, ბთჯ-ს კომპანიას და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას საქართველოში, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

ვ) 2004 წლის 7 თებერვალს დაახლოებით 400 მოსახლემ პატარა ბავშვებთან ერთად მოვანყვეთ გაფიცვა და მოვითხოვეთ, რომ ქალაქის კონსულმა, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიამ, ბთჯ-მ და საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ სერიოზულად მიიღოს ჩვენი საკითხი. გაფიცვის დროს ჩვენ შევაჩერეთ მილსადენის მშენებლობა ერთი საათით. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ადგილობრივ მილიციასთან ერთად მოვიდნენ და ჩვენ უწყალოდ გვცემეს, მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვის უმეტესი მონაწილენი ქალები და ბავშვები იყვნენ. მილიციის მუშაკებმა ჩვენ გვითხრეს, რომ მათ მთავრობისაგან ჰქონდათ ბრძანება, რომ შეეჩერებინათ ის ყველა აქტიურობა, რომელიც ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობას დააყოვნებდა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები იმ დღეს იქ იყვნენ, მილიცია არავის შეუჩერებია და მილიციის სისასტიკე მუნიციპალიტეტის მიერ განხილვის საგნად არ გადაქცეულა.

ზ) 10 თებერვალს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ რუსთავში ანა პეტრიაშვილთან (ბთჯ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი) ერთად. ჩვენ მათ შევჩვილეთ ჩვენი სატყვივარი, მაგრამ მათგან არანაირი პასუხი არ მიგვიღია, რადგანაც მათ განაცხადეს რომ ისინი მხოლოდ მიმომხილველები იყვნენ.

თ) 25 თებერვალს ჩვენ დავურეკეთ ბთჯ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერ ქალბატონ ანა პეტრიაშვილს მოვითხოვეთ რომ ადგილზე მოსულიყო და მოსახლეობას შეხვედროდა. მან გვიპასუხა, რომ ის ხარჯავდა ძალიან დიდ დროს ჩვენწაირ ხალხთან და კარგად იცოდა, რომ ხალხს საკუთარი სოციალური პრობლემების გადამწყვეტა ბთჯ-ს კომპანიის ხარჯზე უნდოდა. იგი ეცადა ჩვენს დარწმუნებას იმაში, რომ ბთჯ-ს მილსადენს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა. მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვითხოვეთ ქალბატონ ანა პეტრიაშვილისაგან ამის დამამტკიცებელი საბუთები, მან გვიპასუხა, რომ მილსადენის უსაფრთხოების შესახებ მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულებაში არის ინფორმაცია რომ მილსადენი არსებულ უმაღლესი სტანდარტების მიხედვით იქნება აშენებული. რაც შეეხება ჩვენს მოთხოვნას, რომ მას ეჩვენებინა ჩვენთვის მილსადენის უსაფრთხოების დამამტკიცებელი საბუთები, ქალბატონმა ანა პეტრიაშვილმა გვითხრა, რომ მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულება საკმარისი საბუთი იყო მილსადენის უსაფრთხოებისა და მეტი დოკუმენტების მოცემაზე სასტიკი უარი გვითხრა. ჩვენ ვწუხდით აგრეთვე, რომ ბაქო-სუფისის მილსადენს ბევრი პრობლემა ჰქონდა რამოდენიმე გაჟონვის ფაქტის ჩათვლით. ქალბატონ ანა პეტრიაშვილმა ჩვენ გვითხრა, რომ ბაქო-სუფისის მილსადენი ბრითიმ პეტროლეუმის მიერ არ იყო აშენებული და ბთჯ-ის მილსადენის შემთხვევაში ყველაფერი კარგად იქნებაო. მან აგრეთვე გვითხრა, რომ მილსადენმა შეიძლება საცხოვრებელ ადგილებთან ისე ახლოს გაიაროს, როგორც სოფელ კრწანისში, სადაც მანძილი მილსადენსა და საცხოვრებელ სახლს შორის მხოლოდ 15 მეტრია. ქალბატონმა ანა პეტრიაშვილმა აგრეთვე გვითხრა, რომ მას რცხვენოდა ინდიელი სპეციალისტისათვის აქსნა თუ რატომ ჰქონდა ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობას ამდენი პრობლემა საქართველოში, როდესაც ყველაფერი წყნარად და მშვიდობიანად ტარდებოდა აზერბაიჯანსა და თურქეთში და დაამატა, რომ მილსადენის ოპოზიცია საქართველოში გამოწვეული იყო რთული სოციალური და ეკონომიკური სიტუაციით ქვეყანაში. ჩვენ გვინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვათ იმას, რომ ქალბატონ ანა პეტრიაშვილის მოქცევა ჩვენს მიმართ ძალიან უხეში იყო და იგი ცუდ სიტყვებს ხმარობდა. ჩვენ მასთან ვერანაირ კომპრომისს ვერ მივალწიეთ. და ბოლოს, მან გვითხრა, რომ შვებულებაში მიდიოდა და კოლეგას სთხოვდა ჩვენ დაგვკავშირებოდა. მართლაც, მისმა

კოლეგამ დაგვირეკა და მოვიდა დათქმულ შეხვედრაზე, მაგრამ თქვა, რომ იგი კომპეტენტური არ იყო გაეცა პასუხები ჩვენს კითხვებზე და დაგვირდა, რომ მოგვანოდებდა საჭირო ინფორმაციას, მაგრამ დღემდე ჩვენ არც ინფორმაცია მიგვიღია და არც მისგან გავგივია რამე.

5. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა და მრავალმხრივი დაბანდების გარანტიის სააგენტოს კონტაქტის პირთა სახელები:

ქალბატონი ანა ახალკაცი

6. ეს არის სია ორგანიზაციებისა და პიროვნებებისა, რომლებსაც ჩვენ ვეცადეთ დავკავშირებოდით ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად და გავუგზავნეთ წერილები:

- წერილი ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პრეზიდენტს, დათარიღებული 2004 წლის 16 თებერვლით;
- წერილი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პარლამენტის სპიკერს, დათარიღებული 2004 წლის 5 თებერვლით;
- წერილი ბატონ ზურაბ ჟვანიას, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, დათარიღებული 2004 წლის 19 თებერვლით
- წერილი ირაკლი ოქრუაშვილს, საქართველის მთავარ პროკურორს, დათარიღებული 2004 წლის 14 თებერვლით;
- წერილი ბატონ ზურაბ ადეიშვილს, საქართველოს უშიშროების მინისტრს, დათარიღებული 2004 წლის 19 თებერვლით;
- წერილი ბატონ ვანო მერაბიშვილს, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს, დათარიღებული 2004 წლის 16 თებერვლით;
- წერილი ბატონ გიორგი პაპუაშვილს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, დათარიღებული 2004 წლის 19 თებერვლით;
- წერილი ქალბატონ თამარ ლებანიძეს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, დათარიღებული 2004 წლის 19 თებერვლით;
- წერილი ბატონ გიორგიჭანტურისას, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის პრეზიდენტს, დათარიღებული 2004 წლის 19 თებერვლით;
- წერილი ბატონ ედ ჯონსონს, ბთჯ ნავთობის მილსადენის პროექტის მენეჯერს, დათარიღებული 2004 წლის 19 თებერვლით;
- წერილი ქალბატონ ანა ახალკაცს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენელს საქართველოში, დათარიღებული 2004 წლის 24 თებერვლით.

7. ქვემოთმოყვანილი არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი დაბანდების გარანტიის სააგენტოს პროცედურები, პოლისი და პრინციპები, რომლებიც დარღვეული იქნა:

პროცედურები და პრინციპები, რომლებიც პროექტის სპონსორის მიერ იქნა დარღვეული:

1. საჯარო განხილვის პროცედურა;
2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პოლისი 4.01 გარემოს დაცვის შეფასების შესახებ;
3. მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლისი ძალაუფლებური გადასახლების შესახებ, სპ 4.30 (OP 4.30)
4. გადასახლების მოქმედების გეგმის მოსამზადებელი პროცედურა.

8. მე/ჩვენ გვსურს ეს პრობლემა შენდევნიარად გადაწყდეს:

მე/ჩვენ მოვითხოვთ, რომ:

1. შეთანხმების მრჩველის/ომბუცმენის ოფისმა განიხილოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პროცესი სათანადო გამოძიებისა, რათა დაადგინოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ დამაკმაყოფილებლად გამოიძია თუ არა აღძრული საკითხები და გადადგა თუ არა საჭირო ნაბიჯები იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს პროექტი აკმაყოფილებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პოლისებს;
2. შეთანხმების მრჩველმა/ომბუცმენმა უნდა შეამოწმოს გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების ინფორმაცია, რომელიც პროექტის სპონსორმა წარუდგინა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას და შეადაროს ის ჩვენს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას, რათა დაადგინოს გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შესატყვისობა და სიმართლე;
3. დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ჩატარდეს ბთჯ-ს მილსადენის ზემოქმედება ჩვენს უბანზე;
4. შეთანხმების მრჩველის/ომბუცმენის ოფისმა უნდა მოგვცეს იმის გარანტია დამოუკიდებელი კომისიის მიერ მიღწეულ დასკვნებზე დაყრდნობით, რომ ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობა ჩვენს სახლებს ზიანს არ მიაყენებს და თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ იპოვნონ ალტერნატიული მარშრუტი მილსადენისა, რომელიც ჩვენს სახლებს მოაქცევს 500 მეტრიანი უსაფრთხოების ზონის გარეთ;
5. და ბოლოს, თუკი ყველა ზემოთმოყვანილი ვერ შესრულდება, მაშინ გადაგვასახლონ შესაბამისი კომპენსაციით ან მოგვცენ შესაბამისი სახლები.

9. სხვა დამხმარე მასალა ჩვენი საჩივრის მხარდასაჭერად:

დანართები:

- ვიდეო-მასალა, რომელიც აჩვენებს ჩვენს საცხოვრებელ სახლებს და მანძილს სახლებსა და მილსადენს შორის; ინტერვიუები ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- მილსადენის ძველი მარშრუტის რუკა, რომელიც მოცემული იყო ბთჯ-ს კომპანიის მიერ;
- ბთჯ-ს ეხლანდელი მარშრუტის რუკა.

თარიღი: 2004 წლის 11 მარტი

ხელმოწერილია:

დანართი 2

მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელ ინჟინერთა შეფასების მოხსენება

1. შესავალი

მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელი ინჟინრები ბატონი კენ ბილსტონი და ბატონი ფილიპ ვენტონი არიან მილსადენის მშენებლობისა და უსაფრთხოების გამოცდილი ინჟინრები, რომელთაც აქვთ ესპერტიზა მთავარი მილსადენის სისტემის დაგეგმვისა, მშენებლობისა და ოპერაციისა, განსაკუთრებით კი მილსადენის ტექნიკურ სტანდარტების ჩამოყალიბებაში მილსადენის დაგეგმვისას, მშენებლობისას და ოპერაციის დროს.

ამ ჯგუფის არც ერთ წევრს ადრე არ ჰქონია რაიმე კავშირი ბთჯ-სთან ან სპიე ქაფაგ პეტროფაგთან და თითოეული მათგანი მიუდგა საჩივარში აღძრულ უსაფრთხოების საკითხებს მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით.

ამ ჯგუფის არც ერთ წევრს არ აქვს გამოცდილება მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებულ გარემოს დაცვის, პოლიტიკურ ან სოციალურ საკითხებში და მათი კომენტარები დაკავშირებულია მხოლოდ მილსადენის დაგეგმვასთან, მათი რისკის შეფასებასთან და ინჟინრებმა თავი აარიდეს ყოველგვარი კომენტარის გაკეთებას, რაც შეეხება გარემოს დაცვას, პოლიტიკას ან სოციალურ საკითხებს.

2. ქრონოლოგია

- | | |
|--------------|---|
| 6 ივნისამდე | დოკუმენტების შეგროვება და მათი განხილვა. ამ დოკუმენტთა რიცხვშია გარემოს დაცვისა სოციალური გავლენის შეფასების (ESIA) მოხსენებიდან პროექტის შესახებ ინფორმაცია მასთან დაკავშირებულ განხილვასა და პასუხთან ერთად, დოკუმენტები, რომლებიც მიღებული იქნა ინჟინრების მიერ პროექტის ვებ-გვერდიდან და დოკუმენტები, რომლებიც მიწოდებული იქნა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისის მიერ. |
| 6-7 ივნისი | მოგზაურობა თბილისში |
| 8 ივნისი | მოსამზადებელი დათვალიერება ადგილისა და მოსახლეობასთან შეხვედრა |
| 9 ივნისი | ადგილზე მისვლა და გაზომვა მანძილისა მილსადენიდან საცხოვრებელ სახლებამდე |
| 10 ივნისი | ბთჯ კომპანიასთან შეხვედრა |
| 11 ივნისი | განმცხადებლებთან ფორმალური შეხვედრა და მათთვის პრელიმინარული შეფასების წარდგენა |
| 11-13 ივნისი | თბილისიდან დაბრუნება |
| 15-18 ივნისი | მოხსენების მომზადება |

3. მთავარი დასკვნების შეჯამება

მილსადენის მშენებლობისა და უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაასკვნეს, რომ შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენისადმი მიმართული საჩივარში აღძრული უსაფრთხოების საკითხები არ შეუქმნის რისკს ქალაქ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობას და რომ მილსადენის უსაფრთხოების სტანდარტები სცილდება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტების ნორმებს.

მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა ეს დასკვნა გამოიტანეს მას შემდეგ, რაც ენვიზენ და შეაფასეს მილსადენის მშენებლობის ადგილი, განიხილეს მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (ორივე, საჯარო და კონფიდენციალური) და იმსჯელეს წამოჭრილი საკითხების შესახებ ბთჯ-ს ტექნიკურ წარმომადგენლებთან.

განსაკუთრებით კი, მილსადენის მშენებლობის დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს:

- მილსადენები (ბთჯ-ს სამხრეთ კავკასიის) არიან მოთავსებული საცხოვრებელი ადგილებიდან დაახლოებით ხუთჯერ მეტი მანძილით, ვიდრე ეს არის მოთხოვნილი ყველაზე მკაცრი საერთაშორისო რისკის სტანდარტებით;
- მილსადენის დაგეგმვა და ოპერაციისა და მართვის შემოთავაზებული მეთოდი მთლიანად ეთანხმება მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულებაში მოხსენიებულ სტანდარტებს რომელიც სულ მცირე, საერთაშორისო სტანდარტების ექვივალენტურია;
- მილსადენის დაგეგმვა მაცხოვრებელთა სახლების ახლოს არის შესაბამისი მიწის მდგომარეობასთან;
- ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენები ვიზრაციას არ აწარმოებენ;
- 500-მეტრის "უსაფრთხოების" ზონა სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის იყო შექმნილი და არის მეთოდოლოგია გამოყენებული იმისათვის, რათა ახალი მშენებლობები გაკონტროლდეს მილსადენის მახლობლად და არ მოხდეს მიწის ისეთი გამოყენება, რომელიც შეცვლის პირველად რისკ - ფაქტორს. "უსაფრთხოების" (კონსულტაცია ან შეტყობინება, როგორც მას უწოდებენ ზოგიერთ ქვეყანაში) ზონის კონცეფცია წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ მეთოდს მილსადენის გარშემო მდებარე ტერიტორიის განვითარების კონტროლისა და ეს მეთოდი მისასაღმებელი იქნება გამოყენებული იყოს სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის.

მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა ვერ გააკეთეს დასკვნა სიტყვიერი საჩივრის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხებოდა დაბინძურებულ ადგილს. შეთანხმების მრჩეველმა/ომბუცმენმა მოსთხოვა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ჯგუფს რომ გამოიძიონ ეს საკითხი და ბთჯ-სთან ერთად გადაწყვიტონ პრობლემა. თუკი არის საბუთი ამ დაბინძურებული ადგილისა, მაშინ პროექტის მიერ შექმნილი სპეციალური პროცედურა უდა ჩაატარდეს როდესაც სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობა დაიწყება დაახლოებით 18 თვეში.

უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაასკვნეს, რომ მოსახლეობას შიში გაუჩნდა მილსადენის სახლებთან ახლოს მდებარეობის გამო იმიტომ რომ მათ საჭირო ინფორმაცია არ ჰქონდათ და ეს პრობლემა არ წამოიჭროდა მოსახლეობას დროულად რომ ჰქონოდა ინფორმაცია მილსადენთან დაკავშირებული უსაფრთხოების შესახებ. ამკარა იყო, რომ სერიოზულ უნდობლობას ჰქონდა ადგილი მოსახლეობასა და პროექტს შორის. დამოუკიდებელი ინჟინრების რჩევა არის რომ:

- განხორციელდეს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის უკეთესი პროგრამა, რომელიც აღწერს საოპერაციო უსაფრთხოებას პატროლების ჩათვლით, საოპერაციო მეთოდოლოგიას და კონტაქტს გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს და
- განხორციელდეს ინფორმაციის მინოდება მოსახლეობისათვის იმის შესახებ, თუ რა გამაკონტროლებელი მექანიზმი აქვს მილსადენს 500-მეტრიანი უსაფრთხოების ზონის ჩათვლით.

4. საინჟინრო შეფასება

ეს საინჟინრო შეფასება არის პასუხი თითოეულ საკითხზე იმ რვა საკითხიდან, რომელიც იქნა აღძრული საჩივარში და პასუხი თითოეულ საკითხზე იმ სამი საკითხიდან რომელიც წამოიჭრა მოსახლეობასთან საუბრისას. ამ შეფასებას მხარს უჭერს მილსადენის დაგეგმვის ტექნიკური დასკვნა რომელიც ამ შეფასებას თან ახლავს დანართი 3 სახით.

4.1 საკითხი I - მილსადენი ძალიან ახლოს არის საცხოვრებელი ადგილებიდან

საჩივარი: მილსადენი საცხოვრებელ სახლებთან ძალიან ახლოს არის და მისი საინჟინრო შეფასება საცხოვრებელ სახლებთან ინვესტაციის მოსახლეობის შემფორთებას.

საინჟინრო შეფასება

ორ მილსადენსა და საცხოვრებელ სახლებს შორის მანძილი ადგილზე იქნა გაზომილი. ბთჯ-ს მილსადენის უახლოესი კუთხესა და უახლოეს შენობას შორის მანძილი არის 260 მეტრი, და მანძილი სამხრეთ კავკასიის მილსადენამდე კი 285 მეტრი.

მოსახლეთა მოთხოვნის თანახმად, ინჟინრები ეწვივნენ ადგილს და გაზომეს მანძილი ოთხ შენობასა და მილსადენს შორის. ეს გაზომვა ჩატარდა ხელში დასაკავებელი გლობალური ადგილმდებარეობის სისტემის (GPS) ინსტრუმენტის გამოყენებით, რომლის აკურატულობა ღია ადგილას არის პლიუს/მინუს 5 მეტრი. ერთ ადგილას კი გაზომვა ჩატარდა მოსახლეობის მიერ მოტანილი თოკის საშუალებით რომელიც 42 მეტრის სიგრძის იყო. ზომები არის ნაჩვენები მე-3 დანართში.

სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობის მოთხოვნები აკონტროლებენ მილსადენის განცალკევების მანძილებს. იმიტომ რომ გეგმის კოდი არის B31.8, შენობებთან სიახლოვის მინიმუმია 200 მეტრი გაზის მილსადენის შუა ხაზიდან. სამხრეთ კავკასიის მილსადენი 200 მეტრზე მეტით უნდა იყოს დაშორებული მრავალსართულიანი შენობებიდან რათა შერჩეული ადგილის კლასი (კლასი 3) საფუძვლიანი იყოს. 285 მეტრი მანძილი ხვდება ამ სტანდარტს. ბთჯ-ს მშენებლობისათვის B31.8 სტანდარტში არ არის ნახსენები ექვივალენტური მანძილი.

მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულების თანახმად, გამრავლებული რისკის შეფასებას (QRAs) ჰქონდა ადგილი ორივე ბთჯ და სამხრეთ კავკასიის მილსადენებისათვის. გამრავლებული რისკის შეფასება არის მოთხოვნილება მხოლოდ რამოდენიმე იურისდიქციაში: ჰოლანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში და ავსტრალიის ზოგიერთ შტატებში. გამრავლებული რისკის შეფასება ზომავს წარმოსახვით კონტურს მილსადენის შუა ხაზიდან სადაც განსაზღვრული რისკის კრიტერიუმი ხვდება.

ყველაზე უფრო საზოგადო კრიტერიუმი არის ინდივიდუალური სიკვდილის რისკი (IFR) და მისი შეფასება არის 1 ერთი მილიონიდან წელიწადში. ბთჯ და სამხრეთ კავკასიის მილსადენი არის კლასი 3 და ამიტომ მას არ ეხება ინდივიდუალური სიკვდილის რისკის კრიტერიუმი 1 ერთი მილიონიდან წელიწადში პირდაპირ მილსადენზე, მაგრამ გამრავლებული რისკისათვის (IFR)

კრიტიკრიუმი 1 ერთი მილიონიდან წელიწადში კონტური დადგენილი იყო დაახლოებით 50 მეტრ მანძილზე უახლოესი მილსადენიდან.

შეფასების დასკვნა:

260-დან 285 მეტრამდე მანძილი ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენიდან არის ბევრად უფრო დიდი მანძილი, ვიდრე მოთხოვნილია საერთაშორისო სტანდარტებით, მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულებით ან გამრავლებული რისკის შეფასებით, რომელიც გამოყენებულია საერთაშორისო იურისდიქციის ტერიტორიებზე და რომლის აუცილებლობა ნაკარნახებია რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიებით.

4.2 საკითხი II - მილსადენის პრობლემების ისტორია

საჩივარი: არსებობს ისტორია მილსადენის პრობლემებისა და ადამიანთა დაშავებისა. ეს ინვეს დიდ შემფოთებას მოსახლეობას შორის, რომელიც მილსადენთან ახლოს ცხოვრობს.

საინჟინრო შეფასება:

ისტორია გვიჩვენებს, რომ მილსადენები არის ტრანსპორტაციის ყველაზე უსაფრთხო მეთოდი და ფაქტია, რომ მსოფლიოს თხევადი საწვავი და გაზი უმეტესად ტრანსპორტირებულია მილსადენების მეშვეობით. ზოგიერთ ქვეყანაში მილსადენი დაზიანდა და ახლო წარსულში დაზიანებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში.

ევროპაში ძალიან ცოტა შემთხვევები არსებობს მილსადენის დაზიანებისა. უახლეს წარსულში მომხდარი მილსადენთან დაკავშირებული შემთხვევები არის თავმოყრილი ინციდენტის მონაცემებთან ბანკში, რომელიც ევროპის გაზის მილსადენის ინციდენტთა ჯგუფის (EGIG) მიერ არის ოპერირებული. ამ ჯგუფმა მონაცემების შეგროვება დაიწყო 1982 წელს და მონაცემებთან ბანკი წარმოადგენს ევროპის გაზის მსხვილ მილსადენთა ოპერატორების გამოცდილების ნაკრებს.

1998 წლის დასასრულში (მოხსენების პერიოდი) ამ ბანკში იყო 2.09 კოლომეტრი სიგრძის წლების განმავლობაში დაგროვებული ინფორმაციული მონაცემები და მხოლოდ ზუსტად 1,000 შემთხვევა იყო მოხსენებული. მონაცემები გვიჩვენებენ, რომ 1970 წლიდან დაწყებული მილსადენთან დაკავშირებული უბედურ შემთხვევათა რიცხვი კლებულობს მილსადენის გაუმჯობესებული დაგეგმვის, ფოლადის დაფარვის მეთოდის გაუმჯობესებისა და მილსადენის მდგომარეობის და ინციდენტების შემფასებელი სისტემების გამო. 2001 წლის მოხსენებაში ნათქვამია, რომ მათი მონაცემების ბანკის ინფორმაციის თანახმად 1970 წლიდან 1998 წლამდე არც ერთ ინციდენტს, სადაც ადამიანი დაშავებულა ან გარემოს ან მილსადენთან მცხოვრებ მოსახლეობას ზიანი მიჰყენებია, ადგილი არ ჰქონია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოცდილებას კავშირი არ აქვს მოქმედ მილსადენებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში ან საქართველოში, იგი მართებულია ევროპაში სხვადასხვა მილსადენის ორგანიზაციების სტანდარტებისა და პროცედურებისათვის. ბთჯ-ს კომპანიის გამოცდილება თითქმის მთლიანად ეყრდნობა ევროპულ გამოცდილებას.

ამერიკული და რუსული გამოცდილება არ არის ევროპული გამოცდილების დონეზე. ზოგიერთი მილსადენი ამ ქვეყნებში ძველია და ფოლადის დასაფარი სისტემა ალბათ მშენებლობის დროისათვის საუკეთესო იყო, მაგრამ დღეს უკვე მოძველებულია რადგან მათი საოპერაციო ვადა იყო დაახლოებით 20 წელი. ამ სახის მილსადენებს აქვთ ძირითადად პრობლემები რომლის შესახებაც ზემოთ ავლნიშნეთ.

ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენი დაცულია დაფანგებისაგან შემდეგნაირად:

- ფოლადი დაფარულია სქელი სამ-ფენიანი დასაფარავი სისტემით, რომელიც ხდება ფოლადის ნაწილი და მისი საოპერაციო ვადა არის 60 წელზე მეტი. ეს სისტემა დღეს დღეობით ყველაზე საუკეთესოა მსოფლიოში.
- ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებს აქვთ კათოდური დაცვა მცირეოდენი დაფანგვის წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მილსადენის არესბობის მანძილზე. ეს საერთაშორისო პრაქტიკაა.
- ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებს ხშირი ინსპექცია ჩაუტარდებათ ინსტრუმენტით "უნარიანი კობიტულა" ("intelligent pig") რათა მილადეში გავლის დროს შეამოწმოს კედლის სისქე და იპოვნოს ის ადგილები, სადაც მეტალი თხელა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს სისტემა ფართოდ არის გამოყენებული და ყველა მილსადენი მოწმდება ამ ინსტრუმენტით რათა მილსადენის დეფექტი დროულად იქნას აღმოჩენილი და შეკეთებული.

მილსადენის განზრახი დაზიანება (ტერორისტული აქტი) შესაძლებელი ნყაროა მილსადენის მწყობრიდან გამოსვლისა. მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელი ონჟინრები არ იყვნენ კომპეტენტური პირები რათა დასკვნა გაეკეთებინათ საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციისა ან საერთაშორისო ტერორისტული აქტის შესაძლებლობის შესახებ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის ახლოს მდებარე მილსადენზე.

მიუხედავად ამისა:

- მილსადენის მეტალი არის ძალიან სქელი (19 და 21 მმ) და ძალიან დიდი აფეთქება იქნება საჭირო მილსადენის გასახვრეტად. გაზის მილსადენს კი უნდა ჰქონდეს კედლის ღერძის დეფექტი 400 მილიმეტრზე უფრო დიდი და მილსადენი უმალლესი წნევის ქვეშ უნდა იყოს რომ გაიხვრიტოს. ენერგია საჭირო ასეთი ძალის აფეთქებისათვის არის ძალიან დიდი კედლების სისქის გამო და ნაკლები შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ერაცში გამოყენებული მანქანის ბომბის მსგავსმა შესძლოს მილსადენის დაზიანება.
- ეკონომიკური გავლენა მილსადენის დაზიანებისას შედარებით მცირეა იმიტომ რომ თითქმის ყველა დაზიანება შეიძლება შეკეთდეს და მილსადენმა მუშაობა დაიწყოს ინციდენტის შემთხვევიდან 48 საათის განმავლობაში. ტერორისტები დაინტერესებულები არიან უფრო დიდი ზიანი მიაყენონ მათ მიერ თვალში ამოღებულ ორგანიზაციას ან ქვეყანას. ისინი ალბათ მიზანში ამოიღებენ ისეთ ადგილებს, რომელთა დაზიანებაც უფრო გრძელვადიან შეკეთებას ითხოვს, მაგალითად, ამოსატუმბი სადგურები. მე-18 და მე-19 მიკრორაიონი მდებარეობს ღია ადგილას და ნებისმიერი ტერორისტული აქტიურობა ადვილი შესამჩნევი იქნება. ნაკლებად შესაძლებელია, რომ ამ ადგილს ტერორისტები პრიორიტეტს მიანიჭებენ.

მე-18 და მე-19 მიკრორაიონების ახლო მდებარე ტერიტორია იქნება პატროლირებული ცხენოსანი ინსპექტორის მიერ (კვირაში ექვსი დღე) და მანქანით მეშვიდე დღეს. ზოგიერთ ადგილას კი გამოყენებული იქნება დამატებითი სპეციფიური მეთოდები ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფ პირთა გამოსავლენად.

უფრო მეტიც, მილსადენის ოპერატორები მოსახლეობას სთხოვენ დახმარებას, რათა ყველანაირი საეჭვო აქტიურობა მილსადენის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე პირდაპირ

კომპანიას მოეხსენოს გამოძიებისათვის. ევროპის გაზის მილსადენის ინციდენტთა ჯგუფის (EGIG) მონაცემების თანახმად, შემთხვევათა 40% არის შეტყობინებული მოსახლეობის მიერ. შემთხვევათა დაახლოებით 22% გამომჟღავნებულია პატროლების მიერ და დაახლოებით 17% კი გამომჟღავნებულია მილსადენის ახლო მომუშავე პირების მიერ. ეს ფაქტები ერთად ჰქმნიან ეფექტიურ პროცესს მილსადენის დაცვისა გარე ძალებისაგან.

შეფასების დასკვნა:

მილსადენები დაგეგმილია, იმუშავენ და მოვლილი იქნება დღეს არსებული უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ეს სტანდარტები შეამცირებს ყველაზე საერთო მიზეზებით მილსადენის დაზიანების რისკს (როგორცაა გარე ძალების გავლენა და დაჟანგვა).

დრო და დრო ტერორიზმის საშიშროებამ შეიძლება იარსებოს სააქართველოში. ამის თავიდან ასაცილებლად განხორციელებული უნდა იყოს სპეციფიური პროცედურები კომპანიისა და მთავრობის მიერ რათა პოლიტიკური არასტაბილურობისა ან სხვა პოლიტიკური მიზეზის გამო მილსადენის უსაფრთხოება არ შესუსტდეს. მილსადენს აქვს შესაძლებლობა გაუძლოს თითქმის ყველა ტერორისტულ აქტს გარდა ყველაზე დიდისა.

4.3 საკითხი III - ახსნა იმისა, თუ უსაფრთხოების რა სტანდარტები შეესაბამება მილსადენს

საჩივარი: მაცხოვრებლებს აქვთ სურვილი შეიტყონ უფრო მეტი ინფორმაცია მსგავსი მილსადენების საერთაშორისო სტანდარტების შესახებ და ბოჯ-ს მიერ გამოყენებული სტანდარტები ფაქტიურად შეესაბამება თუ არა დღეს არსებულ უმაღლეს სტანდარტებს.

საინჟინრო შეფასება:

ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის მასპინძელი მთავრობის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია მსგავსი მილსადენების სტანდარტები რომლის მიხედვითაც მილსადენი უნდა იყოს დაგეგმილი, აშენებული და მოქმედი/მოვლილი.

ქვემოთ მოყვანილი პირველადი ტექნიკური სტანდარტები შეიცავს უსაფრთხოების მოთხოვნას:

- ბოჯ მილსადენი - ტექნიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება - B31.4
- სამხრეთ კავკასიის მილსადენი - ტექნიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება - B31.8

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტები შექმნილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, დღესდღეობით არის დე ფაქტო საერთაშორისო სტანდარტები.

შესავალი B31.4 სტანდარტისათვის შეიცავს შემდგომ ახსნა-განმარტებას:

ამ კოდის დაგეგმვის მოთხოვნილებაა მოსახლეობის შესაბამისი უსაფრთხოება იმ გარემოების ქვეშ, რომელიც საერთოდ მილსადენს შეესაბამება ამ კოდის საფუძველზე სოფლებში, ქალაქებში, რაიონებსა და ინდასტრიულ ადგილებში გამავალი მილსადენის საზღვრის ჩათვლით.

საქართველოს მასპინძელი ქვეყნის შეთანხმება შეიცავს უსაფრთხოების დამატებით მოთხოვნებს მათ შორის დანიურ სტანდარტს NEN 3560 გადამცემი მილსადენისათვის. ამ

სტანდარტის აუცილებელი მოთხოვნაა პროექტისათვის გამრავლებული რისკის შეფასების (QRA) მეთოდოლოგია და ინდივიდუალური სიკვდილის რისკის (IFR) კრიტერიუმი.

შეფასების დასკვნა:

მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულებაში მოყვანილი სტანდარტები არის ყველაზე ხშირად გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები. საქართველოში უსაფრთხოების დამატებითი მოთხოვნები არ არსებობს.

რაც შეეხება საჩივარში წამოჭრილ საკითხებს, საინჟინრო შეფასებამ დაასკვნა, რომ ბთჯ-მ და სამხრეთ კავკასიის მილსადენები არა მარტო შეესაბამებიან დასახელებულ სტანდარტებს, არამედ სცილდებიან მის ფარგლებს.

4.4 საკითხი IV - ბთჯ-ს პარალელურად სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის აშენება საფრთხეს გაზრდის

საჩივარი: ბთჯ-ს პარალელურად სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის აშენება მილსადენთან ახლო მაცხოვრებელთათვის საფრთხეს გაზრდის.

საინჟინრო შეფასება:

ორი მილსადენის ერთმანეთისაგან პარალელურად მშენებლობის საკითხი განხილულია საინჟინრო შეფასების 3.1.

შეფასების დასკვნა:

ორი მილსადენის ერთმანეთთან პარალელურად აშენების დამატებითი საფრთხის გამო მანძილის განცალკევების მოთხოვნა შევა ძალაში, რომელიც არის დაახლოებით 50 მეტრი უახლოესი მილსადენიდან. სინამდვილეში კი მანძილი უახლოეს ბთჯ-ს მილსადენიდან მე-18 და მე-19 მიკრორაიონის უახლოეს სახლამდე არის დაახლოებით 260 მეტრი.

4.5 საკითხი V - მდინარე მტკვრის არასტაბილური ნიადაგი

საჩივარი: მდინარე მტკვრის წყალდიდობის დაბლობი მე-18 და მე-19 მიკრორაიონებსა და სანაპიროს შორის არ არის სტაბილური, აქ წყლის მაღალი დონეა, ნიადაგი სუსტია და არსებული ეროზია ამ ადგილს ხდის საშიშს ნავთობისა და გაზის მილსადენის მშენებლობისათვის.

საინჟინრო შეფასება:

არის დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ბთჯ-ს დამგეგმავმა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო ნიადაგის მდგომარეობა ბთჯ-ს მილსადენის დაპროექტებისას.

გათვალისწინებული იქნა -

- მდინარის, მდინარის ნაპირებისა და მათი სტაბილურობის ჰიდრო-გეოლოგიური შეფასება;

- წყალდიდობის დაბლობის ამოცნობა;
- მდინარის გადაკვეთის ადგილას და მის ახლო მახლო ტეროტორიებზე გეო-ტექნიკური გამოძიების ჩატარება (ჭაბურღილი);
- მილსადენის მცირე მანძილით გადაადგილება, რათა მანძილი მდინარის ნაპირებსა და მილსადენს შორის გაიზარდოს შესაძლებელი ეროზიის თავიდან ასაცილებლად.

დაგეგმვის სქემას თუკი ერთმანეთთან დავანყობთ, დავინახავთ დაგეგმვის დეტალებს, რომლებიც უჩვენებს კარგ პრაქტიკას.

შეთანხმების მრჩეველმა/ომბუცმენმა დამოუკიდებელ ინჟინრებს მიანოდა პროფესორ ზვიადაძის ინგლისურად თარგმნილი წერილის ასლი (რომელმაც აშკარად მონაწილეობა მიიღო მილსადენის ჰიდრო-გეოლოგიურ გამოკვლევაში), რომელიც მიმართული იყო რუსთავის პროცედურულ, ლეგალური საკითხებისა და ადმინისტრაციული უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარისადმი 2003 წლის 25 სექტემბერს. ეს წერილი მონოდებული იყო მოსახლეობის მიერ საჩივარში აღძრული მდინარის მდგომარეობის აღწერის მხარდასაჭერად.

მიუხედავად იმისა რომ წერილში ლაპარაკია მდინარის მდგომარეობაზე, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს მილსადენის მშენებლობაზე, ეს წერილი არ ღძრავს საკითხს, რომელიც უჩვეულოა ქვეყნის გადამკვეთი მილსადენისათვის და არ არის საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მილსადენის მდებარეობა შეიცვალოს.

წყაროების გადაკვეთის ადგილას შესაძლო გავლენა შემცირებულია მდინარის გადამკვეთი მშენებლობის დროს ჰორიზონტალური მიმართულებითი ბურღის გამოყენებით, იმ დროს როცა შესაძლებელი დაჟანგვა მდინარის ნაპირების ალუვიური ნიადაგისა არის შემცირებული მილის გარე დაფარვის პროცესითა და კათედური დაცვის სისტემით. აგრეთვე "უნარიანი კოპიტულას" გამოყენება მილსადენის ოპერატორს საშუალებას მისცემს დაჟანგვის პროცესი დროულად აღმოაჩინოს და მილი შეკეთდეს გაჟონვის დაწყებამდე ბევრად უფრო ადრე.

შეფასების დასკვნა:

დამგეგმავმა ჯგუფმა გაითვალისწინა ნიადაგის მდგომარეობა ჰიდრო-გეოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე და გაბურღა ნიადაგი დაგეგმვისათვის საჭირო გეოტექნიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად. უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ შესაბამისი გამოძიება ჩატარდა და მილსადენისათვის რისკი ძალიან დაბალია. თუკი ეროზიას მომავალში ადგილი ექნება, მდინარესა და მილსადენს შორის არის საკმარისი მანძილი, რათა ასეთ შემთხვევაში პრობლემა დროულად იქნას ამოცნობილი და კონტროლის ქვეშ მოექცეს.

4.6 საკითხი VI - მილსადენის მუშაობის დროს ვიბრაცია დააზიანებს შენობებს

საჩივარი: მე-18 და მე-19 მიკრორაიონების შენობების ხარისხი არ არის მაღალი და მოსახლეობა წუხს, რომ მილსადენის მშენებლობისა და მოქმედების დროს გამონვეული ვიბრაცია დააზიანებს მათ სახლებს

საინჟინრო შეფასება

არც ბოჯ და არც სამხრეთ კავკასიის მილსადენი აწარმოებს ვიბრაციას მუშაობის დროს. საამშენებლო სამუშაოები გამკვალავი მძიმე მანქანებით მილისათვის გზის გაკაფვის დროს

გამოინვეს ვიბრაციას მაგრამ ეს ვიბრაცია ადგილობრივია მშენებლობისათვის და შენელება და გაუჩინარდება მშენებლობის ადგილიდან 25-დან 50-მდე მეტრია მანძილზე.

თუკი გაზურღვისათვის აფეთქება იქნებოდა საჭირო, მაშინ აფეთქებით გამოწვეულ ვიბრაციას შესაძლებელია ზიანი მიყენებინა შენობებისათვის, მაგრამ მე-18 და მე-19 მიკრორაიონებთან სანარმოო სამუშაოებისას აფეთქება საჭიროებას არ წარმოადგენს ნიადაგის მდგომარეობის გამო. ამდენად, აფეთქებით სამუშაოებს რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მახლობლად ადგილი არ ექნება.

შეფასების დასკვნა

იმის საშიშროება, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული ვიბრაცია სახლებს დააზიანებს, გამორიცხულია მიუხედავად იმისა, თუ რა მდგომარეობაშია სახლები.

4.7 საკითხი VII – 500-მეტრიანი უსაფრთხოების ზონა ნიშნავს რომ ამ ზონაში მოხვედრილ სახლებს საფრთხე ემუქრებათ

საჩივარი: ბთჯ/სამხრეთ კავკასიის პროექტმა დაასახელა 500 მეტრიანი "უსაფრთხოების ზონა" მილსადენის ორივე მხარეს. მე-18 და მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი სახლები მოჰყვნენ ამ ზონაში (250-დან 300 მეტრამდე მილსადენიდან) და ამ "უსაფრთხოების ზონის" დასახელებამ გამოიწვია ამ ზონაში მოყოლილ მოსახლეთა შეშფოთება.

საინჟინრო შეფასება

ეს ზონა რეკომენდირებული იყო სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის გამრავლებული რისკის შეფასების შედეგად და ბთჯ-ს მილსადენის მშენებლობის მოთხოვნილებათა ნაწილად იქცა.

ეს ზონა შექმნილი იყო იმ მიზნით, რომ მთავრობას ეცნობებინა მილსადენის მშენებლებისათვის მილსადენის მახლობლად ნებისმიერი მომავალი მშენებლობების შესახებ და მილსადენის მშენებლებს საშუალება ექნებოდათ შეეცვალათ რისკის ფაქტორი და მთავრობისათვის ეცნობებინათ გაეცათ თუ არა მათ მშენებლობის ნებართვები.

ამ ზონით კონტროლდება ქვემოთ მოყვანილი:

- "მგრძნობიარე" მშენებლობები: "მგრძნობიარეა" შემდეგი სახის მშენებლობები საავადმყოფოები, პენსიონერების სახლი, სკოლები, საბავშვო ბალები და ა.შ. რადგან მილსადენის დაზიანების შემთხვევაში მათთვის შენობებიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა შეზღუდულია.
- მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი რაიონები.

არ არის შეზღუდვა ინდივიდუალურ მიწის მფლობელებზე და განცლკევებულ დასახლებებზე.

მიზეზები უსაფრთხოების ზონისათვის:

1. გაზის მილსადენის მშენებლობის დაგეგმვის სტანდარტს (ASME B 31.8) აქვს სავალდებულო მოთხოვნა დაგეგმვისათვის - მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა და "მგრძნობიარე" მშენებლობები/დასახლებები. ეს სავალდებულო მოთხოვნა არის ის, რომ მილის კედლის სისქე განსაზღვრული უნდა იყოს დაგეგმვის 0.50 ფაქტორის (Fd) გამოყენებით (კლასი C - დანართი 4, 1.3 პარაგრაფი).

2. თუკი მილსადენის მოქმედების მანძილზე "მგრძნობიარე" მშენებლობები დაიწყება მილსადენის ახლოს, მაშინ დაგეგმვის სტანდარტი (ASME B31.8) მოითხოვს, რომ მილსადენის საოპერაციო წნევა ამ ადგილას შემცირებული იყოს იმ დონემდე, როგორც არის დაშვებული კლასი 3 მოთხოვნილებებით ან მილის სისქე უნდა გაიზარდოს.
3. წნევის შემცირება გამოიწვევს მილსადენის მოცულობის შეფასებას და ეს აშკარად მიუღებელია.
4. მთავრობა არის პასუხისმგებელი ყველა მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის და მილსადენის მშენებლებთან მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულების თანახმად მთავრობა არის პასუხისმგებელი იმისა, რომ მილსადენის ოპერაციას არანაირი დაბრკოლება არ ჰქონდეს.

გაზის მილსადენის გარშემო ასეთი ზონის გამოცხადება ჩვეულებრივი პრაქტიკა ხდება სხვა ქვეყნებში რათა მილსადენის გარშემო დასახლებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მილსადენის რისკ ფაქტორზე, გაკონტროლდეს და აგრეთვე მილსადენის ოპერატორს თავიდან ააცილოს უზამაზარი თანხების დახარჯვა. დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ამას უწოდებენ "კონსულტაციას" და ავსტრალიაში კი "შეტყობინების" ზონას.

ყველა შემთხვევაში, ზონები არის გაზის მილსადენის გარშემო განვითარების კონტროლის იარაღი რათა გაზის მილსადენის გარშემო მომავალი და მიმდინარე მშენებლობები გაკონტროლდეს.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტმა გამოაქვეყნა მინის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, თითქმის უდავოა, რომ მე-18 და მე-19 მიკორაიონის მაცხოვრებლებისათვის 'უსაფრთხოების' ზონის შესახებ გარკვევით არავის აუხსნია, განსაკუთრებით კი მინის შექმნისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს. იმიტომ რომ ეს საკითხი კომპლექსურია, არ არის გასაკვირი, რომ მოსახლეობამ 500-მეტრიანი ზონის მიზანი ვერ გაიგო და სახელწოდება "უსაფრთხოების" ზონას კი განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა.

შეფასების დასკვნა

პროექტი (სამხრეთ კავკასიის მილსადენი) სწორად მოიქცა 500-მეტრიანი ზონის განსაზღვრისას და მთავრობას შესთავაზა მეთოდი დასახლებების გაკონტროლებისა მილსადენის გარშემო რადგან მილსადენის გარშემო დასახლებებს და შემდგომ განვითარებას მილსადენის უსაფრთხოებასა და მოცულობაზე ექნება გავლენა.

ეს არის დღეს დღეობით არსებული საუკეთესო პრაქტიკა მილსადენის გარშემო მინის გამოყენებისა და განვითარებისა. სამხრეთ კავკასიის მილსადენის დაგეგმვა მე-18 და მე-19 მიკორაიონების მახლობლად მილსადენს ანიჭებს დაგეგმვის ფაქტორს კლასი 3 ადგილმდებარეობისა, აცნობიერებს რა მოსახლეობის პოპულაციას ამ ადგილას.

500-მეტრიანი ზონა არ არის მოთხოვნილება ბოჯ-სათვის მილსადენის გარშემო მინის გამოყენებისა და განვითარების გასაკონტროლებლად მილსადენის დაგეგმვის სტანდარტის (ASME B31.4) გამო და ამ სტანდარტს არ აქვს დამატებითი რაიმე მოთხოვნილება მილსადენის მშენებლობისა შენობების ახლოს.

პროექტმა უნდა მიანოდოს მოსახლეობას ინფორმაცია იმ შეზღუდვათა შესახებ, რომელიც ეხება მილსადენის გაეშემო მონის გამოყენებას, რათა მათთვის ნათელი გახდეს გამოყენებული სხვადასხვა კონტროლის მეთოდი.

4.8 საკითხი VII - ბაქო-სუფსის მილსადენს აქვს გაჟონვის ისტორია

საჩივარი: ნლების წინ აშენებული ბაქო-სუფსის მილსადენს⁹, რომელსაც კავშირი ექნება ბთჯ-ს მილსადენთან, აქვს გაჟონვის ისტორია. ეს ნიშნავს, რომ ახალი მილსადენიც გაჟონავს და პოტენციურად საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას.

საინჟინრო შეფასება:

ბაქო-სუფსის მილსადენი აშენებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ. უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა ვერ მოახერხეს ინფორმაციის მიღება ამ მილსადენის დაგეგმვის და საოპერაციო დეტალების ისტორიის შესახებ გარდა მოსახლეობის მიერ ხსენებული გაჟონვის ფაქტების დასაბუთებისა.

როგორც სამხრეთ კასპის განვითარების პროექტის ნაწილი, ბთჯ-ს კომპანიმ აიღო კონტროლი ბაქო-სუფსის მილსადენისა. ბთჯ-მ ჩაატარა გამოკვლევა, რათა დაედგინათ მილსადენის მდგომარეობა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მილსადენი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მილსადენი მთლიანად გამოცვლას საჭიროებდა და აგრეთვე მილების უმეტეს ნაწილს გამოცვლა სჭირდებოდათ საქართველოს ტერიტორიაზე რათა მილსადენს ემუშავა დღეს არსებული სტანდარტების თანახმად და შემდგომ გაჟინვას ადგილი აღარ ჰქონოდა.

ბთჯ-ს მილსადენის პროექტის ინჟინრებმა დამოუკიდებელ ინჟინრებს უთხრეს, რომ ბაქო-სუფსის მილსადენი დღეს მუშაობს ბთჯ-ს სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების დასკვნა

ბაქო-სუფსის მილსადენი არის მაგალითი იმისა, რომ ცუდად დაგეგმილი და უხარისხოდ აშენებული მილსადენი დროთა განმავლობაში დაჟანგდება და ჟონვას გამოიწვევს.

მეორე მხრივ, ხარისხიანად აშენებული და კარგად მოვლილი მილსადენების (ორივესი, გაზისა და ნავთობის) ისტორია გვიჩვენებს, რომ მილების შესაბამისი დაფარვა და დაჟანგვის კონტროლის სისტემები დაიცავს მილსადენს ჟანგისა გამო ლოთონის დაკარგვისა და შემდგომი ჟონვისაგან.

ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებს აქვთ ორივე, მაღალი ხარისხის გარე დაფარვა და შესაბამისი დაჟანგვის საწინააღმდეგო კათოდური კონტროლის სისტემები მილსადენის გარე მხრიდან დაჟანგვის დასაცავად. ამასთან დამატებით, ბთჯ-ს კომპანიამ პირობა დადო, რომ შექმნის მილების რეგულარულად შემონმების პროგრამას "უნარიანი კოპიტულის" გამოყენებით რათა დროულად აღმოაჩინოს შესაძლო დაჟანგვის ადგილები და შესაბამისი ზომები მიიღონ მილსადენის დაზიანებამდე. "უნარიანი კოპიტულა" კი იძლევა იმი საშუალებას, რომ საკმარისად ადრე იქნას აღმოჩენილი დაჟანგვით გამოწვეული ლითონის დაკარგვა და შემასწორებელი სამუშაოები ჩატარდეს მილსადენის დაზიანებამდე.

⁹ ნავთობის მილსადენი შავ ზღვაზე, რომელიც გადის ბაქოდან (აზერბაიჯანი) სუფსამდე (საქართველო) და აშენებული იყო საბჭოთა პერიოდში

ბაქო-სუფსის მილსადენი არის აშკარა მაგალითი იმისა, რომ საოპერაციო კომპანიამ კარგად უნდა მოუაროს მილსადენის არსებობის მანძილზე.

არის შესაძლებლობა იმისა, რომ მილსადენის ოპერატორმა ხელი მიუშვას მილსადენის მოვლას როდესაც მილსადენის გამოყენებით ვადა დასასრულს მიუახლოვდება (რამდენადაც ნავთობის რეზერვუარი დაცარიელებული იქნება) და ადგილობრივმა მთავრობამ უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მილსადენის ოპერატორმა კომპანიამ უსაფრთხოების პროგრამა განახორციელოს მილსადენის არსებობის ბოლო წუთამდე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი მილსადენის მეპატრონეობა შეიცვლება მილსადენის არსებობის პერიოდში.

ბაქო-სუფსის მილსადენის გამოცდილება არ არის საფუძველი ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის უსაფრთხოების გამო შეშფოთებისა.

4.9 სიტყვიერი საკითხი I - იზოლაციის სარქველების ახლო მდებარეობა საცხოვრებელ სახლებთან

საჩივარი: მოსახლეობამ გამოხატა შეშფოთება იმის შესახებ, რომ მშენებლობის წარმოების დროს ბთჯ-მ გადანყვიტა მოენახა იზოლირებული სარქველი მე-18 და მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი ადგილების ახლოს და ამის გამო მათ პოტენციური საშიშროება ემუქრებოდათ სარქველიდან გამოშვებული ელემენტებისაგან ან კიდევ შესაძლო დაშავება სარქველის დადგმის დროს.

საინჟინრო შეფასება:

საინჟინრო დაგეგმვის გამოძიებამ ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტის რეესტრის მომსახურების დოკუმენტი ნომერი 24630-010-U7R-0000-01000-ის და მინისზედა მონყობილობების ადგილმდებარეობის სქემების ერთმანეთთან დაკავშირებაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ იზოლაციის სარქველები არც ერთ მილსადენზე, რომელიც მოთავსებულია მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მახლობლად, არ არის. შემდეგი ცხრილი არის ნაწილი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტისა, რომელიც აჩვენებს მილსადენის საქართველოში გამავალ ნაწილს და იზოლაციის სარქველების ადგილმდებარეობას ორივე მილსადენზე.

(ქეი ფი) (KP) მარშრუტი 11 სამხრეთი განზომილება (3D Chainage)		მინისზედა მონყობილობები	
ბთჯ	სამხრეთ კავკასიის მილსადენი	ბთჯ	სამხრეთ კავკასიის მილსადენი
27.573	-	სფერო სარქველი	
34.810	-	შესამონმებელი სარქველი	
51.427	51.469	სფერო სარქველი	სფერო სარქველი

მე-18 და მე-19 მიკრორაიონები მდებარეობენ ქეი ფი (KP) 29.56 (კვანძი (bend) BG-054) და ქეი ფი (KP) 31.3 (კვანძი (bend) BG-056) შორის ბთჯ-ზე.

ბთჯ-ს მიერ მოცემული ერთმანეთთან დაკავშირებული სქემები ადასტურებენ, რომ მილსადენის გეგმაში სარქველები მდებარეობენ ამ სქემაში მოცემულ ადგილებზე.

შეიძლება დავინახოთ, რომ ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის სარქველები არის 2-დან 3 კილომეტრის მანძილზე საცხოვრებელი სახლების აღმოსავლეთით (აღმა) და ბთჯ-სა და ბთჯ/სამხრეთ კავკასიის მილსადენის სარქველები 3.5 და 20 კილომეტრის მანძილზე საცხოვრებელი სახლების დასავლეთით (დაღმა),

არანაირი შესძლებლობა არ არსებობს იმისა, რომ მოსახლეობას რაიმე ზიანი მიადგეს სარქველების არსებობით ან მუშაობით მიუხედავად იმისა, თუ სად არიან მოთავსებული.

თუკი აუცილებელი იქნება სამხრეთ კავკასიის მილსადენის ნაწილის დი-ჰერმეტიზაცია იზოლაციის სარქველთან KP 27.57-თან მოთავსებული ხრელის საშუალებით, მოსახლეები გაიგებენ მხოლოდ გამოშვებული გაზის მიერ წარმოქმნილ ხმაურს. მიუხედავად იმისა, რომ ხმაური შემანუხებელი იქნება, იგი არანაირ ფიზიკურ ან სხვანაირ საფრთხეს არ შეუქმნის მაცხოვრებლებს. უნდა აღნიშნული იქნას, რომ მილსადენის დი-ჰერმეტიზაცია ძალიან იშვიათი მოვლენაა მოქმედ გაზის მილსადენში და ძირითადად გამოყენებულია მთავარი შეკეთებისათვის ან მოდიფიკაციის პროცესისთვის.

მეორე მხრივ, თუკი ნავთობის მილსადენს დასჭირდა დი-ჰერმეტიზაცია და იზოლაცია, ამ შემთხვევაში თითქმის არანაირი ხმაური არ წარმოიშობა და მოსახლეობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

შეფასების დასკვნა

მხოლოდ ერთი პოტენციალური გავლენა რასაც შეიძლება მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობაზე ჰქონდეს არის მცირეოდენი ხმაური გამოწვეული სამხრეთ კავკასიის მილსადენის უახლოესი მილის სარქველის გაღებით და გაზის გამოშვებით (დი-ჰერმეტიზაციის იშვიათ აუცილებელ შემთხვევაში).

4.10 სიტყვიერი საკითხი II - მშენებლობის დროს დაბინძურებული ადგილი იქნა აღმოჩენილი

საჩივარი: მშენებლობის დროს მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებმა იგრძნეს ცუდი სუნი, რომელიც დაუკავშირეს ადრე არსებულ საქონლის სამარხს, სადაც დამარხული იყო საქონელი რომელიც დაიღუპა ან მოკლული იქნა ე.წ. ანტრაქსის გავრცელების პერიოდში.

მოსახლეობა შეშფოთებულია, რომ თუკი სამარი იქნა ნაპოვნი და მას შესაბამისად არ მოპყრობიან იმის საშიშროება შეიქმნება, რომ ანტრაქსი დარჩება ადგილზე და შესაძლებელია მომავალში ანტრაქსით მონამვლას ექნეს ადგილი.

საინჟინრო შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხი დამოუკიდებელ ინჟინერთა საინჟინრო შეფასების ნაწილი არ იყო, ტექნიკურმა მრჩეველებმა მოითხოვეს რჩევა ბთჯ-სგან ამ საკითხთან დაკავშირებით. ბთჯ-ს რჩევა ასეთია:

რუსთავისა და მდინარე მტკვირის მახლობლად იქნა აღმოჩენილი არის ანტრაქსის ორი პოტენციური სამარხი, მაგრამ ეს სამარხი მდებარეობს მილსადენის მარშრუტისგან მოშორებით და არის ჰორიზონტალური მიმართულებითი ბურღის (HDD) ახლოს. ეს ადგილი შემოღობილია გამაფრთხილებელი ნიშნებით და წარწერებით.

ტექნიკური მრჩევლები ეცადნენ ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას, მაგრამ უშედეგოდ.

შეფასების დასკვნა

ეს მოხსენება არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს ამ საკითხთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ეს საკითხი არ არის ინჟინრული საკითხების მოხსენების ფარგლებში და აგრეთვე საკმარისი დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო.

4.11 სიტყვიერი საკითხი III - შეშფოთება გლობალური ადგილმდებარეობისა (GPS) და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) მიერ რადიაციის გამოსხივების შესახებ

საჩივარი: მოსახლეობამ აგრეთვე გამოხატა შეშფოთება საჯარო დოკუმენტებში მოხსენიებული ინფორმაციის შესახებ, რომ მშენებლობის ერთ-ერთი ფაზის დროს გამოყენებული იქნება GPS (გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები) და GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები), რომლებიც გამოასხივებენ რადიაციას და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნება.

საინჟინრო შეფასება

გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები (GPS) არის მსოფლიოში აღიარებული და ძალიან ხშირად გამოყენებული ნავიგაციისა და ტოპოგრაფიული აგეგმვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კოსმოსური თანამგზავრზე და მოთავსებულია კოსმოსში დედამიწის ზემოთ. ეს თანამგზავრები გადმოსცემენ სიგნალებს დედამიწაზე თავიანთი ადგილმდებარეობის შესახებ და გადაცემისათვის იყენებენ მცირე ძალის რადიოსიგნალებს. გლობალური ადგილმდებარეობის სისტემის მიმღები კი დედამიწაზე ლეზულობს ინფორმაციას სამი ან მეტი თანამგზავრისაგან და გამოთვლის მიმღების ზუსტ ადგილმდებარეობას 10 მეტრი პლიუს/მინუსი. რამდენადაც გლობალური ადგილმდებარეობის სისტემა მხოლოდ მიმღებია, ამდენად იგი რადიაციას არ ასხივებს. სიგნალები, რომლებიც მიღებულია თანამგზავრისაგან ტიპიურად უფრო ნაკლები ძალისაა ვიდრე მობილური ტელეფონები, რომლებიც ფართოდ არის ხმარებაში საქართველოში.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) არის კომპიუტერზე დაფუძნებული სივრცის დამგეგმავი სისტემა, რომელიც აჩვენებს მილსადენს, ნიადაგსა და შენობებს და აგრეთვე მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები არ ასხივებენ რადიაციას.

შეფასების დასკვნა

გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები (GPS) არ ასხივებს რადიაციას და თანამგზავრიდან მიღებულ სიგნალებს გამოსხივებას მობილურ ტელეფონებზე ნაკლები ძალა აქვთ. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) არის კომპიუტერის პროგრამა და აჩვენებს ინფორმაციას მილსადენის, შენობებისა და ნიადაგის შესახებ. იგი არანაირ რადიაციას არ ასხივებს.

4.12 სიტყვიერი საკითხი IV - მილსადენის მარშრუტი შეცვლა მოსახლეობისათვის არ იყო ცნობილი

დასაწყისში მოსახლეობას ეგონა რომ მილსადენის მარშრუტი გაივლიდა გარდაბნის ახლოს. მათ არ იცოდნენ, რომ მარშრუტი შეიცვალა და რუსთავის ჩრდილოეთით,

მათ საცხოვრებელ სახლებთან ასე ახლოს იქნებოდა, სანამ მშენებლობა არ დაიწყო. მოსახლეობამ აგრეთვე გამოთქვა სურვილი მილსადენის სხვა ადგილას გადატანისა. მათ უსაფრთხოების საკითხებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, სანამ მშენებლობა მათთან ასე ახლოს არ დაიწყო.

საინჟინრო შეფასება

დამოუკიდებელმა ინჟინრებმა განიხილეს გარემოს დაცვისა და სოციალურ შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და განიხილეს მარშრუტის შერჩევა ბოჯ-ს თანამშრომლებთან.

ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის მარშრუტის შერჩევასა სამი ალტერნატიული არჩევანი იყო თბილისისა და რუსთავის მახლობლად. შემდეგი ალტერნატიული მარშრუტები იქნა განხილული დაახლოებით 10 კილომეტრიანი დერეფნის გასწვრივ:

1. ბაქო-სუფსის მილსადენის მარშრუტი მთელი სიგრძით გადის თბილისის ჩრდილოეთით. გამოკვლევამ დაადგინა, რომ ეს მარშრუტი გადიოდა მენყერიან ადგილას და გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს მარშრუტი მიუღებელ რისკს შეუქმნიდა არა მარტო მილსადენს, არამედ გარემოსაც და უსაფრთხოების გამო ეს მარშრუტი უარყოფილი იქნა დაგეგმვის ადრეულ ფაზაში.
2. მეორე ალტერნატიული მარშრუტი რომელიც გადაკვეთავდა მდინარე მტკვარს რუსთავის სამხრეთით გარდაბნის რაიონში, გაივლიდა ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის განცხადებით სამხედრო მიზანს ემსახურებოდა და ამის გამო საქართველოს მთავრობამ მილსადენის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარი განაცხადა.
3. მილსადენის მარშრუტი, რომელიც გადის თბილისსა და რუსთავში მცირე განსხვავებებით არის საბოლოო მარშრუტი.


საბოლოო მარშრუტის არჩევის შემდეგ იგი დეტალურად იქნა გამოძიებული და მარშრუტი 10 კილომეტრი სიგანის დერეფნისაგან შემდგირდა 500 მეტრი სიგანის დერეფნად დეტალური გამოკვლევისათვის სანამ საქართველოს მთავრობას შესთავაზებდნენ დასამტკიცებლად როგორც საბოლოო მარშრუტი მასპინძელი ქვეყნის შეთანხმების თანახმად. საქართველოს მთავრობის მიერ საბოლოო მარშრუტის დამტკიცების შემდეგ 500 მეტრი სიგანის უპირატესობამინიჭებული მარშრუტის დერეფანი იყო საფუძველი საჯარო გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასებისა და საჯარო განსახილვისათვის წარდგენილი იყო მხოლოდ მე-3 მარშრუტი. გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაში აღნიშნული მარშრუტი იყო 500 მეტრიანი უპირატესობამინიჭებული დერეფანი რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ და ბეჭედადარტყმული ყველა დაინტერესებული მეპაიეს მიერ გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებამდე. ეს მარშრუტი გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასების ნაწილი იყო (2002 წლის მაისი) და წარმოდგენილი იყო გამოფენილ რუქებზე რუსთავში და აგრეთვე გამოფენილი იყო 2002 წლის ივლისში რუსთავში ჩატარებულ საჯარო შეხვედრისას.

ბოჯ-მ მიაწოდა მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელ ინჟინრებს სქემა (AGT002-2000-GI-GRM-03096-SHT001) რომელიც ასახავს მთლიან მილსადენის სისტემას ამ ადგილისათვის და სქემა (AGT002-2000-GI-GRM-03063-SHT001) რომელიც ასახავს მე-18 და მე-19 მიკრორაიონებში მარშრუტის განვითარებას.

სქემა AGT002-2000-GI-GRM-03063-SHT001 აჩვენებს ცენტრალურ ხაზს თავდაპირველი 10 კილომეტრიანი სიგანის დერეფნისა, 500 მეტრიანი უპირატესობამინიჭებული დერეფანი წარმოდგენილია გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაში და აგრეთვე წარმოდგენილია ცენტრალურ ხაზი 44-მეტრიანი სიგანის დერეფნისა რომლის გასწვრივაც ბოჯ-ს მილსადენი შენდება.

დანართი ა

ადგილმდებარეობის განზომილებები



დანართი 3

მილსადენის გეგმა

1.1 ზოგადი ინფორმაცია

პროექტი, რომელიც შექმნილია ბთჯ კომპანიის მიერ თბილისისა და რუსთავის მახლობლად შეიცავს ორ პარალელურად მშენებარე მილსადენს:

- ა 46 (A 46) გარე დიამეტრით გადაუმუშავებელი ნავთობის მილსადენი დაგეგმილი ASME B31.4 მიხედვით (თხევადი ნახშირწყალბადის და სხვა თხევადი ნივთიერებების ტრანსპორტაციის მილსადენის სისტემა).
- ა 42 (A 42) გარე დიამეტრით გაზის მილსადენი დაგეგმილი ASME B31.8 მიხედვით (გაზის გადატანისა და განაწილების მილსადენი სისტემები).

თითოეული მილსადენი გადაზიდავს ნახშირწყალბადიან თხევად ნივთიერებებს წარმოებისა და დამუშავების სისტემებიდან ბაქოს (აზერბაიჯანი) ჯეიჰანის (თურქეთი) სადგურში ნავთობის მილსადენის შემთხვევაში ბთჯ და თურქეთში გაზის გადაზიდვის სისტემის შემთხვევაში სამხრეთ კავკასიის მილსადენი.

ეს მილსადენები აშენებული იქნება ერთმანეთთან პარალელურად და ნორმალური განცალკევებით ერთმანეთისაგან 28 მეტრის დაშორებით. მგრძნობიარე და შეზღუდულ ადგილებში მანძილი მათ შორის შემცირდება.

1.2 ბთჯ მილსადენის გეგმა

ბთჯ მილსადენი საქართველოში არის 46 (1168 მილიმეტრი) გარე დიამეტრისა. ეს დიამეტრი არჩეულია მილების ერთმანეთთან გადაბმით გამოწვეული დანაკარგების შესამცირებლად რათა მიღწეული იქნას დაგეგმილი მოცულობა მხოლოდ ორი სატუმბავი სადგურის გამოყენებით საქართველოში. ეს გადანაცვტილება მიღებული იქნა ნაწილობრივ ტოპოგრაფიული და ნაწილობრივ იმ მიზეზის გამო, რომ მილსადენი გადის მგრძნობიარე გარემოსა და მთიან ადგილებში თბილისის დასავლეთით.

მილსადენის დაგეგმილი წნევა იცვლება შინაგან წნევასთან ერთად მილსადენის მთელი სიგრძის მანძილზე.

თხევადი მილსადენის შემთხვევაში წნევა მცირდება დაახლოებით წინასწარ შეფასებული ნორმით სატუმბო სადგურიდან დაქანების ხაზის გასწვრივ რომელიც ცნობილია როგორც ჰიდრაულიკური გრადიენტის ხაზი. როდესაც გრაფიკზე აღნიშნულია მილსადენის პროფილთან, შინაგანი წნევა მილსადენში არის სხვაობა ჰიდრაულიკურ გრადიენტის ხაზსა და მილსადენის პროფილს შორის.

ამის გამო, ნორმალურია რომ მილსადენის სისქე იცვლებოდეს მილსადენის მთელს სიგრძეზე შინაგან წნევის ცვლილების გამო.

საჩივრის ადგილას მილსადენის დაგეგმილი წნევა არის 117 ბარომეტრი (bar) (11.7 მპა) (MPa).

მილსადენი კონსტრუირებულია ფოლადისაგან რომელიც შეესაბამება ამერიკის პეტროლეუმის ინსტიტუტის (API) სპეციფიკაციას 5L ხარისხი X70-PSL2. ამ მასალას აქვს მინიმუმი

სპეციფიური მწარმოებლობის ძალა 70,000 გირვანქა თითოეულ კვადრატულ დუიმზე (psi) (482 მპა (MPa)).

მოთხოვნილი კედლის სისქე (მიას B31.4) (ASME B31.4) გამოთვლილია შემდეგნაირად:

$$t = \frac{PD_o}{2SF_d}$$

სადაც: t = კედლის სისქე

P = დაგეგმილი წნევა (11.7 მპა) (11.7 Mpa)

S = ფოლადის სპეციფიური მინიმუმი მწარმოებლობის ძალა (482 მპა) (482 Mpa)

F_d = დაგეგმვის ფაქტორს (უსაფრთხოების ფაქტორს) (0.72)

მოთხოვნილი სისქე ზემოთმოყვანილი ფორმულიდან არის 19.7 მმ

საჩივრის რეგიონის პროექტის ერთმანეთთან დაწყობილი სქემები (410088-95-L-PL-AL სქემები 530-დან 532-მდე) გვიჩვენებს, რომ მილის კედლის სისქე არის 20.4 მმ. ეს სისქე არის საკმარისი 12.1 მპა (MPa) მეტი შინაგანი წნევისათვის უსაფრთხოების დამატებითი შეცდომის მიჯნის გათვალისწინებით.

რუსთავის საცხოვრებელი სახლების ახლოს გამავალი ბოჯ-ს მილსადენი ჩამარხულია დაახლოებით სულ მცირე 1.0 მეტრის სიღრმეზე, ადგილობრივ დაფარვის გათვალისწინებით კი 1.5 მეტრის სიღრმეზე იმ ადგილებში, სადაც მილსადენი კვეთავს გზას და უფრო ღრმაა სადაც მილსადენი გადაკვეთავს საკანალიზაციო სისტემას საცხოვრებელი ადგილის დასავლეთით.

რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების რეგიონში (ქეი ფი 30) (KP 30) ბოჯ-ს მილსადენს აქვს მოქმედი საიზოლაციო სარქველი კეი ფი 27.6 (მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ მხარეს და შენობებიდან მისი დანახვა თითქმის შეუძლებელია) და აგრეთვე არის უკან დაუბრუნებელი სარქველი დადგმული კეი ფი 34.8 თბილისი-რუსთავის გზის დასავლეთ მხარეს. შემდეგი საიზოლაციო სარქველი არის მოთავსებული მსგავს სარქველთან სამხრეთ კავკასიის მილსადენზე კეი ფი 51.5-თან (KP 51.5)

ბოჯ-ს მილსადენი გარედან დაფარულია სამ- ფენიანი დამფარავი სისტემით, რომელიც შედგება გადნობის მეთოდით დამფარავი სისტემისგან რომელიც არის თანა-პოლიმერის ნებოვანი ფენა, და 3 მმ სისქის საშუალო სიმჭიდროვის სქელი მექანიკური დამცავი ფენისგან. შედუღებული სახსრები დაფარულია პულვერიზატორით დაფარული ეპოქსი-ურათენის საფარით (SPCC 2888).

მილის შიგნითა მხარე დაფარულია ეპოქსის საღებავით.

1.3 სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის გეგმა

სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენს აქვს შემდეგი თვისებურებები:

- გარეთა დიამეტრი 42
- გეგმით წნევა 10 მპა (MPa) (100 ბარომეტრი)

გაზის მილსადენის გეგმა იყენებს 1.2 ნაწილში ნაჩვენებ ფორმულას კედლის სისქის გამოსაანგარიშებლად. გეგმის სტანდარტი (მიას B31.8) (ASME B31.8) მოითხოვს უფრო კონსერვატიულ ფაქტორებს იმ შემთხვევაში, როდესაც შენობათა რიცხვი და ტიპი არის მოთვსებული 200 მეტრ ზონაში მილსადენის თითოეულ მხარეს (მთლიანი სიგანე =0.25 მილს) და 1,600 მეტრი (1 მილი) სოგრძით წარმოადგენს მოსახლეობის მზარდ სიმჭიდროვეს. გეგმის ფაქტორები (Fd) არიან -

- 0.72 (კლასი 1 - სოფლის ტერიტორია - შენობათა იშვიათი რაოდენობა; არა უმეტეს 10),
- 0.60 (კლასი 2 - 11-46 შენობა),
- 0.50 (კლასი 3 - 46 შენობაზე მეტი; ქალაქ გარე ტერიტორია),
- 0.40 (კლასი 4 - მრავალსართულიანი შენობები 4-ზე მეტი სართულით).

სამხრეთ კავკასიის მილსადენის მარშრუტი არჩეული იყო რადგან არ იყო ადგილმდებარეობა, რომელიც მოითხოვს მილსადენის მშენებლობის 0.40 გეგმის ფაქტორს. მილსადენის სიგრძის გასწვრივ სამხრეთ კავკასიის მილსადენმა მე-3 კლასის ადგილ-მდებარეობა შერჩევით აიღო - კონსერვატიული მიდგომა იმ შემთხვევებში როდესაც არის შესაძლებლობა მომავალში მილსადენის ახლოს დასახლებებისა.

გამოთვლილი სისქე გეგმის შესაბამისი სამი ფაქტორისა არის 15.4 მმ, 18.5 მმ და 22.1 მმ.

მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მახლობლად შენობები არიან 200 მეტრიანი ზონის მიღმა და მილსადენი შეიძლება დაგეგმილი იყოს ზუსტად 15.4 მმ კედლის სისქით. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში შესაძლოა ახალი სახლების მშენებლობას ჰქონდეს ადგილი მილსადენსა და ამჟამად არსებულ მე-18 და მე-19 მიკრორაიონების სახლებს შორის, ბოჯ-ს კომპანიამ გადაწყვიტა, რომ ამ ადგილზე პროექტისათვის გამოეყენებინა სამი სისქიდან ყველაზე სქელი მილები - რაც არის ამ საკითხისადმი უფრო კონსერვატიული მიდგომა ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვს.

მე-18 და მე-19 მიკრორაიონების რეგიონში (კეი პი 30) (KP30) სამხრეთ კავკასიის მილსადენს აქვს მოქმედი საიზოლაციო სარქველი კეი პი 27.6-თან (KP27.6) (მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ მხარეს, სახლებიდან მოშორებითაა მოთავსებული და მისი დანახვა სახლებიდან თითქმის შეუძლებელია). შემდეგი საიზოლაციო მილი არის მოთავსებული დაღმა კეი პი 51.5-თან (KP51.5).

1.4 გეგმისა და ოპერაციის სხვა საზომები

სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის გამოყენებული გარეთა, შიგნითა და სახსრების დამფარავი სისტემა შედგება იგივე ნივთიერებებისაგან, რომლებიც გამოყენებულია ბოჯ-ს მიერ.

დაჟანგვის სანინალმდეგო დამფარავი სისტემა ბოჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებზე არის განმტკიცებული არსებული დაპრესილი კათოდური დაცვის სისტემით პროექტის მოქმედებისა თუ მშენებლობის დროს წარმოქმნილ შესაძლო დაჟანგების თავიდან ასაცილებლად.

მილსადენის ოპერატორებმა პასუხისმგებლობა აიღეს მიმდინარე მილსადენის მაღალ დონეზე მოვლის პროცესისთვის, რომელშიც შედის:

- ლითონის დაკარგვის სისტემატიური შემონემა "უნარიანი კოპიტულას" გამოყენებით (გახშირებული იმ ადგილას სადაც გარემოცვა უფრო მგრძობიარეა);
- ყოველდღიური ცხენოსანი პატრული (ექვსი დღე ყოველ კვირაში) და ამასთან დამატებით, ადგილის მანქანით და აგრეთვე ჰაერიდან შემონემა;
- რეალური დროით მოქმედი ჟონვის საპოვნი სისტემა;
- მილსადენის ორივე მხარის მკაცრი გაკონტროლება. კონტროლი პროგრესიულად სუსტდება მილსადენიდან მანძილის გაზრდისას;
- 500-მეტრიანი "უსაფრთხოების" შეტყობინების ზონა მილსადენის ორივე მხარეს, მილსადენის ოპერატორს უნდა ეცნობოს და მასთან კონსულტაციები ჩატერდეს ამ ზონის შიგნით ნებისმიერი ახალი მშენებლობის დამტკიცებამდე.

აგრეთვე არსებობს დამატებითი საოპერაციო და მილსადენის მოვლის პროცედურები, რომლებიც ტიპიურია მსხვილი ნახშირწყალბადის მილსადენის სისტემებისათვის.

დანართი 4

მილსადენის დამოუკიდებელი ინჟინრების მითითებების განმარტება

ბთჯ - საქართველო/რუსთავის მოსახლეობის მიერ შემოტანილი საჩივრის შესაფასებელი ვიზიტი, 2004 წლის ივნისი.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი დაბანდების სააგენტოსთან არსებული შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი რომელიც არის დამოუკიდებელი ოფისი და მოახსენებს პირდაპირ მსოფლიოს ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს, ვალდებულია

- დაეხმაროს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი დაბანდების სააგენტოს პრობლემების გადამწყვეტი მიდგომით განიხილოს პროექტის მიერ ზეგავლენილი მოსახლეობის საჩივარი პროექტისათვის გაუმჯობესებული სოციალური და გარემოების საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, რომელშიც მათ როლი აკისრიათ (შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის როლი);
- პრეზიდენტს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი დაბანდების სააგენტოს ხელმძღვანელობას მიაწოდოს დამოუკიდებელი რჩევა ტენდენციების, სხვადასხვა საკითხების და კურსის შესახებ (მრჩევლის როლი);
- ზედამხედველობა გაუწიოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი დაბანდების სააგენტოს ანგარიშების შემონეშვას გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობისა და მგრძობიარე პროექტებთან დაკავშირებით (შეთანხმების მრჩევლის როლი).

ზოგადი ინფორმაცია

2004 წლის 15 მარტს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა მიიღო საჩივარი საქართველოს ქალაქ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობისაგან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც რუსთავში ტექნიკური შეფასების მისიის შემდეგ გაცნობიერებული იყო 2004 წლის 14 აპრილს.

საჩივარში აღძრულია შემდეგი საკითხები:

- 1) ეფექტური საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციის უქონლობა მილსადენის რეალური მარშრუტისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით;
- 2) მილსადენის, რომელიც მათი სახლებიდან დაახლოებით 180-დან 250-მდე მეტრის დაშორებით გადის, მარშრუტის მიერ შექმნილი საშიშროება არსებული ნიადაგის ეროზიის, მიწისქვეშა მდგომარეობისა და მზარდი პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე;
- 3) უსაფრთხოების მანძილის შესახებ მილსადენსა და საცხოვრებელ სახლებს შორის ლეგალური სპეციფიკაციის ნაკლებობა საქართველოს კანონმდებლობაში ან საერთაშორისო სტანდარტებში;
- 4) პროექტის სპონსორების მხრიდან მოსახლეობის მიერ წამოჭრილი მილსადენის უსაფრთხოებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების მოთხოვნაზე რეაგირების ნაკლებობა.

ამ შეფასებაში შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის განზრახვა არის შეაფასოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის როლი პირდაპირ სპონსორებთან ზემოხსენებულ ყოველ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოებისა და სოციალური საკითხებისადმი და პროცედურებისადმი დაუმორჩილებლობის ჩათვლით.

დასახული მიზნები

შეთანხმების მრჩევლი/ომბუცმენი დასახმარებლად, რათა დაემორჩილოს მის წინაშე დასმულ პასუხისმგებლობას და უზრუნველყოს დამოუკიდებელი ტექნიკური ექსპერტიზა, მილსადენის უსაფრთხოების ინჟინრებს მოეთხოვებათ:

- (ა) განსაზღვრონ ზოგადად მილსადენსა და საცხოვრებელ სახლების შორის მანძილის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები გარემოებისათვის რისკის შეფასების ჩათვლით როგორც ეს დასაწყისში იყო დაგეგმილი და როგორც ეს ეხლა დგას ინდუსტრიის კოდების, პრაქტიკის, სტანდარტების ან მილსადენის ინდუსტრიის მიერ ზოგადად მიღებული სტანდარტების ჩათვლით, რომ ზომიერი შეფასების გამოყენებისას ცნობილი ფაქტები ან ფაქტები, რომლებიც ცნობილი უნდა ყოფილიყვნენ, გამოყენებული იქნეს არსებული კანონებისა და კოდების, უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ეკონომიკის ფონზე.
- (ბ) ჩაატარონ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა და ბთჯ-სთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა და აგრეთვე ჩაატარონ ადგილზე ინტერვიუები;
- (გ) შეაფასონ ბთჯ-ს კომპანიის მიერ მილსადენის ოპერაციის უსაფრთხოებისა და რისკის შეფასების შესახებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ეფექტურობა;
- (დ) მიაწოდოს შეთანხმების მრჩევლს/ომბუცმენს რეკომენდაციები შემდგომი ტექნიკური რისკის შეფასების შესწავლის ან/და საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ;
- (ე) შეასრულონ სხვა დავალებები საჭიროებისა და მიხედვით.

მრჩევლების პროფილი

მრჩევლს უნდა ჰქონდეთ მინიმუმი უმაღლესი განათლება შესაბამის საინჟინრო დარგში და აჩვენოს (1) მნიშვნელოვანი გამოცდილება მილსადენის უსაფრთხოებასა ან/და მილსადენის რისკის შეფასებაში (სულ ცოტა 15 წლის გამოცდილება) ქვეყნის გადამკვეთი გაზისა და ნავთობის მილსადენების ჩათვლით; (2) უნარი იმისა, რომ შეაფასოს უსაფრთხოების სისტემების შესატყვისობები და უსაფრთხოების კანონმდებლობების შესაბამისობა გადაუმუშავებელი ნავთობის მილსადენის უსაფრთხოებისა და რისკის შეფასებისა ზოგადად აღიარებულ საინჟინრო პრაქტიკასთან; (3) წინასწარ დათქმულ დროს ჩაატაროს ადგილის შეფასება შეთანხმების მრჩევლს/ომბუცმენის შემფასებელი ვიზიტის დროს; (4) იმოქმედოს როგორც მულტიდისციპლინარული ჯგუფის წევრმა და როგორც პლიუსი (5) მსოფლიოს ბანკის/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პოლიტიკის, პროცედურებისა და წამყვანი პრინციპების ცოდნა იქნება ძალიან სასარგებლო. გასული სამი წლის განმავლობაში მრჩევლებს ნამუშევარი არ უნდა ჰქონდეთ ბრითიშ პეტროლეუმთან ან ნებისმიერ სხვა ბთჯ-ს კომპანიის წევრებთან საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ჩათვლით ბთჯ-ს ან ნებისმიერ სხვა პროექტზე.

მუშაობის განრიგი და დრო

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის სპეციალისტ ომბუცმენის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით მრჩევლები მიიღებენ მონაწილეობას დოკუმენტების განხილვაში და აგრეთვე ეწვევიან საქართველოს ქალაქ რუსთავს 2004 წლის 7-11 ივნისს და ადგილზე ჩაატარებენ ინტერვიუებს მოსახლეობასთან, ბიზ-ს ა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიასთან, ადგილობრივ და ეროვნულ ხელმძღვანელობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირებთან. მრჩევლები წერილობით წვლილს შეიტანენ შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის შეფასებაში და მოხსენებას მომზადებენ 2004 წლის 18 ივნისამდე.

დანართი 5

მონვეულ მონაწილეთა სია

შესაფასებელი ვიზიტი 2004 წლის 1-7 აპრილი

ჟაკ როუსელიერი, სპეციალისტი, შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი

სარა განი, გამოკვლევის ასისტენტი, შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი

პირველი შესაფასებელი ვიზიტი 2004 წლის 18-21 მაისი

ჟაკ როუსელიერი, სპეციალისტი, შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი

სარა განი, გამოკვლევის ასისტენტი, შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი

მეორე შესაფასებელი ვიზიტი 2004 წლის 8-11 ივნისი

მეგ ტეილორი, შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი

ჟაკ როუსელიერი, სპეციალისტი, შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი

ამარ ინამდარი, მრჩეველი *(უფროსი სპეციალისტი, შეთანხმების მრჩევლის ომბუცმენის ოფისის წევრი გახდა 2004 წლის სექტემბერში)*

კენ ბილსტონი, მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელი საინჟინრო კონსულტანტი

ფილიპ ვენტონი, მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელი საინჟინრო კონსულტანტი

დანართი 6

საჩივრის განხილვის პროცესის დეტალები

1. შესაფასებელი ვიზიტი (2004 წლის 1-7 აპრილი)

შეფასება არის პროცესი, რომლის განმავლობაშიც შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი წყვიტავს გააცნობიეროს თუ არა საჩივარი საჩივარში წამოჭრილ საკითხთა დეტალურად განხილვამდე. შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები ეწვივნენ საქართველოს 2004 წლის 1-7 აპრილს რათა შეეფასებინათ მაცხოვრებელთა საჩივარი ბთჯ-ს შესახებ. ამ ვიზიტის მთავარი მიზანი იყო შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი დარწმუნებულიყო საჩივარში წამოჭრილ საკითხთა უტყუარობასა და კანონიერებაში ანუ იმაში, რომ საჩივარი ეთანხმებოდა შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის მიერ საჩივრის გასაცნობიერებლად არსებულ კრიტერიუმს. ეს მოითხოვს, რომ საჩივარი შეტანილი იყოს იმ მაცხოვრებელთა (ან მათი სახელით) მიერ, რომლებზედაც სართაშორისო საფინანსო კორპორაციის პროექტს ზეგავლენა ჰქონდა, ამ შემთხვევაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი.

2004 წლის 2 აპრილს შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები რუსთავში შეხვდნენ რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებს. წარმომადგენლებმა მთელი დღე გაატარეს ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლში ამონმებდნენ ხელმოწერებს, რათა დაედგინათ რომ მაცხოვრებლებმა მართლაც მოაწერეს ხელი საჩივარს და ამონმებდნენ აგრეთვე რომ მაცხოვრებლებისათვის საჩივარის არსებობა ცნობილი იყო და ეთანხმებოდნენ საჩივარში წამოჭრილ საკითხებს.

საჩივარი ხელმოწერილი იყო რამდენიმე ასეული მაცხოვრებლის მიერ და ოფისის წარმომადგენლებს რომ დასაბუთებინათ ხელმოწერების სინამდვილე, მათ შეამოწმეს 25-დან 30%-მდე ხელმოწერები, ესაუბრებოდნენ მაცხოვრებლებს და ამონმებდნენ მათ პირადობის მონმობებსა და პასპორტებს.

იყო სხვაობა იმ ასლსა, რომელიც მოსახლეებმა ფაქსით გაუგზავნეს შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისს და დედანს შორის, რომელიც ოფისმა მიიღო. როგორც ჩანს, ზოგიერთი გვერდი მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებელთა ხელმოწერით, რომლებიც გამოცხადდნენ 2 აპრილს და წარმომადგენლებს უჩვენეს თავიანთი პირადობის მონმობა, შეცდომით არ იქნა ფაქსით გაგზავნილი შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისში. მათი ვინაობა დამტკიცდა ნოტარიუსით დადასტურებული განცხადების საფუძველზე, რომლითაც მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებმა ბატონ მერაბ ვაჩეიშვილსა და ქალბატონ ელენორა დილმელაშვილს უფლება მისცეს მათი სახელით ემოქმედათ.

მაცხოვრებლებთან შეხვედრისა და ხელმოწერათა შეფასების საფუძველზე შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისმა აღიარა საჩივარი კანონიერად. მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მოსახლეობის ასოციაციის წარმომადგენლებმა მერაბ ვაჩეიშვილისა და ელენორა დილმელაშვილის ჩათვლით თანხმობა განაცხადეს მთარგმნელად გამოეყენებინათ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მწვანე ალტერნატივიდან და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ საჩივრის გენეზისი თვით რუსთავის მაცხოვრებლებისგან მოდიოდა.

რუსთავის მაცხოვრებლებთან შეხვედრის შედეგად შეთანხმების მრჩეველის/ომბუცმენის ოფისმა გააცნობიერა რუსთავის მაცხოვრებლების საჩივარი 2004 წლის 14 აპრილს და განაგრძო საჩივრის განხილვა შემდეგ ნაბიჯამდე, რომელიც არის საჩივრის შეფასება.

2. შეფასება (2004 წლის 18-21 მაისი/2004 წლის 8-11 ივნისი)

შეფასება არის პროცესი, რომლის დროსაც საჩივარში წამოჭრილი საკითხების წინასწარი გამოძიება ტარდება რათა გადაწყვეტილება იქნეს მიღებული თუ რა (თუკი რაიმე) შემდგომი მოქმედებაა საჭირო.

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა განიხილა ბთჯ-ს პროექტის დოკუმენტები 2004 წლის მარტის შუა რიცხვებიდან მაისის შუა რიცხვებამდე. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისს მიანოდა პროექტის მთავარი პირების სახელები ბთჯ-ს კომპანიიდან, თბილისში ბრითიმ პეტროლეუმიდან და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიიდან, რომელთაც შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი დაუკავშირდა საქართველოში ჩამოსვლამდე. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები საქართველოს ენვივნენ 2004 წლის მაისსა და ივნისში საჩივრის შესაფასებლად.

ბრითიმ პეტროლეუმმა აუწყა შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისს, რომ 2004 წლის 10 მაისს კომპანიის ხელმძღვანელობა ქვეყნიდან წასული იქნებოდა და დაგეგმილ დროს შეხვედრის მოწყობა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ივნისის დასაწყისში თბილისი მათ შეხვედრაზე დასწრება შეეძლოთ. ამის გამო მეორე შესაფასებელი ვიზიტი იქნა დაგეგმილი ივნისისათვის ბთჯ-ს ოპერატორის ბრითიმ პეტროლეუმის და საჩივართან დაკავშირებულ სხვა პირთათვის (საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა) ინტერვიუს ჩასატარებლად.

2004 წლის 18 მაისს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები ენვივნენ რუსთავს. განმცხადებელთა მთავარ წარმომადგენლებთან ერთად შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები ენვივნენ მილსადენის მშენებლობის ადგილს. წარმომადგენლებმა განმცხადებლებს შეკითხვები დაუსვეს იმასთან დაკავშირებით თუ რა კომუნიკაცია ჰქონდათ მათთან ბთჯ-ს, ბრითიმ პეტროლეუმს და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლებს და პროექტთან დაკავშირებული რა სახის ინფორმაცია ჰქონდათ მათ მიწოდებული იმ კომპანიების წარმომადგენლებისაგან და აგრეთვე დადგინილი იყო თუ არა მოქმედებათა დრო. განმცხადებლებმა აგრეთვე ისაუბრეს მილსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მთავარ საკითხებზე.

2004 წლის 19 მაისს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები რუსთავის მაცხოვრებლებთან ერთად შეხვდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს მწვანე ალტერნატივა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რომლებიც ეხმარებოდნენ რუსთავის მაცხოვრებლებს. მწვანე ალტერნატივამ თქვა, რომ ისინი ამ საჩივრით დაინტერესდნენ 2004 წლის 9 იანვარს რუსთავის მე-19 მირორაიონთან ახლო მდებარე მილსადენის მშენებლობის ადგილას მშვიდობიანი მოსახლეობის დემონსტრაციის წინააღმდეგ მილიციის მოქმედებათა შემდეგ. მწვანე ალტერნატივამ თქვა, რომ მოსახლეობამ არ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი ბთჯ-ს კომპანიიდან და მათ რუსთავის მოსახლეობას ურჩიეს საჩივარ შეეტანათ შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისში.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო მოსაჩივრეთა კომიტეტისათვის რომ სხვა მოსაჩივრებებისათვის ეჩვენებინა რომ მათ მცდელობას და ფინანსიურ კონტრიბუციას უწყლოდ არ ჩაუვლია. ამის შედეგად, მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მაცხოვრებლებთან ორი შეხვედრა იქნა ჩატარებული შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის წარმომადგენლების მიერ. შეხვედრას ბევრი მაცხოვრებელი დაესწრო და შეხვედრა ძალიან შემოქმედებით, მაგრამ საკმაოდ ინტენსიურ ატმოსფეროში ჩატარდა. მაცხოვრებლებმა ძალიან ბევრი შეკითხვები დასვეს რომელთა უმეტესობა ეხებოდა მილსადენის უსაფრთხოების გარანტიას ვიზრაციისაგან, ნავთობის გაჟონვას, ნიადაგის სიმყარეს, გადაუმუშავებელი ნავთობის ტრანსპორტაციის მიღების უსაფრთხოების სტანდარტებს, და გლობალური ადგილმდებარეობის სისტემების მიერ რადიაციის გამოსხივებას. მიუხედავად იმისა, რომ მაცხოვრებელთა უმეტესი შეკითხვა ტექნიკური ხასიათის იყო, მათ ეცნობათ, რომ შეთანხმების მრჩეველმა/ომბუცმენის ოფისმა დაიქირავა მილსადენის უსაფრთხოების ორი დამოუკიდებელი ინჟინერი, რომლებიც საქართველოს ენვივნენ ივნისის დასაწყისში როგორც მეორე შესაფასებელი ვიზიტის ნაწილი

და მათ საშუალება ექნებოდათ ამ ექსპერტებისაგან მიეღოთ პასუხები ტექნიკური შეკითხვებზე.

მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელი ექსპერტები და შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლები 2004 წლის 8-11 ივნისს ეწვივნენ საქართველოს რათა დაესრულებინათ შეფასების პროცესი. ჯგუფი შეხვდა ადგილობრივ ხელმძღვანელობას და ბოჯ კომპანიის წარმომადგენლებს და ჩაატარა შემდგომი შეხვედრა განმცხადებლებთან და მწვანე ალტერნატივასთან. თბილისში, 2004 წლის 11 ივნისს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა ჩაატარა შეხვედრა განმცხადებლებთან და მათ გააცნო ინჟინრების წინასწარი შეფასება.

დანართი 7 - საჩივარში წამოჭრილ საკითხთა ტაბულა

საჩივარში წამოჭრილი საკითხი	ტექნიკური შეფასება	შემდგომი რეკომენდაციები
<p>საკითხი I. მილსადენი არის საცხოვრებელ სახლებთან ახლოს და მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს უსაფრთხოების გამო</p>	<p>მანძილი ბთჯ-ს მილსადენსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე სინამდვილეში არის 260 მეტრი და მანძილი სამხრეთ კავკასიის მილსადენიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე კი 285 მეტრი. ეს მანძილი შედარებით უფრო მეტია, ვიდრე მასპინძელი ქვეყნის შეთანხმებაში მოცემული საერთაშორისო გეგმის კოდი და მანძილი მრავალჯერი რისკის ანალიზის მოთხოვნილებების თანახმად, რომელიც გამოიყენება რამოდენიმე საერთაშორისო იურისდიქციის ტერიტორიაზე, რათა მილსადენისაგან განმაცალკეებელი მანძილი დადგინდეს რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის თანახმად.</p>	<p>მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს.</p>
<p>საკითხი II. არსებობს მასალა მილსადენის გაყონვისა და მოსახლეობისათვის ზიანის მიყენებისა, რომელიც ბთჯ-ს ახლო მცხოვრები მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს</p>	<p>ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენი არის დაგეგმილი, იმუშავებს და მოვლილი იქნება თანამედროვე უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ეს სტანდარტები შეამცირებენ მილსადენის დაზიანების რისკს ყველაზე ხშირი წყაროებისაგან, როგორცაა გარედან ზემოქმედება და დაჟანგვა. მილსადენის ფოლადი არის სქელი და დაფარულია სამ-ფენიანი დამფარავი სისტემით; მოქმედების დროს კი ისინი დაცული იქნებიან დაჟანგვისაგან კათოდური სისტემით და შიგნითა მხარე რეგულარულად იქნება შემოწმებული უნარიანი კომპიტულას საშუალებით</p>	<p>მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს.</p>
<p>საკითხი III. მოსახლეობას სურს შეიტყოს უსაფრთხოების სტანდარტების შესახებ, რომლებიც შეესაბამება მსგავს მილსადენებს</p>	<p>მასპინძელი ქვეყნის შეთანხმებაში არსებული სტანდარტები არის ყველაზე ხშირად გამოყენებული სტანდარტები მილსადენისათვის. ტექნიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება (ASME) B31.4 და ASME B31.8 ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის შესაბამისად.</p>	<p>მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს.</p>
<p>საკითხი IV. ბთჯ-ს სამხრეთ კავკასიის მილსადენის პარალელურად აშენება ახლო მცხოვრები მოსახლეობისათვის საფრთხეს გაზრდის</p>	<p>ორი მილსადენის დამატებითი ზეგავლენა აღძრავს განცალკევების მანძილის მოთხოვნილებას დაახლოებით 50 მეტრი უახლოესი მილსადენიდან. სინამდვილეში კი უახლოესი მილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლის კუთხემდე არის 260 მეტრი. ამჯერად, მანძილის მოთხოვნილება</p>	<p>მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს.</p>

საჩივარში წამოჭრილი საკითხი	ტექნიკური შეფასება	შემდგომი რეკომენდაციები
	დაკმაყოფილებულია.	
საკითხი V. მდინარე მტკვრის ნიადაგი არასტაბილურია მტკვრის სანაპიროსა და მე-18 და მე-19 მიკრორაიონებს შორის, წყალი მაღალ დონეზეა და არსებობს ისტორია ეროზიისა, ნათელია, რომ ეს ადგილი უფარგისია ნავთობისა და გაზის მილსადენის მშენებლობისათვის	დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაასკვნეს რომ საჭირო გამოკვლევა ჩატარდა და მილსადენისათვის ეროზიის რისკი დაბალია. გამოკვლევა მოიცავდა მდინარისა და ნაპირების ჰიდრო-გეოლოგიურ შეფასებას და ამის გამო მილსადენი მცირე ზომით გადაადგილებული იქნა. მილსადენი ეხლა უფრო მოშორებით არის მდინარიდან.	მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს
საკითხი VI. მე-18 და მე-19 მიკრორაიონების საცხოვრებელი შენობების ხარისხი არ არის მაღალი და ვიბრაცია მილსადენის ოპერაციის (და მშენებლობის დროს) დააზიანებს სახლებს.	ბთჯ და სამხრეთ კავკასიის მილსადენი არ გამოიწვევენ ვიბრაციას. მშენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ვიბრაცია, მაგრამ ის ნიადაგის მიერ იქნება შთანთქმული დაახლოებით 25-30 მეტრის დაშორებით მშენებლობიდან და შენობებს არ დააზიანებს	მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს
საკითხი VII. ბთჯ და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიებმა გამოაცხადეს 500მეტრიანი "უსაფრთხოების ზონა" ორივე მხარეს მილსადენის გასწვრივ. ამან გამოიწვია მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მოსახლეთა შემფოთება.	500 მეტრიანი ზონა დღეს დღეობით არის საუკეთესო პრაქტიკა გაზის მილსადენის გარშემო მიწის გამოყენებისა და საზოგადო განვითარებისათვის და რეკომენდირებული იყო სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის. ეს ზონა შექმნილი იყო იმ მიზნით, რომ მთავრობას ეცნობებინა მილსადენის ოპერატორებისათვის მომავალი მშენებლობების როგორცა სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღები შესახებ და მათთვის საშუალება მიეცა შეეცვალათ რისკის ფაქტორი. უსაფრთხოების ზონა არ წარმოადგენს აუცილებლობას ინდივიდუალური სახლებისა და განცალკევებული დასახლებებისათვის მილსადენის მახლობლად.	მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს
საკითხი VIII. ბაქო-სუფსის მილსადენს გაჟონვის ისტორია აქვს. იგი გაიზიარებს ბთჯ-ს და სამხრეთ კავკასიის მილსადენს. მოსახლეობა შემფოთებულია, რომ ახალი მილსადენიც გაჟონავს.	ბაქო-სუფსის მილსადენი აშენებული იყო საბჭოთა პერიოდში და არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ხარისხიანად აშენებული და კარგად მოვლილი მილსადენის (გაზის და ნავთობის) საოპერაციო წარსული ადასტურებს, რომ შესაბამისი გარე დაფარვის სისტემებისა და უნარიანი კომპიტულას დახმარებით გაჟონვა თავიდან	მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს

საჩივარში წამოჭრილი საკითხი	ტექნიკური შეფასება	შემდგომი რეკომენდაციები
	<p>აცხილებული იქნება. ბთჯ და სამხრეთ კავკასიის მილსადენს ექნება მაღალი ხარისხის გარე დაფარვის სისტემები, კათოდური დაცვა და მილსადენის შიდა მხარე რეგულარულად იქნება შემოწმებული უნარიანი კომპიტულაით.</p>	
<p>სიტყვიერი საკითხი I. მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობამ გამოხატა შეშფოთება ბთჯ-ს მიერ იზოლირებული სარქველის მოანხვის გამო, რადგანაც მათ საშიშროება ემუქრებოდათ სარქველიდა გამოშვებული ელემენტების გამო</p>	<p>უახლოესი სარქველი ბთჯ-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის მდებარეობს 2-3 კილომეტრის მანძილზე მე-18 და მე-19 მიკრორაიონებიდან და არა საცხოვრებელ სახლებთან ახლოს. მოსახლეობამ შეიძლება გაიგოს ხმაური სამხრეთ კავკასიის მილსადენიდან როდესაც გაზის მილის დი-ჰერმეტიზაციას ექნება ადგილი. ბთჯ-ს მილსადენის იზოლირების ან დი-ჰერმეტიზაციის ხმაური შესაძინევიც კი არ იქნება.</p>	<p>მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს</p>
<p>სიტყვიერი საკითხი II. მშენებლობის დროს მე-18 და მე-19 მიკრორაიონის მაცხოვრებლებმა იგრძნეს ცუდი სუნის, რომელიც დაუკავშირეს ადრე არსებულ საქონლის სამარხს, სადაც დამარხული იყო საქონელი რომელიც დაიღუპა ან მოკლული იქნა ე.წ. ანტრაქსის გავრცელების პერიოდში.</p>	<p>ბთჯ -ის კომპანიამ მოგვახსენა, რომ რუსთავისა და მდინარე მტკვირის მახლობლად არის ორი ანტრაქსის პოტენციური სამარხი, მაგრამ ეს სამარხი მდებარეობს მილსადენის მარშრუტისგან მოშორებით და არის ჰორიზონტალური მიმართულებითი ბურღის (HDD) ახლოს. ეს ადგილი შემოღობილია გამაფრთხილებელი ნიშნებით და წარწერებით.</p>	<p>დამოუკიდებელმა ინჟინრებმა ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნა ვერ გააკეთეს დამამტკიცებელი საბუთების უკამრისობის გამო. ბთჯ-მ უნდა გამოიძიოს ეს საკითხი და მაცხვრებლეთან გადაწყვიტოს. თუკი საბუთი არსებობს, მაშინ განახორციელონ ბთჯ-ს მიერ ჩამოყალიბებული სპეციალური პროცედურა სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობის დროს, დაახლოებით 18 თვეში.</p>
<p>სიტყვიერი საკითხი III. მოსახლეობამ გამოხატა შეშფოთება საჯარო დოკუმენტებში მოხსენებული ინფორმაციის შესახებ, რომ მშენებლობის ერთ-ერთი ფაზის დროს გამოყენებული იქნება GPS (გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები) და GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები), რომლებიც რადიაციას გამოასხივებენ და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნება.</p>	<p>გლობალური ადგილმდებარეობის სისტემები (GPS) არის ნავიგაციისა და ტოფოგრაფიული აგეგმვის სისტემა, რომელიც კოსმოსური თანამგზავრიდან გადმოსცემს მცირე ძალის რადიოსიგნალებს და გამოიყენება დედამინაზე საგნისი ზუსტი ადგილმდებარეობისათვის. გლობალური ადგილმდებარეობის სისტემა მხოლოდ მიმღებია და რადიაციას არ ასხივებს. სიგნალები, რომლებიც მიღებულია თანამგზავრისაგან ტიპიურად უფრო ნაკლები ძალისაა ვიდრე მობილური ტელეფონები, რომლებიც ფართოდ არის ხმარებაში საქართველოში. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) არის კომპიუტერული სივრცის დამგეგმავი სისტემა, რომელიც აჩვენებს ნიადაგს და შენობებს და აგრეთვე მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას. გეოგრაფიული საინფორმაციო</p>	<p>მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს</p>

საჩივარში წამოჭრილი საკითხი	ტექნიკური შეფასება	შემდგომი რეკომენდაციები
	სისტემები არ ასხივებენ რადიაციას.	
სიტყვიერი საკითხი IV. დასაწყისში მოსახლეობას ეგონა რომ მილსადენის მარშრუტი გაივლიდა გარდაბნის ახლოს. მათ არ იცოდნენ, რომ მარშრუტი შეიცვალა და რუსთავის ჩრდილოეთით, მათ საცხოვრებელ სახლებთან ასე ახლოს იქნებოდა, სანამ მშენებლობა არ დაიწყო. მოსახლეობამ აგრეთვე გამოთქვა სურვილი მილსადენის სხვა ადგილას გადატანისა.	ინჟინრებმა განიხილეს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასა და სოციალური გავლენის შეფასებასთან (ESIA) და დისკუსიები ჰქონდათ ბთჯ-ს თანამშრომლებთან მარშრუტის შერჩევის შესახებ. მარშრუტი რომელიც გადაკვეთავდა მდინარეს გარდაბნის რაიონში, გაივლიდა სამხედრო ტერიტორიაზე და ამაზე საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა. მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულების დაკავშირებული სახით მარშრუტი 3 დეტალურად იქნა გამოძიებული სანამ მას საქართველოს მთავრობას შესთავაზებდნენ დასამტკიცებლად. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცების შემდეგ ინფორმაცია ამ მარშრუტის შესახებ იყო გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაში და ნახსენები საჯარო შეხვედრის დროს რუსთავში 2002 წლის ივლისში.	მილსადენის უსაფრთხოების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ შემდგომი მოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს
ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებული საკითხი. მშენებლობის დაწყებამდე ინფორმაციის გაზიარების ნაკლებობა რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მაცხოვრებლებთან და კონსულტაციების უქონლობა.	შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისში წარმოდგენილი იქნა ერთმანეთის სანინლმდეგ ინფორმაცია კონსულტაციის დროისა და შინაარსის შესახებ. უსაფრთხოების სტანდარტების სრულად ახსნის გარეშე ბთჯ-ს კომპანიის მიერ დაჟინებამ იმისა, რომ მილსადენი საფრთხეს არ შეუქმნიდა მოსახლეობას, გაზარდა განმცხადებელთა ეჭვი. რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მაცხოვრებლებსა და ბთჯ-ს კომპანიას შორის წარმოიქმნა უნდობლობის ატმოსფერო მოსახლეობის მხრიდან, რადგანაც ბთჯ-მ არ მიაწოდა საჭირო ინფორმაცია მოსახლეობას. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი აღნიშნავს რომ საჩივრის განხილვის მექანიზმის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების მოვალეობა სისტემატურად არ სრულდებოდა. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენს სჯერა, ადრეულ ეტაპზე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ურთიერთმოქმედება ბთჯ-ს კომპანიასთან უფრო მკაცრი რომ ყოფილიყო ნაკლოვანებები გამოსწორდებოდა.	ბთჯ-ს კომპანიამ (და ბრითიმ პეტროლეუმმა როგორც ოპერატორმა) უნდა გააგრძელოს მილსადენის უსაფრთხოების შესახებ რუსთავის მაცხოვრებლებისთვის გულდასმით შერჩეული ინფორმაციის მიწოდება. ბთჯ-მ უნდა უზრუნველყოს უკეთესი მეთვალყურეობა და ზედამხედველობა კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისა საზოგადოებრივი ურთიერთობის მენეჯერის საშუალებით და უნდა ჩატერდეს შეხვედრა მოსახლეობასთან მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის განმავლობაში ხშირ შეხვედრებს უნდა ჰქონდეს ადგილი. ომბუცმენის ოფისი სთხოვს ბთჯ-ს რომ

საჩივარში წამოჭრილი საკითხი	ტექნიკური შეფასება	შემდგომი რეკომენდაციები
		<p>ჩაატაროს დამოუკიდებელი შემოწმება ამ საჩივარში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით და დროულად გადამწყვიტოს საჩივარში დასმული პრობლემები.</p> <p>ბთჯ-ს კომპანიამ უნდა გამოასწოროს საჩივრის განხილვის მექანიზმი რამდენადაც დღევანდელი სისტემა ბიუროკრატიულია და მოსახლეობასთან ურთიერთობა გააუმჯობესოს.</p> <p>ბთჯ-მ უნდა შექმნას ალტერნატიული დავის გადამწყვეტის მექანიზმი საქართველოში.</p> <p>ბთჯ-მ საზოგადოებაში დაბანდების პროგრამის მეორე ფაზისათვის გამოყოფილი 3 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიყენოს იმ მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რომლებიც მილსადენთან ახლოს ცხოვრობენ მთლიანი ქალაქ რუსთავის ჩათვლით.</p> <p>შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი მზადაა მოახდინოს შეხვედრა ბთჯ-ს კომპანიასა და მოსახლეობას შორის რათა განიხილოს საჩივარში აღძრული პრობლემები და აგრეთვე ომბუცმენი მზადაა დაეხმაროს ორივე მხარეს ურთიერთობის აღდგენაში.</p>